

არსენალი

ქვირის პალიტრა". სამხედრო-ანალიტიკური ქურნალი. №5. დეკემბერი. 2004. ფასი 1,5 ლარი

1425
2004

„ქართულ ჯარში ბალერინებს არაფერი საქმეაათ"

სამხედრო ძალები „ვარდების რევოლუციამდე" და მის შემდეგ...

შვიდასიანი, სპილოზე სანადირო

ამერიკელი "ინდიელები" ქართული არმიის სამსახურში

როტვეილერი მხოლოდ ძლიერ მამაკაცს ემორჩილება

სამხედრო ძალები „ვარდების რევოლუციამდე“ და მის შემდეგ 4

ერაყში დესანტირებისთვის კიდევ ერთი ბატალიონი ემზადება 6

ამერიკელი „ინდიელები“ ქართული არმიის სამსახურში 25

„ალპინისტებსაც შეგვიძლია საზღვრის დაცვაში დავეხმაროთ სამშობლოს...“ 24



პეინტბოლი — თამაში „დიდი ბიჭებისათვის“ 20

როტვეილერი მხოლოდ ძლიერ მამაკაცებს ემორჩილება 30

სარჩევი

პერსპექტივა

4 სამხედრო ძალები „ვარდების რევოლუციამდე" და მის შემდეგ

მშვიდობისმყოფელები

6 ერაყში დესანტირებისთვის ყიდევ ერთი ბატალიონი ემზადება

7 ერაყიდან დაბრუნებული ქართველი ჯარისკაცები საკუთარი გამოცდილების საქართველოში გამოყენებაზე ფიქრობენ

ინტერვიუ

8 „ქართულ ჯარში ბალერინებს არაფერი ესაქმებათ"

სუსტი სქესი?!

10 „აქ კაცებს უფრო იოლად „ათვინიერებენ", ვიდრე ქალებს..."

უფლებების დამცველი

12 „ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ სახალხო დამცველის მუშაობისთვის ხელის შეშლა კანონით ისჯება"

კონსულტაცია

14 კვალიფიციური რჩევები

სპეცსამსახურები

15 ქართულ სპეცსამსახურებს საზრუნავი ემატება

17 სპეციარალი სპეცსამსახურების არსენალში

სამხედრო თამაშები

20 პეინტბოლი – თამაში „დიდი ბიჭებისათვის"

ჯარისკაცის კურიოზი

21 „ბოროტი ხუმრობა აეროდრომზე"

ნადირობის მოყვარულთათვის

22 რაზე ვინადიროთ დეკემბერში

22 შვიდასიანი, სპილოზე სანადიროდ

23 მონადირის მცნებები

საზღვარი

24 „ალპინისტებსაც შეგვიძლია საზღვრის დაცვაში დავეხმაროთ სამშობლოს..."

იარაღი

25 ამერიკელი „ინდიელები" ქართული არმიის სამსახურში

კომპანიონი

30 როტვეილერი მხოლოდ ძლიერ მამაკაცებს ემორჩილება

32 როგორ დავიმორჩილოთ მონსტრი

ცხოვრების წესი

34 ზღვის მგლები

36 სტატიის კვალდაკვალ (საფრანგეთის უცხოური ლეგიონი)

საიდუმლო ომები

37 ნავაჰოს ტომის ინდიელები მეორე მსოფლიო ომში

ახალგაზრდები

38 „მარტო ბრძოლას კი არა, ვაჟკაცობასაც ვასწავლით..."

საქართველოს ისტორია

40 ქართული სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიიდან

ცივი იარაღი

42 როგორი უნდა იყოს საბრძოლო დანა

გადარჩენის სკოლა

44 სამხედრო ლექსიკონი

44 ელიტური მებრძოლი

45 ექსტრემალური სამზარეულო

ეროსვორდი

47 არსენალვორდი

ლეგენდარული ადამიანი

48 ფოტოგრაფი – საავიაციო დაზვერვისფუძემდებელი

სუპერმობილი

50 **Achtung, Achtung,** „ტუარეგი" მოდის

„არსენალის" იარაღის მაღაზია

55 XXI საუკუნის ავტომატი ქართველი სპეცრაზმელებისთვის

რედაქტორის სვეტი

ჭკვიან ხალხს უთქვამს, – „მოყვარეს პირში უძრახეო..." და ჩვენც გვინდა ბოლომდე ამ პრინციპს მივყვეთ. მართალია, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ჩვენმა ჯარმა იმდენად დიდი ცვლილებები განიცადა, კაცი ბრმა უნდა იყოს, რომ ვერ დაინახოს. თუმცა, ამასთან ერთად, ვფიქრობთ, თვითკმაყოფილებისგან შორს უნდა ვიყოთ და მიღწეულზე არ შევჩერდეთ. ჩვენი ჟურნალიც ასე გვაქვს მოაზრებული, კარგსა და საუკეთესოს ყოველთვის დავინახავთ და თქვენც გახარებთ, მაგრამ ცუდი და უარყოფითიც არ დაგვრჩება შეუმჩნეველი და მასაც სათანადოდ გავაშუქებთ.

ირაკლი ალადაშვილი
გიორგი ჟორჟოლიანი

ყურადღება!
სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი" და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში.
ტელ: 42-43-40

ჟურნალ „არსენალის" ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში

გაზეთ „ყვირის პალიტრის" დამატება

რედაქციის მისამართია: თბილისი, აკურის ქუჩა №8. (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: 42-43-46
ფაქსი: 98-74-44
email: arsenali@kvirispalitra.com

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

სამხედრო ძალები „ვარდების რევოლუციამდე“ და მის შემდეგ

ქართული ჯარი ბოლო ერთი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაძლიერდა, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კვლავ ბევრი რჩება.

„ვარდების რევოლუციის“ ერთი წლის თავზე ახალმა ხელისუფლებამ თავის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად საქართველოს სამხედრო ძალების წარმატებულად დაწყებული რეფორმები დაასახელა.

ყველა ქვეყნის ხელისუფლება, წმინდა პროპაგანდისტული თვალსაზრისით, ყოველთვის ცდილობს უფრო ვარდისფერ ფერებში წარმოაჩინოს თავისი საქმიანობა, მაგრამ ამ შემთხვევაში, პროპაგანდა არც თუ ისე შორს დგას სინამდვილისგან — ახალმა ხელისუფლებამ ქართულ არმიასთან დაკავშირებით განვლილ ერთ წელში შეცვალა მთავარი — ხელისუფლების დამოკიდებულება სამხედროფორმიან, ქვეყნის დამცველის მიმართ.

ამ ერთ წელში გამოჩნდა, რომ არმიის გამოსაკვებად, ჩასაცმელად და ბრძოლისათვის მოსამზადებლად, თურმე ქვეყანაში ფულის გამონახვა შესაძლებელი ყოფილა — უბრალოდ, ამისთვის ხელისუფლების სურვილი იყო საჭირო.

ოთხ ათეულამდე ყაზარმის, სასადილოს, აბანოსა თუ სხვა დამხმარე ნაგებობის კაპიტალური რემონტი იმაზე მიანიშნებს, რომ ქართველი მებრძოლები ამიერიდან აღარ გაითოშებიან მეფის რუსეთის დროს აშენებულ, ფანჯრებჩამსხვრეულ ყაზარმებში და კვირაობით დაუბანლობის გამო ბაღლინჯოები აღარ „შეჭამენ“.

თვით ყაზარმები კაპიტალური რემონტის შემდეგ, ძნელად თუ ჰგვანან იმ ძველ ყაზარმებს, საბჭოთა არმიის დროიდან რომ გვახსოვს.

მნიშვნელოვნად შეიცვალა სამხედრო მოსამსახურეთა კვების საკითხი. საქ
რთველოს პრეზიდენტის 5 ნოემბრ
ბრძანებულებით, თითოეულ ჯარისკაც
კვების თანხა 59-დან 102 ლარამდ
გაიზარდა. ამასთანავე, გაფართოვდა საკვ
პროდუქტების ასორტიმენტი და ჯარის
აცთა მენიუში გაჩნდა ის დელიკატესე
(მაგალითად, შედედებული რძე თუ ნატ
ურალური წვენი), რომლებიც შევარდნ
ძისეულ არმიაში ყველაზე ფერად სი
მარშიც არავის დაესიზმრებოდა.

სამხედრო მოსამსახურეთა საყოფაც
ოვრებო პირობების მნიშვნელოვნად გაუ
ჯობესების პარალელურად, დაჩქარებულ
ტემპებით მიმდინარეობს საქართველო
სამხედრო ძალების გადაიარაღება შ
დარებით თანამედროვე და საჭირო იარ
აღისა თუ საბრძოლო ტექნიკის სხვ
დასხვა სახეობით. მათი შესყიდვა, რ
თვისაც ახლანდელი ხელისუფლება თან
ებს ნამდვილად არ იშურებს, ხდება დს
სა და აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნ
ში, რომლებსაც საქართველოსთან ტრა
იციულად მეგობრული ურთიერთობ
გააჩნიათ. ეს წარმატებული პროცე
საქართველოს ჩრდილოელი მეზობლ
— რუსეთის ფედერაციის ხელისუფლ
ის მკვეთრ გაღიზიანებას იწვევს და მოს
ოვიდან გამუდმებით ცდილობენ ჩაშალ
ქართული არმიისთვის იარაღის მიწოდ
ბა.

ქართველი სამხედროების იმიჯ
გაზრდაზე ისიც მუშაობს, რომ ქვეყნ
პრეზიდენტი, კვირა არ გაივლის, რო
ლიმე სამხედრო ნაწილს არ ესტუმრ
და მათთან ერთად პური არ გატეხ
ასეთი ყურადღება ნებისმიერი ჯარის
ცისა თუ ოფიცრისათვის ძალზე მნ
ვნელოვანია.



სამი წლის წინ, მუხროვანის სამხედრო აჯანყების ერთ-ერთი მიზეზი სამხედროების მძიმე სოციალური პირობებიც იყო...

ხელისუფლების წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ აშშ-ის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება „წრთვნისა და აღჭურვის“ ახალი პროგრამის დაწყებაზე საქართველოში, რაც დამატებით 6 ბატალიონის სრულ აღჭურვასა და გაწვრთნას გულისხმობს, ეს კი არც ისე ცოტას ნიშნავს.

როგორც მკითხველი თავად მიხვდება, მიღწევები, საქართველოს სამხედრო ძალებში განვლილი ერთი წლის განმავლობაში, საკმაოდ შთამბეჭდავია, მაგრამ მედალს ორი მხარე აქვს, ამჯერად არმიაში არსებულ პრობლემებსა და ნაკლოვანებებზე ვისაუბრებთ.

პირველ და ყველაზე სერიოზულ პრობლემად კვლავ სამხედრო ძალების შემადგენელი კომპონენტების არაკოორდინირებული მუშაობა რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ხელისუფლება ხშირად საუბრობს მთავრობის შერწყმულ გუნდზე თავდაცვის, შინაგან საქმეთა თუ უშიშროების სამინისტროების მაღალ ეშელონებში, ასეთი ურთიერთშეთანხმებული მუშაობა ხშირად არ შეიმჩნევა, უფრო მეტიც, ზოგჯერ მათ ერთმანეთის წარუმატებლობაც კი ახარებთ.

რაც შეეხება სამხედრო ძალების მთავარ შემადგენელს – შეიარაღებულ ძალებს, დღემდე ბოლომდე ვერ მოხერხდა თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის ფუნქციების ერთხელ და სამუდამოდ მკვეთრად გამიჯვნა.

კვლავ გადაულახავ პრობლემად რჩება გაბერილი კადრები. მართალია, თავდაცვის, უშიშროებისა თუ შინაგან საქმეთა სამინისტროში დაწყებულია კადრების მკვეთრი შემცირება, მაგრამ ეს პროცესი ყოველთვის სამართლიანად არ მიმდინარეობს. ხშირად თანამდებობიდან პროფესიონალებსაც ათავისუფლებენ და მათ ადგილზე, მართალია ახალგაზრდა, მაგრამ ძალზე გამოუცდელი ხალხი მოჰყავთ, ხშირად პარტიული ნიშნის გამოც.

ეს რაც შეეხება მაღალ კულუარებში არსებულ პრობლემებს, ჯარისკაცისთვის კი სხვა რამ არის საინტერესო – ნოემბრის ბოლოსათვის რატომ არ ჩააცვეს დათბილული ქურთუკი. მართალია, ასეთი ქურთუკები შეკვეთილია საზღვარგარეთ და ისინი პარტია-პარტია ჩამოაქვთ (ცალკე საკითხავია, რატომ არ იკერება საქართველოში?!), მაგრამ სანამ მთელი არმია „ჩაითბუნება“, ალბათ თებერვალიც დადგება.

ისევ ყაზარმების თემასთან დაკავშირებით – 23 ნოემბრისთვის, „ვარდების რევოლუციის“ წლისთავისათვის სარემონტო სამუშაოები ზოგიერთ ყაზარმაში ნაჩქარევად ჩატარდა, მართალია პრეზიდენტს ევროდონეზე გარემონტებული ზოგიერთი ყაზარმა მოეწონა, მაგრამ იქ შესახლებული ჯარისკაცები თავის თავზე იწვნევენ ნაჩქარევი რემონტის ყველა შედეგს.

პრეზიდენტი სააკაშვილი: „საბჭოთა ჯარში მეც ასეთ საწოლზე მეძინა, მაგრამ ჩვენს ჯარისკაცებს თანამედროვე ყაზარმებში ვაცხოვრებ...“



ბოლომდე არ მოისპო ქურდობა ძალოვან სტრუქტურებში – კვლავ უკვალოდ ქრება დიდი რაოდენობით საწვავი. ათასგვარი მიწერებისა თუ მაქინაციების საშუალებით ის ხელმრუდე ოფიცრები და ზემდეგები, ვისაც ამის დიდი გამოცდილება წინა წლებიდან გამოჰყვათ, თავისას მაინც არ იშლიან.

პრობლემებსა და ნაკლოვანებებზე კიდევ ბევრი რამის დაწერა შეიძლება, მაგრამ ამჯერად ამით შემოვიფარგლებით, რადგან კარგი მაინც უფრო მეტი კეთდება ქართულ არმიასა და მთლიანად სამხედრო ძალების გასაძლიერებლად, ვიდრე ცუდი. ეს კი მომავალი გამარჯვებების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის იმედს აძლიერებს!

ირაკლი ალადაშვილი

ერაყში დესანტირებისთვის კიდევ ერთი ბატალიონი ემზადება

მე-11 მექანიზებული ბრიგადის 113-ე „შავნაბადას“ მსუბუქ-ქვეითთა ბატალიონის სრული შემადგენლობა ერაყში სამშვიდობო მისიით მიემგზავრება.

„შავნაბადას“ ბატალიონმა „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა 2003 წლის მაისში დაიწყო. 2004 წლის გაზაფხულზე სწავლება „დიოსკურია 2004“-ის დროს, საზღვაო დესანტირება განახორციელა. ასევე 2004 წლის ზაფხულში შიდა ქართლში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა და დაკისრებული ამოცანა მცირე დანაკარგით შეასრულა. სამწუხაროდ, „შავნაბადას“ რიგებს ერთი ჯარისკაცი, კაპრალი გიორგი ლომაძე გამოაკლდა.

მიუხედავად იმისა, რომ „შავნაბადას“ ბატალიონი მთელი შემართებით ემზადება, ერაყში გამგზავრების კონკრეტული თარიღი ჯერ უცნობია, ბატალიონი ბრძანებას ელოდება. სამედიცინო შემოწმება უკვე გავლილია და 530 ჯარისკაციდან მხოლოდ 13 დაიწუნეს. 113-ე ბატალიონი ბაღდადში იქნება დისლოცირებული, მათი პასუხისმგებლობის ზონა კი გაეროს ოფისი გახდება. ბატალიონს ხელმძღვანელობას ამერიკელ მეკავშირეთა ჯგუფი გაუწევს.

ჩვენი სტუმრობისას, ჯგუფებად დაყოფილი ბატალიონი სამშვიდობო ოპერაციების სწავლებებს ატარებდა. „დელტა“ ასეული მოწინააღმდეგის შედარებით მცირე ზომის ჯგუფის დევნას ახორციელებდა. მეთაურმა გადაწყვიტა, მოწინააღმდეგისთვის მოულოდნელი ჩასაფრება მოეწყო, რისთვისაც ხელსაყრელი ადგილმდებარეობა შეირჩა. პარალელურად ასეული გადიოდა სწავლებას ბლოკპოსტებისა და საკონტროლო გამშვები პუნქტების მოწყობაზე, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ტერორისტების გადაადგილებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გადატანის კონტროლი. ამ ქმედების აღსაკვეთად მეთაურის მიერ წინასწარ შერჩეულ ადგილზე ეწყობა საკონტროლო გამშვები პუნქტი ან ბლოკპოსტი, სადაც საეჭვო პიროვნებისა და ავტომობილების ჩხრეკა ხორციელდება.

„ალფა“ ასეული ბუნკერის განადგურებასა და დასახლებული რაიონების წმენდას ახორციელებდა და ქალაქში გადაადგილების ხერხებს დეტალურად განიხილავდა.

„ბრავო“ ასეული ერაყის წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს, ეროვნულ და რელიგიურ დღესასწაულებს, გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, კლიმატსა და ა.შ. ეცნობოდა.

„შავნაბადას“ ბატალიონს საბრძოლო განწყობა აქვს, მეომრები

„შავნაბადელები“ საერაყოდ აქტიურად ემზადებიან

ერაყში გასამგზავრებლად დღეებს ითვლიან.

მინდია მამულაძე, *უფროსი სერჟანტი:* „ჩემი პროფესია იმდენად მიყვარს, რომ ეკონომიკური მხარე მეორე პლანზე გადადის. მე მივდივარ, რათა კვალიფიკაცია ავიმაღლო, საკუთარი თავი გამოვცადო“.

გიორგი შენგელია, *„შავნაბადას“ ბატალიონის მეთაური, კაპიტანი:* „ოპერაციის შესასრულებლად ბატალიონი კარგად არის მომზადებული. სრულად აქვთ გავლილი სამშვიდობო და საბრძოლო ოპერაციების კურსები, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული. გამგზავრების კონკრეტულ თარიღს ველოდებით. ჯარისკაცებს გათავისებული აქვთ, თუ რა ამოცანების შესასრულებლად მიდიან“.

ეს ჩემი დიდი ოჯახია

მე-11 მექანიზებული ბრიგადის, 113-ე „შავნაბადას“ ბატალიონთან სტუმრობისას საინტერესო ფაქტი აღმოვაჩინეთ: ბრიგადას ხუთი ვაჟის მოსანახულებლად მათი დედ-მამა ესტუმრა. ხუთივე ძმა „შავნაბადას“ ბატალიონის სხვადასხვა ასეულში მსახურობს. „ნაწილის ტერიტორიაზე პირველად შემოვედი, ისე კვირაში ორჯერ მოვდივარ და მათ გარეთ ვხვდები ხოლმე. ძალიან მეამაყება, რომ ასეთი ვაჟკაცები მყავს“, – *განაცხადა ქალბატონმა* **ლალი ნებიერიძემ.**

— ქალბატონო ლალი, ხუთივე ვაჟს ერაყში უშვებთ?

– ბიჭებს ვკითხე, უნდოდათ თუ არა ერაყში გამგზავრება, მათ მიპასუხეს, რომ სადაც მათი მეგობრები წავლენ, ისინიც იქ იქნებიან.

— როგორ მოსწონთ აქაურობა, რამეს ხომ არ უჩივიან?

– არა, ბიჭები ძალიან კმაყოფილები არიან. მოსწონთ და ძალიან უყვართ აქაურობა. გახარებული ვარ იმითაც, რომ მეთაურებს, ოფიცრებსა და რიგითებს შორის კარგი დამოკიდებულებაა.

საუბარში ლევანი და დიტო ნებიერიძეები ჩაგვერთნენ:

ლევან ნებიერიძე – „ჩემი ოცეული, ასეული, ბატალიონი სადაც წავა, მეც იქ ვიქნები, ეს ჩემი მეორე ოჯახია“.

დიტო ნებიერიძე *(19 წლის), ყველაზე უმცროსი ძმებს შორის* – „ჯარმა შეყვარება იცის, აქ მაგარია, ეს ჩემი დიდი ოჯახია“...

დიდი არაფერიო, იტყვით, მაგრამ 5 ვაჟი ერთი ოჯახიდან, ერთ ქვედანაყოფში, სწორედ რომ დიდი რამეა, დიდი და მნიშვნელოვანი...

ნინო კოტარია

ერაყიდან დაბრუნებული ქართველი ჯარისკაცები საკუთარი გამოცდილების საქართველოში გამოყენებაზე ფიქრობენ

ნოემბრის მიწურულს ერაყიდან ორ ჯგუფად დაბრუნდა საქართველოს მე-16 გვარდიული სამთო-მსროლელი ბატალიონის ასეული, რომელიც ერაყის ქალაქ ბაკუბაში 7 თვის განმავლობაში მონაწილეობდა ანტიტერორისტულ ოპერაციებში. ერაყში სწორედ ამ პერიოდში მიაღწია პიკს ტერორისტებისა და მეამბოხეთა აქტივობამ კოალიციის წინააღმდეგ. საბედნიეროდ, ამის მიუხედავად, 150-კაციანი ქართველი სამხედრო უვნებლად დაბრუნდა სამშობლოში, სადაც როგორც გმირებს, ისე დახვდნენ.

საქართველოში დაბრუნებულ სამხედროებს, რომლებმაც ერაყში ზუსტად 7 თვე და 12 დღე დაჰყვეს ერთთვიანი შვებულება, მრავალი საზეიმო შეხვედრა, ჯილდოები და საყოველთაო ყურადღება ელოდათ. თუმცა, ჯარისკაცებისთვის სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა ის, რაც მათ გენერალური შტაბის უფროსმა, ბრიგადის გენერალმა, ვახტანგ კაპანაძემ დახვედრის ცერემონიაზე უთხრა:

„ ...რუმინელებმა განაცხადეს, რომ იომებენ მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ქვედანაყოფთან ერთად, სხვანაირად საბრძოლო ოპერაციაში მონაწილეობას არ მივიღებთო. ეს თქვენს დიდ გამოცდილებასა და ავტორიტეტზე მეტყველებს.“

ერაყიდან დაბრუნებული თითქმის ყველა ჯარისკაცი, ვისთანაც გასაუბრება შევძელით, ერთხმად აცხადებდა, რომ იქ უნიკალური გამოცდილება შეიძინეს და ყველა ამოცანა წარმატებით შეასრულეს. სამხედროებს არ სიამოვნებთ, როცა ზოგიერთი პოლიტიკოსი მათ „საზარბაზნე ხორცის“ ბედს უწინასწარმეტყველებს და ასეთ შედარებებზე მოტივირებული პასუხი მზად აქვთ. „გამოცდილება, რომელიც ჩვენ შევიძინეთ, ისევ ჩვენს ქვეყანას გამოადგება. საქართველოს, შესაძლოა, მოუხდეს ანალოგიური ოპერაციების საკუთარ ტერიტორიაზე ჩატარება. ასე რომ, ერაყი ჩვენთვის დიდი საწვრთნელი ცენტრი იყო“, — ამბობს მაიორი ლადო ჩაჩიბაია, რომელიც ერაყში მყოფ ტაქტიკურ ჯგუფს მეთაურობდა.

ნიშანდობლივია, რომ ბრძოლის ეპიზოდებზე, სროლასა და აფეთქებაზე საუბარს, რასაც ერაყიდან თითქმის ყოველდღიურად გადმოსცემს მსოფლიო საინფორმაციო სამსახური, ქართველი ჯარისკაცები დუმილს ამჯობინებენ. ჯარისკაცებს ვერც ის „დავაცდენინეთ“, წამოიღეს თუ არა რაიმე ნადავლი ერაყიდან, იარაღის სახით. ჩანს, ერაყში ამერიკელი სამხედროების გვერდით გატარებულ შვიდ თვეს არც პრესასთან ურთიერთობის თვალსაზრისით ჩაუვლია უკვალოდ ქართველი სამხედროებისათვის. ყველა შეკითხვაზე მათ ერთი პასუხი აქვთ: „ჩვენ ერაყში მხოლოდ ჩვენს სამუშაოს ვასრულებდით“.

თუმცა, ერაყში შვიდთვიანი მივლინება იოლი გასეირნება არ ყოფილა. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ბაკუბაში ერთ-ერთ ოპერაციაზე მიმავალი ჯავშნოსანი, რომელზეც ქართველი და ამერიკელი სამხედროები იყვნენ, ნაღმზე აფეთქდა. საბედნიეროდ, აფეთქების ტალღამ მანქანა მხოლოდ გზიდან გადააგდო და არავინ დაზარალებულა. მეორედ, ქართველების პატრულს ყუმბარსატყორცნიდან გაუხსნეს ცეცხლი, ჯარისკაცები აქაც ბედისწერამ იხსნა... ბედი კი, როგორც ცნობილია, მხოლოდ მამაცებს სწყალობს.

ნიშანდობლივია, რომ ე.წ. ალექსეევკის სამხედრო აეროდრომზე, სადაც ჩვენს „ერაყელებს“ ხვდებოდნენ, რამდენიმე დღეში კიდევ ერთი ქვედანაყოფი დაბრუნდა საერთაშორისო კონფლიქტის ზონიდან. ამჯერად კოსოვოდან, სადაც სამშვიდობო მოწესრიგების სამხედრო ოპერაციებში საქართველო 1999 წლიდან მონაწილეობს. თავდაპირველად, ჩვენი ქვეყანა ბალკანეთზე გაძლიერებული ოცეულით იყო წარმოდგენილი. საქართველოს თავდაცვის მინისტრის, გიორგი ბარამიძის თქმით, შესაძლოა სამომავლოდ, ბალკანეთში, მხოლოდ სამხედრო ექიმები და ინჟინრები გაიგზავნონ. ასეა თუ ისე, ფაქტია, 5 წლის წინ, კოსოვოში ქართველი ჯარისკაცების გაგზავნით დაიწყო საქართველოს სამშვიდობო-სამხედრო მისია საერთაშორისო ასპარეზზე, რაც ქვეყანასაც და მისი დამცველების ავტორიტეტსაც სასიკეთოდ წაადგა.

კოგა ლიკლიკაძე,
„რადიო თავისუფლება“,
სპეციალურად
„არსენალისთვის“

რევოლუციის შემდგომ მოსულმა ხელისუფლებამ მთავარ მიზნად ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა დაისახა და არმიის გაძლიერებისთვის ზრუნვა დაიწყო. ქართული ჯარის დღევანდელ მდგომარეობასა და პრობლემებზე თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე გვესაუბრა:



თავდაცვის სამოქალაქო მინისტრი, როგორც წესი, სამხედრო ფორმას არ ატარებს, მაგრამ ერაყში ქართული კონტინგენტის მონახულებისას, მასაც მოუწია ჰალსტუხის ჯავშანჟილეტით შეცვლა...

„ქართულ ჯარში ბალერინებს არაფერი ესაქმებათ“

— ვარდების რევოლუციიდან ერთი წელი გავიდა. მართალია, ეს მცირე დროა, მაგრამ, ვფიქრობთ, უკვე შეიძლება აღებული კურსის შესახებ საუბარი. რას გვეტყვით, რამდენად შეიცვალა ქართული ჯარი?

— არმია მნიშვნელოვნად შეიცვალა. ბევრი გაკეთდა, მაგრამ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. დღეს მკვეთრად არის გაუმჯობესებული ქართული ჯარის მატერიალური უზრუნველყოფა, ჩაცმა-დახურვა, კვება, საყაზარმე პირობები, მიმდინარეობს არმიის გადაიარაღება. ხელმძღვანელობაში ხდება სერიოზული რეორგანიზაცია და ფუნქციების გადანაწილება. გენშტაბი სამხედრო საქმით არის დაკავებული; თავდაცვის სამინისტრო, მინისტრი, მისი სამოქალაქო ოფისი კი — პოლიტიკის დაგეგმარებითა და კონტროლით. წინგადადგმული ნაბიჯია, რომ გენშტაბისა და სამოქალაქო ოფისის ფუნქციები გაიყო, მაგრამ ეს ჯერჯერობით დასაწყისია იმ დიდი გზისა, რაც ქართულ ჯარს აქვს გასავლელი, იმისთვის, რომ ყველა პრობლემა მოგვარდეს, გამოსწორდეს საყოფაცხოვრებო პირობები, არანაირი შეფერხებები არ იყოს მომარაგებასა და კორუფციასთან დაკავშირებით... ვთვლი, რომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგით, მაგრამ გასაკეთებელი გაცილებით ბევრი გვაქვს.

— 15 ნოემბრიდან სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეებს ხელფასი 200-300 პროცენტით გაეზარდათ. რამდენად შეძლებს სახელმწიფო, რომ მუდმივად შეასრულოს ეს ვალდებულება. რა ბერკეტები გაქვთ იმისათვის, რომ ძველებურად დავალიანება არ დაგროვდეს?

— 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ სახელფასო დავალიანებები აღარასდროს აღარ დაგროვდება. ის კი არა, ადრე დაგროვილ დავალიანებებს ვისტუმრებთ. გაისად მთლიანად დაიფარება ყველა დავალიანება, რაც სახელმწიფოს გააჩნია მოქალაქეებისადმი, მათ შორის სამხედროებისადმიც. ეს სერიოზული მიღწევაა. დღესდღეობით, ბიუჯეტი მოზომილად არის დაგეგმილი და დარწმუნებული ვარ, მთავრობა მას გადაჭარბებით შეასრულებს. ამის თქმის საფუძველს ის მაძლევს, რომ სეკვესტრების ნაცვლად წელს ორჯერ შევცვალეთ ბიუჯეტი ზრდის კუთხით. ახლა მესამედ მოგვიწევს ბიუჯეტის შეცვლა, რადგან ორჯერ გაზრდილ ბიუჯეტს კიდევ გადავაჭარბეთ. თავდაცვის ბიუჯეტზე სერიოზული დებატები და მოლაპარაკებები მიმდინარეობს, გვინდა თავდაცვას რაც შეიძლება მეტი სახსრები ჰქონდეს, რადგან ვთვლით, ამ სფეროსთვის გაღებული თითოეული ლარი ათმაგად დაუბრუნდება ჩვენს საზოგადოებას. დღეს ჯარი არ არის რაღაც თეორიული, პოტენციური საფრთხის თავიდან აცილების მექანიზმი. ის არის რეალურად არსებული საფრთხისა და პრობლემის მოსაგვარებელი ბერკეტი და თუ ეს პრობლემა მოგვარდება, ჩვენი საზოგადოება მნიშვნელოვნად წაიწევს წინ. დღეს ჯარში ფულის ჩადება კონკრეტულ შედეგებს მოიტანს, ამიტომაც გვინდა, რაც შეიძლება მეტი იყოს დაფინანსება. რეალურად 500 მილიონი მანეთი გვჭირდება, მაგრამ ასეთი დაფინანსება დღესდღეობით არარეალურია. რამდენის საშუალებაც ეძლევა სახელმწიფოს, იმდენს მოგვცემს. საქართველოს ბიუჯეტი რომ ჩვენს დაფინანსებას ვერ გასწვდებოდა, ვიცოდით და ამიტომ საერთაშორისო კავშირები ავამუშავეთ. საქართველოს პრეზიდენტი დიდი ხანია, პირადად არის ჩართული ამ საქმეში. ასევე მუშაობს თავდაცვისა და საგარეო საქმეთ სამინისტრო, რათა საზღვარგარეთიდან დახ მარება მოვიზიდოთ. ამან კონკრეტული შედეგ უკვე მოგვიტანა, გადაწყვეტილია ამერ კელებთან ახალი პროგრამის ე.წ. SSOP-ი (სტაბილიზაციისა და უსაფრთხოების ოპერ აციების პროგრამა) ამუშავება და როგორ ჩანს, მივაღწევთ შეთანხმებას ჩვენს მეზობ თურქეთთანაც. 16 დეკემბერს ოფიციალურ ვიზიტი მაქვს თურქეთში და არის სერიო ზული შანსი, რომ თურქებმა წრთვნის პრ გრამა დაიწყონ ჩვენს ჯარში. უფრო მეტს გეტყვით, — ჩვენი რეფორმით მიზნად დავისახ რომ სამხედრო მოსამსახურეების ხელფას ეტაპობრივად, 2-3 წლის განმავლობაში ე „ჯიტების“ პროგრამაში მონაწილე სამხედრ მოსამსახურეების ხელფასებისა და დანამ ტების ჯამს გავუთანაბროთ.

— თავდაცვის სამინისტროსა დ შეიარაღებულ ძალებში მიმდინარ ობს სერიოზული შემცირებები. რა დენად მტკივნეულია ეს პროცესი (იღებენ თუ არა „შემცირებულ სამხედრო მოსამსახურეები და სამ ქალაქო პირები კანონით გათვა ისწინებულ კომპენსაციას?

— ეს მართლაც ძალზე მტკივნეუ პროცესია. მერწმუნეთ, გულისტკივილით ვიღ ასეთ გადაწყვეტილებებს, მაგრამ ისინი ს მის ინტერესებით არის ნაკარნახები. კან ნით გათვალისწინებულ კომპენსაციას კი, თქმა უნდა, ყველა მიიღებს.

— ერთ-ერთი აქტუალური თ დღეს სამაჩაბლოს პრობლემაა. რ დენად რეალურად მიიჩნევთ ცხ ვალის რეგიონში დემილიტარიზაც პროცესის წარმატებით განხორციელ ბას?

— ამ პრობლემების მოგვარება საკმაოდ რეალურია, მაგრამ ამას დროც სჭირდება, ძალიან სერიოზული ძალისხმევაც და ნერვებიც. სეპარატისტები ყველანაირად ეცდებიან, ეს პროცესი გაჭიანურონ. ის ბლინდაჟები, რომელთა გაუქმებაც ახლა უწევთ, გაცილებით უკეთეს პოზიციებზე იყო განლაგებული. რეალურად ჩვენ თავდაცვის პოზიციებზე ვიყავით, ისინი კი — თავდასხმის. დემილიტარიზაციის განხორციელება ჩვენს ინტერესებშია, მაგრამ ერთი ხელის მოსმით ეს პრობლემა არ გადაწყდება. გამოჩნდა, რომ საერთაშორისო ბერკეტების გამოყენებით ჩვენ მშვიდობიანად შეგვიძლია სეპარატისტებს გავაკეთებინოთ ის, რაც ომის შემთხვევაში, დიდი სისხლისა და ძალისხმევის ფასად გაკეთდებოდა. მართალია, ეს პროცესი დიდ დროს წაიღებს, მაგრამ ამ დროს საბოლოო შედეგია მთავარი.

— ერაყში, ავღანეთსა და კოსოვოში 1100 კაცამდე ქართველი მეომარია მივლინებული. სანამ დამატებითი ბატალიონები არ გაიწვრთნება, ამით ქართული არმიის სიძლიერე სახიფათოდ ხომ არ შემცირდება?

— შემცირდება იმდენით, რამდენი სამხედროც იქნება გარეთ. მაგრამ ჩვენ არჩევანი გვაქვს გასაკეთებელი. თუ გვინდა, ჩვენმა მეგობრებმა დახმარება გაგვითამაგონ, ამ საქმეში წვლილი უნდა შევიტანოთ. თუ რისკზე არ წახვედი, ისე ნაყოფს ვერ მოწყვეტ. ჯარისკაცებსა და ოფიცრებს რისკის არ ეშინიათ. ამერიკელების ახალი პროგრამა წარმოუდგენელი იქნებოდა, ჩვენი ჯარისკაცები რომ არ წასულიყვნენ ამ სახიფათო ზონებში. მე-11 ბრიგადის ჩამოყალიბებას და 21-ე ბრიგადის შექმნას დამოუკიდებლად მინიმუმ სამი წლის განმავლობაში ვერ შეძლებდით. რა თქმა უნდა, სახელმწიფო რისკავს, მაგრამ ეს გონივრული რისკია. სხვათა შორის, ეს არ ხდება ძალდატანებით, ასეთ სარისკო ზონებში წამსვლელები ხელწერილს დებენ — საფრთხე გაცნობიერებული გვაქვსო.

— დამატებითი ბატალიონების მომზადებისას თუ იქნება გათვალისწინებული ის პრობლემები, რაც „ჯიტის" პროგრამით სამხედროების მომზადებისას გამოჩნდა. ვგულისხმობ კადრების შერჩევას. ხალხი, რომლებზეც ამდენი ფული დაიხარჯა, სხვადასხვა მიზეზის გამო ბატალიონებს ტოვებდა.

— ამჯერად ახალ ხელშეკრულებაზე ვმუშაობთ. ძვირად ღირებული სამხედრო მომზადების შემდეგ ვერსად ვერ წავლენ. თუ წავლენ, დისციპლინა, მატერიალურ ზარალსაც ანაზღაურებენ და შესაბამისი სასჯელიც დაეკისრებათ. ახალი ხელშეკრულება 6 წლით დაიდება. მასში დაწვრილებით იქნება ჩამოთვლილი სამხედრო მოსამსახურის ვალდებულებები და ის სანქციები, რომლებიც დაედებათ ხელშეკრულების დარღვევისას. ბუნებრივია, ხელშეკრულებაში ჩაიწერება სახელმწიფოს ვალდებულებებიც. ყველას კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული რა ნაბიჯს დგამს. აქ მოვლენ კაცები და არა ბალერინები. მათ უნდა იცოდნენ, რომ ჯარში მოდიან, სადაც (ჯვარი სწერიათ) შეიძლება ტყვია მოხვდეთ. საქართველოს დაცვა სარისკოც არის და საპატიოც. ვისაც ეს გაცნობიერებული არა აქვს, იმას ჩვენთან არც ველოდებით.

— რამდენად წარმატებით მიმდინარეობს NATO-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამა?

— NATO-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამა ცოტა ხნის წინ დამტკიცა NATO-მ, მაგრამ მისი განხორციელება ბევრად ადრე დავიწყეთ. ეს პროგრამა არ არის NATO-ს მიერ თავსმოხვეული. პირიქით, ეს დოკუმენტი ჩვენ შევქმენით და წარვუდგინეთ მათ. ამ დოკუმენტში ჩადებულია ჩვენი მოთხოვნები საკუთარი თავის მიმართ, რათა განვახორციელოთ ჯარის რეფორმა, რომ გახდეს მოქნილი, მობილური, კარგად მართვადი, მომზადებული და უზრუნველყოფილი. ყველა ამ მიმართულებით უკვე მიმდინარეობს მუშაობა. ძირითადი ეტაპი მომავალი წლის ბოლოსთვის დასრულდება.

— რატომ არ მოხდა შინაგანი და სახმელეთო ჯარების იმ სახით გაერთიანება, როგორც ეს წინასწარ იყო დაგეგმილი.

— ეს მოხდა ისე, როგორც პრეზიდენტის ბრძანებულებაში იყო. არანაირი პრინციპული ცვლილება არ მომხდარა. თქვენ თუ გენერალ თათუხაშვილის პიროვნება იგულისხმეთ, ეს არ არის პრინციპული საკითხი.

— რამდენადაც ვიცით, ტექნიკის გადაცემა არ მომხდარა.

— ეს პროცესი დაიწყო, მაგრამ დროში გაიწელება. პრეზიდენტმა გამოსცა მეორე ბრძანება — ყველა სახის შეიარაღება, ტექნიკა და ჯავშანტექნიკა, რომელიც საზოგადოების წესრიგის დაცვას არ დასჭირდება, თავდაცვის სამინისტროს გადაეცესო. შინაგანი ჯარი აღარ იარსებებს და პირადი შემადგენლობა, რომელიც ამ ტექნიკას ემსახურება, თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადმოვა. შესაძლოა, შინაგანი ჯარის დარჩენილი ნაწილებიდან ჩამოყალიბდეს ჟანდარმერია, როგორც ეს ადრე იყო განსაზღვრული. მით უმეტეს, რომ ჟანდარმერიის შექმნის საკითხი ჯერ კიდევ ჩემ შს მინისტრობისას დამტკიცდა. ყველაფერი გეგმის თანახმად მიდის, შეიცვალა ის, რომ ბატონი გოგი თათუხაშვილი, რომელიც სახმელეთო ჯარების ხელმძღვანელად მოიაზრებოდა, არ დაინიშნა ამ თანამდებობაზე, რადგან გადაწყდა, რომ ის შს სამინისტროში დარჩება. როგორც ჩანს, ახალ ეროვნულ ჟანდარმერიას მიხედავს, რაც ძალზე მნიშვნელოვანი საქმეა.

— როგორ შეაფასებთ რეზერვისტების მომზადების პროცესს?

— უკვე 5 ბატალიონი მოვამზადეთ — თითოეული 350 კაცის შემადგენლობით. ზაფხულამდე 17 ასეთი ბატალიონის მომზადება იყო გეგმაში და ეს დაახლოებით 6 მლნ ლარი ჯდებოდა. ეს ძალიან დიდი ძალაა. ვიცი პრეზიდენტის გეგმა, რომ პროგრამა მომავალი წლის გაზაფხულიდან ისევ უნდა გაგრძელდეს. რეზერვისტების რაოდენობა გვინდა პირველ ეტაპზე ათი ათასამდე ავიყვანოთ.

— თუ გაქვთ განსაზღვრული პროგრამა მინიმუმი და მაქსიმუმი?

— ჩემი პროგრამა მინიმუმი ჯარის რეფორმირებაა, მაქსიმუმი კი — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ამ საკითხთან დაკავშირებით, თანამდებობის მიუხედავად, ყველას თავისი პირადი განცდები აქვს. ახლა როგორც თავდაცვის მინისტრი კი არა, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი, ისე ვლაპარაკობ — აფხაზეთთან ჩემი პირადი უბედურება მაკავშირებს. ომის დროს იქ უდიდესი სულიერი ტრავმა მივიღე. თუნდაც სვანეთზე გამოვლილი საშინელი გზა რას ნიშნავდა?! როდესაც უკან იხევ, ამაზე მეტი შეურაცხყოფა მამაკაცისთვის არაფერია. ჩვენს მიცვალებულებს ჩვენი მტრის ჯავრი არ უნდა ჩავაყოლოთ. მაგრამ აქ დაბოღმილი მოქმედება არ გვარგებს, გონივრულად და სამშობლოს სიყვარულით უნდა ვიმოქმედოთ. სასურველია, ყველაფერი მშვიდობიანი გზით გავაკეთოთ. მე თავდაცვის მინისტრი ვარ და არა ომის გამჩაღებელი მინისტრი. თავდაცვის სამინისტრო უფრო მეტად ომის არდამშვები სამინისტროა, ვიდრე დამწყები, მაგრამ თუ სხვა გამოსავალი არ იქნება, ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ.

— შს მინისტრობა უფრო ძნელია თუ ახლანდელი თანამდებობა?

— ორივე ურთულესი საქმეა, შს მინისტრობისას თავდაცვის მინისტრის ელემენტებსაც ვითავსებდი. ავიღოთ სპეცოპერაციები სამეგრელოში, ქუთაისსა და სვანეთში. თუნდაც ის, რომ აბაშიძეს ცხვირწინ მოვტაცეთ ჩხაიძე. ალბათ გახსოვთ ჭურდულ კლანებთან დაპირისპირება. ასეთ სიტუაციაში ჩვენ ვანგრევდით ძველ სისტემას და რეფორმას ვატარებდით. თავდაცვაშიც ფუნდამენტური ცვლილებებია საჭირო. წინა ხელისუფლებას არ აინტერესებდა ჯარი. თუმცა ჩემმა წინამორბედებმა მაინც შეძლეს გარკვეული ოაზისების შექმნა, თუნდაც კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადა. ადრე ჯარი, ფაქტობრივად, რამდენიმე ელიტურ ნაწილს წარმოადგენდა. ნამდვილ ჯარს ახლა ვქმნით. ეს კი ურთულესი საქმეა და 3-4 წელში უნდა შევძლოთ. თუმცა სირთულესთან ერთად, ეს საპატიო მოვალეობაცაა.

იზო რიკაძე

აქ კაცებს უფრო იოლად „ათვინიერებენ“, ვიდრე ქალებს

საქართველოს ისტორიას თუ გადავხედავთ, არც მებრძოლი ქალები გვაკლდა და არც ლამაზად და ვაჟკაცურად შვილების აღმზრდელი დედები, თუმცა მებრძოლ ქალთა ეპოქა იმდენად შორეული ისტორიის წიაღშია, რომ დღეს ჩვენი დროის ქალებში ამორძალთა გენეტიკური გამოძახილი გაოცებას იწვევს. ზოგჯერ ისიც არ ვიცით, როგორ მივმართოთ კომუნალაეში გამოწყობილ შეიარაღებულ ლამაზმანებს. ჯარისკაცად მათი მოხსენიება, ცოტა არ იყოს, უხერხად გვეჩვენება. როგორც ირკვევა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში მათი რიცხვი თანდათან იზრდება და პროფესიონალიზმითა და შრომისუნარიანობით ზოგიერთი ტოლს მამაკაცებსაც არ უდგებს. სამხედრო აკადემიის რექტორის თანაშემწე, 24 წლის ირინა ბერძენიშვილი ერთ-ერთი მათგანია, ვისზეც მთელი სერიოზულობით ამბობენ, მტერი ჩავარდა მკის ხელში. არადა, ამ ლამაზი ღიმილით „შეიარაღებულ“ გოგოს რომ შეხედავთ, გაიფიქრებთ, ამან ვის რა უნდა ავნოსო. არაფერი შეგეშლოთ, ტყვიას ტყვიაში აჯენს და თავსაც არავის დაჩაგვრინებს. დანარჩენზე კი თავად, ირინა მოგვითხრობს:

— დავამთავრე სახმელეთო ფაკულტეტი, ვარ ოცეულის მეთაური და ბრძოლის დროს ოცეულს გავუძღვები. მომავალ წელს გოგონების მიღებას ვაპირებთ და მინდა, მათი ოცეულის მეთაური ვიყო. გვყავს კაცების ოცეულის მეთაური ქალი მაკა კაპანაძე. ქუთაისის ბატალიონში ის ერთადერთი ქალია. ახლა თავისი ოცეული ოსიაურში წვრთნებზე ჰყავს. მაკა გარეგნულად პატარა და ნაზია, მაგრამ ისეთი მტკიცე ხასიათი აქვს, მასზე ამბობენ, მთას გახეთქავსო. მე კიდევ სწავლების დროს ძალიან მტირალა და წუწუნა ვიყავი და ჩვენი მეთაური მტირალა ოფიცერს მეძახდა.

— მტირალას ჯარში რა მოგარბენინებდა?

— მტირალა რომ ვარ, იმას კი არ ნიშნავს, რომ ჯაბანი ვარ. ჩემი ძმა სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ კომ[illegible] დოსი გახდა. ძალიან მომინდა ძმასავ[illegible] ჯარისკაცობა და სამხედრო აკადემიაშ[illegible] ჩაბარება გადავწყვიტე. როგორც უმაღლ[illegible] დამთავრებულს, ერთწლიანი კურსი უნ[illegible] გამევლო. ასე გავხდი ქართული ენის, ლ[illegible] ერატურისა და ხელოვნებათმცოდნეობის სპ[illegible] ციალისტი, ჯარისკაცი. მანამდე სკოლაშ[illegible] ვასწავლიდი, მაგრამ ჩემი ადგილი მხოლ[illegible] ჯარში ვიპოვე.

— სასწავლო რეჟიმის დაძლე[illegible] გაგიჭირდა?

— მეტ-ნაკლებად. ისეთივე რეჟიმში ვიყ[illegible] ით, როგორშიც ბიჭები. უბრალოდ, ქალ[illegible] სათვის საჭირო აუცილებელი პირობები [illegible] იყო და ღამით შინ გვიშვებდნენ. კარანტინ[illegible] კი ვაზიანში ყველანი ერთად ვიყავით [illegible] იქაც ერთი სისტემა არსებობდა ქალებისა [illegible] კაცებისთვის, მცირე განსხვავებით. გოგონებ[illegible] წესით დადგენილ დროზე 20 წუთით ად[illegible] გვაღვიძებდნენ, რადგან საველდებულო 45 წამ[illegible] ვერ ვეტეოდით, გახდას და დაწოლას უფრ[illegible] ვასწრებდით ამ დროში. დილით ჩვეულებრივ[illegible] დავრბოდით, ვვარჯიშობდით და ა.შ. გ[illegible] გაშის დროს ჯგუფში ყველაზე გრძელ ს[illegible] გარს ვთხრიდით, თან იარაღს ვიცავდით. [illegible] დროს იარაღი რომ მოგპარონ, ეს დაახლ[illegible] ბით დროშის წართმევას ნიშნავს. გულ[illegible] ჩახუტებული გვქონდა იარაღი და პატა[illegible] ბარებით გამალებით ვმუშაობდით. საშინელ[illegible] ყინვა იყო და ერთმანეთის გასამხნევებლ[illegible] სიმღერა დავჭექით. მეთაურები გაოგნებულ[illegible] ბი გვიყურებდნენ, ესენი ვინ არიანო.

— ამბობენ, სანგრებს მარტო გ[illegible] გაშის ან საგანგებო შემთხვევის დრ[illegible] კი არა, სიგარეტის მოწევის გამ[illegible] ჯარიმის სახით ათხრევინებენო?

— სანგრებს კი არა, სამარეს ათხრევინებ[illegible] მე არ ვეწევი, მაგრამ მწეველები გულდახ[illegible] ქილები დადიოდნენ... სასჯელების ისე[illegible] სისტემაა, რომ გახსენებაზეც კი ყველას ტ[illegible] ში აყრიალებს. მაგალითად, რამეს რ[illegible] დააშავებდი, მეთაური დაიყვირებდა — დაწ[illegible]

20! და ამ დროს 20 აჭიმი უნდა გაგეკეთებინა. მე რომ რამეს დავაშავებდი, ბრძანებას არ ვაკდიდი, თვითონ ვიძახდი, ვწვები-მეთქი.

— ხშირად ისჯებოდი?

— ძირითადად, დაუმორჩილებლობის გამო, თანაც საკმოდ ხშირად. ცოტა გამიჭირდა იმის გაგება, თუ მე არ მინდოდა რაღაც, ვიღაცის ბრძანებით რატომ უნდა გამეკეთებინა. მოკლედ, სანამ რქები მომამტვრიეს, გვარიანად ვისჯებოდი. ძალიან გამიჭირდა ტკივილის ატანა, ვტიროდი, მაგრამ დღეს მეამყება, რომ ეს ყველაფერი დავძლიე. საკმოდ კარგად ვისვრი, ავტომატი პირველად რომ მომცეს, სამი ტყვია მქონდა, 10-იანში, ცხრიანში და ექვსიანში უნდა გამერტყა. სამი ნასროლიდან ერთი ათიანი იყო და ორი ცხრიანი. ისე იყვნენ ჩემგან მიზანში სროლას მიჩვეული, ერთი-ორჯერ რომ ავაცილე, გაუკვირდათ.

— გარეგნობით მშვენიერი გოგონა ხარ. შენთან საუბარშიც არაერთხელ დამიჭერია, რომ რომანტიკოსი ხარ, გატაცებასავით ხომ არ არის შენი სამხედრო საქმით დაინტერესება? გიფიქრია, ბრძოლის დროს როგორ მოიქცეოდი?

— ჩემი ძმა ზაფხულში საბრძოლო მოქმედებებისას ცხინვალის რეგიონში იმყოფებოდა. თავიდან გვიმალავდა, მაგრამ გავიგე თუ არა, გადავწყვიტე, იქ წავსულიყავი. სახლში გაგიჟდნენ... მერე დავფიქრდი, ჩემი ძმა რომ გაიგებს, ჩემს იქ ყოფნას, დაძაბული და გაღიზიანებული იქნება და საქმეს ვერ გააკეთებს-მეთქი და გადავფიქრე წასვლა, თორემ ვერაფერი დამაკავებდა. მე მართლა მებრძოლი ვარ. ახლა ჩემი ძმა ერაყშია, როცა მისი წასვლის საკითხი გადაწყდა, სიხარულისგან კინაღამ გავგიჟდი. მე ვამყობ ამით. დედაჩემი კი ძალიან ნერვიულობდა. ნათესავები და ბებია გიჟს მეძახდნენ, ბავშვს დასაკარგავში ვუშვებთ და შენ რა გიხარიაო.

— ეი. არც მტრისთვის სროლა გაგიჭირდება და არც მომხვდურთან ომი.

— რა თქმა უნდა, როცა შენს მიწას იცავ, მტერს ებრძვი, სხვაზე არაფერზე ფიქრობ. ჩემს ძმასთან მისაუბრია სამჩაბლოს ამბების მერე, ძალიან ტრავმირებული იყო. დაღუპული ბიჭების უმრავლესობას იცნობდა, ზოგმა მის ხელებში დალია სული. მოწინააღმდეგის მშობლების მდგომარეობასაც განიცდიდა. არ დამინახავს, ვინმე მოკალი თუ არა, მაგრამ იქნებ ვინმეს მისწვდა ჩემი ტყვია, იქნებ მეც გავაშწარე ვინმეს დედაო. ამაზე ფიქრი, ამის გაანალიზება მართლა მძიმეა, მაგრამ... ახლა ერაყში მინდოდა წასვლა, ისევ ირაკლიმ გადამფიქრებინა — ხელს შემიშლიო.

— ქალი ხარ. სულ ჯარისკაცის ფორმით სიარული არ გიჭირს? ვხედავ, საყურეებს ვერ შელევიხარ.

— ჰო, მთელი წელია, არ მომიხსნია. კანონში არსად წერია, რომ ამით წესს ვარღვევ, თუმცა დაუწერელი კანონით... მთელი ზაფხული ფორმით დავდიოდი. მხოლოდ შვებულების დროს ჩავიცვი სამოქალაქო ფორმა. აქ იმდენად მიჩვეული იყვნენ უნიფორმიან ირინას, რომ შეცბენ, როცა მინი-ბოლოკაბაში გამოწყობილი, თმადავარცხნილი და მაკიაჟიანი მიხილეს. ახლა სამხედრო ფორმებს ვაგროვებ, გერმანული ფორმა მაქვს და იმის ჩაცმის უფლება ვითხოვე. არ შეიძლება აჭრელებული დავდიოდეთ. რაც სავალდებულოა, ყველას ის უნდა ეცვას. ეტყობა, ფორმა ხასიათზეც მოქმედებს, ბებიაჩემი წუხს, რა თბილი იყავი და როგორ გაუხეშდი, დაგვრჩები გაუთხოვარიო.

— შენც ასე ფიქრობ?

— არა, სულაც არა, პირიქით, არც სამხედრო პირებისგან მაკლია ყურადღება და არც სამოქალაქოსგან. ჯარს გარეთ უფრო მეტი თაყვანისმცემელი მყავს. მიფიქრია იმაზეც, ვის მივანიჭებ უპირატესობას. ალბათ სამხედროს, რადგან სამსახურს ვერ მივატოვებ, სამოქალაქო ქმარი კი ჯარისკაც ცოლს, რაც არ უნდა ფრთიანი „ანგელოზი" იყოს, ვერ აიტანს.

— თურმე სამსახურში „ცეცხლს" გეძახიან მეტსახელად, რატომ?

— ტრაბახივით გამომივა საკუთარ თავზე ლაპარაკი. შემიძლია რამდენიმე საქმე ხარისხიანად და ერთდროულად ვაკეთო. ჯერ კიდევ სწავლის დროს შემარქვეს ეს მეტსახელი და დღემდე შემრჩა.

ქუჩაში სამხედრო ფორმიანი ქალი ჯერაც უკვირთ და ჰგონიათ, რომ ეს მოდაა. ამას წინათ მივდიოდი და პოლიციის პატრულმა გამაჩერა. აბა, მოდაზე ჩაცმული რომ დადიხარ, შენი საბუთები გვაჩვენეო. ახალი ფორმა მეცვა, ზედ წოდების ნიშნები არ მეკრა. ოფიცრის მოწმობა რომ გავუწოდე, ფერი ეცვალა. ხშირად სამარშრუტო ტაქსში ფულს არ მახდევინებენ. მძღოლები მიღიმიან, პირველად ენახეთ ფორმიანი ქალი, ფულს როგორ გამოგართმევთო.

— როგორ ფიქრობ, საქართველოში ქალების სამხედრო სავალდებულო სამსახურის შემოღება გაამართლებს?

— არ ვიცი, როდის შეიქმნება მაგისთვის საჭირო საკანონმდებლო ბაზა თუ სხვა პირობები, თუმცა საქართველოს ჯარში მსახური ბევრ ქალიშვილს უნდა. ამორძალების არმია შეიქმნება. ჩემი აზრით, ამ სიახლის დამკვიდრება გაამართლებს. მთავარია, ჯარი მართლა ჯარს ჰგავდეს. იცით, ამ ერთ წელიწადში როგორ შეიცვალა სიტუაცია? მენიუ ასარჩევი გვაქვს. არადა, კარანტინი იცით როგორ გავიარეთ? ადუღებულ წყალს პურს ვატანდით, ფორმა თვენახევრის შემდეგ ჩავიცვით. ვიმედოვნებ, მომავალი კიდევ უფრო უკეთესი იქნება.

— ირინა, როცა დედა გახდები, პრაქტიკულად, ორ ცეცხლშუა მოგიწევს ტრიალი. გიფიქრია ამაზე, ვის მიანიჭებ პრიორიტეტს — შვილს თუ ჯარს?

— რა თქმა უნდა, მაგაზეც მიფიქრია. ალბათ მომიწევს, მცირე ხნით ჯარს ვუღალატო. მერე კი ჩემს შვილს თუ შვილებს ჯართან ერთად მოუწევთ ცხოვრება, მეტიც, ვაჟი მეყოლება თუ ქალიშვილი, აუცილებლად მოიხდის სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

— მეუბნებოდი, კაცები უხერხულობას გრძნობენ ფორმიანი ქალის გვერდითო. რას გულისხმობდი?

— კაცების უმრავლესობას ვერ წარმოუდგენია ქალი ჯარისკაცი, რომელიც იმავეს გააკეთებს, რასაც კაცი და თანაც მასზე უკეთესად. წელან მაკა კაპანაძე რომ ვახსენე, კაცებზე უკეთ დარბოდა და მის ჯინაზე ერთი გენახათ, რას „უბერავდნენ" ბიჭები. ასე რომ, ქალის ჯარში ყოფნა კაცების გამოსაფხიზლებლად აუცილებელიცაა. ერთი კია, კაცები უფრო იოლად დასამორჩილებლები არიან ჯარში, ვიდრე ქალები. ქალებს მაგარი რქები გვაქვს, თუმცა ბოლოს ყველა რქა ტყდება.

— რაზე ოცნებობ?

— ვერტმფრენიდან პარაშუტით გადმოხტომაზე. ბოლნისში იქნება თურმე ორკვირიანი მოსამზადებელი კურსები და ძალიან მინდა გავიარო. ამბობენ, უკვარგისი პარაშუტები გვაქვსო. არ ვიცი, მე მაშინებენ თუ მართლა ასეა, თუმცა ფაქტია, ესეც ვერ ამუხრუჭებს ჩემს მისწრაფებას.

ეკა ლომიძე

„ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ სახალხო დამცველის მუშაობისთვის ხელის შეშლა კანონით ისჯება.“

მოგეხსენებათ, შეიარაღებულ ძალებში ძირეული ცვლილებები მიმდინარეობს. სამწუხაროდ, ამ სფეროში იმდენად რთული ვითარება იყო როგორც მატერიალური, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, რომ უკეთესობისკენ ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევთ. სწორედ ეს „დანატოვარია“ იმის მიზეზი, რომ სამხედრო ომბუდსმენს, დღესაც ბევრი მიმართვას აჩენენენ და ალბათ, სანამ საზოგადოებისა და სამხედროების მენტალიტეტი საფუძვლიანად არ შეიცვლება, მანამდე კიდევ ბევრი საქმე ექნება გასაკეთებელი. ახლად დანიშნულ სამხედრო ომბუდსმენთან, ირაკლი სესიაშვილთან საუბარი მისი ამ სფეროში მოღვაწეობის გამოცდილებით დავიწყეთ.

ირაკლი სესიაშვილი:

– 1999 წელს მეგობრებთან ერთად დავაფუძნე ასოციაცია, „სამართალი და თავისუფლება“, რომლის მიზანსაც წვევამდელთა, ყოფილ და მოქმედ სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დაცვა წარმოადგენს და ამ ორგანიზაციის ერთადერთი მიმართულება სამხედრო სფერო გახლდათ. ჩვენ გვეხებოდა ადამიანთა უფლებების დაცვა ჯარში, კორუფცია, მმართველობის სისტემები, კანონმდებლობა, რომელიც სამხედრო საკითხებს ეხებოდა და ა.შ. 1999 წლიდან 2004 წლამდე განვახორციელეთ რამდენიმე პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა წვევამდელთა უფლებების დაცვას, ჯარისკაცთა უფლებების დაცვას, ზოგად სამართლებრივ განათლებას ჯარისკაცებისთვის. ამასთან ერთად, განვახორციელეთ მონიტორინგი – სამხედრო ნაწილებში ჯარისკაცებსა და ოფიცრებს ჩაუტარდათ სემინარები, რათა უკეთ გარკვეულიყვნენ უფლებებში. მოამზადეთ ასევე მათი ცხოვრების ამსახველი ფოტომასალა და ეს ყველაფერი გადავეცით თავდაცვის სამინისტროს, რის შემდეგაც ვითხოვდით აღნიშნული ორგანოს რეაგირებას. ცოტა მოგვიანებით გამოვეცით „ოფიცერთა უფლებები“. ჩვენ მიერ შექმნილი კანონპროექტების გარკვეული ნაწილი საქართველოს პარლამენტმაც მიიღო. ცოტა ხნის წინ კი სახალხო დამცველმა შემომთავაზა, რომ ომბუდსმენის აპარატში გადავსულიყავი და სამხედრო მოსამსახურეთა უფლებები დამეცვა. მინდა ვითხრათ, რომ ჩვენს ასოციაციას – „სამართალი და თავისუფლება“ – წელიწადში 4000-მდე სამხედრო მოსამსახურე მომართავდა დასახმარებლად. ამრიგად ვთვლი, რომ უფლება არ მქონდა, სოზარ სუბარის მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე უარი მეთქვა. ჩემს ახალ მოვალეობას ამ წლის ნოემბრის დასაწყისში შევუდექი. უკვე მოვინახულეთ რამდენიმე სამხედრო ნაწილი, შევხვდით თანამდებობის პირებს და ავუხსენით იქ შექმნილი ვითარების დეტალები. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე ვცდილობთ, სათანადო რეაგირება მოვახდინოთ. მინდა, რომ თქვენი ჟურნალის საშუალებით საქართველოში მყოფმა ყველა სამხედრო მოსამსახურემ გაიგოს, რომ სახალხო დამცველის რწმუნებული სამხედრო საკითხებში მზად არის, განიხილოს ნებისმიერი სამხედრო მოსამსახურის უფლებების დარღვევის ფაქტები და ადეკვატური რეაგირება მოახდინოს. ჩვენ მოვინახულეთ სამხედრო ნაწილებს, ადგილზე შევისწავლით პრობლემას და ინფორმაციას ყოველივეს შესახებ თავდაცვის სამინისტროს შესაბამის უწყებებს მივაწვდით. მაგალითისთვის შემიძლია დაგისახელოთ ვაზიანის სამხედრო ნაწილში უვარგისი წყლის ფაქტი, რის შესახებაც უკვე ეცნობა ზემოხსენებულ უწყებას და იმედი გვაქვს, მოხდება სწრაფი რეაგირება. გარდა ამისა, გვსურს მივმართოთ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს კონკრეტული წინადადებებით, რათა აღმოიფხვრას ხარვეზები კანონმდებლობაში და სამხედრო მოსამსახურეთა უფლებები და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა შემდგომში კანონით იყოს დაცული.

— როგორც ვხედავ, ამ სფეროში მუშაობის საკმაო გამოცდილება გაქვთ, იქნებ პარალელები გაავლოთ, რა მდგომარეობა იყო ჯარში 5 წლის წინ და რა შეიცვალა ახლა?

– წლების განმავლობაში, როდესაც სამხედრო ნაწილებს ვსტუმრობდი, გაოგნებული ვრჩებოდი ნანახით. ისეთი ფოტომასალა მაქვს გადაღებული, რომ ბევრმა მოქალაქემ შეიძლება არც კი დაიჯეროს, თუ რა პირობებში მსახურობდნენ ჩვენი ჯარისკაცები. ყაზარმები საერთოდ არ თბებოდა, ჯარისკაცებს, ფაქტობრივად, სამოსიც კი არ ჰქონდათ. სველი პურით იკვებებოდნენ (პური წონით შეჰქონდათ...). უმეტეს შემთხვევაში, ყაზარმებში პირსაბანები არ ფუნქციონირებდა და ჯარისკაცები იძულებულნი იყვნენ, მახლობელ წყაროზე მიეწესრიგებინათ თავი. წარმოგიდგენიათ, 300-400 კაცისგან შემდგარი სამხედრო ნაწილი ერთ წყაროზე რომ დიბანს პირს...

2000 წ. შაუმიანის სამხედრო ნაწილი. მომავალი სამხედრო ომბუდსმენი, ირაკლი სესიაშვილი ჯარისკაცთა პრეტენზიებს ისმენს

— როგორც ცნობილია, არც თავად ოფიცრები იყვნენ უკეთეს პირობებში...

– ოფიცრები თვეობით ვერ იღებდნენ კუთვნილ ხელფასს და არც ფარავდნენ აგრესიას ხელისუფლების მიმართ. შეიძლება ითქვას, რომ ისინი მხოლოდ უკეთესი მომავლის იმედით რჩებოდნენ ჯარში. თავად ის ფაქტი, როდესაც ე.წ. ნოემბრის რევოლუციის დროს ჯარებმა პრინციპულად განაცხადეს, რომ კონფლიქტში მონაწილეობას არ მიიღებდნენ, არსებული ვითარებით იყო გამოწვეული. არც ის უნდა იყოს გასაკვირი, რომ დეზერტირობის მაჩვენებელი იმ პერიოდში კატასტროფულ რიცხვს აღწევდა. შეესწრებივარ ისეთ ფაქტებს, როდესაც ჯარისკაცები თვეობით დაუბანლები იყვნენ. ფაქტობრივად, იმ დროს ჯარი კორუფციისთვის არსებობდა. რეალურად, ჯარში რიცხოვნობის მხოლოდ 10-15 პროცენტი მსახურობდა.

— ახლა რა ვითარებაა?

– ახალი ხელისუფლების პირობებში მდგომარეობა ნამდვილად გამოსწორდა, რადგან სახელმწიფომ პრიორიტეტულად სამხედრო ძალების განვითარება დაისახა. თვალშისაცემია კორუფციის დონის მნიშვნელოვანი კლება. გამკაცრდა კონტროლი კვებაზე, ჩაცმა-დახურვაზე, ხელფასების დროულად გაკეთებაზე და ა.შ. ფაქტობრივად, ახლა დგას არა კვებისა და ჩაცმა-დახურვის, არამედ მათი ხარისხის პრობლემა. ასევე თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო პრეზიდენტის მიერ 2004 წლის 5 ნოემბერს გამოცემულ ბრძანებულებაზე, რომელიც თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სამხედრო და სამოქალაქო პირთა სოციალურ დაცვასა და მატერიალურ უზრუნველყოფას ეხება. ამ ბრძანებულებაში ბევრი სასიკეთო ცვლილებაა, თუმცა ძალიან ბევრ სერიოზულ პრობლემასაც ვხედავ, რაზეც სახალხო დამცველის აპარატი აუცილებლად გაკეთებს განცხადებას. ასე მაგალითად, ჯარისკაცის კვებისთვის გამოყოფილი თანხა 102 ლარამდე გაიზარდა, ოფიცრებისთვის კი 59 ლარი დარჩა. არადა, იმავე ბრძანებულებით, ოფიცერთა კვების ნორმაში შედის 9 კგ. ხორცი, 2 კგ. კარაქი, 2 ლ. ზეთი, 2,5 კგ შაქარი, 4,5 კგ. თევზი და ბევრი სხვა რამ. ცხადია, 59 ლარად ოფიცერი ამ რაოდენობის პროდუქტს ვერ იყიდის...

— მოდით, სხვა სახის პრობლემებზეც ვისაუბროთ.

– რა თქმა უნდა, ჯარი მხოლოდ იმისთვის არ არსებობს, რომ ჩაცვა, დაბანა და საჭმელი აჭამო. თუ ჯარი არ იქნება გაწვრთნილი, თუ არ იქნება მომზადებული და ამისთვის შესაბამისი პირობები არ შეიქმნება, მისი არსებობის მიზანშეწონილობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ჯარის მთავარი მიზანია, დაიცვას ქვეყნის სუვერენიტეტი. ამრიგად, ქვეყნის ბიუჯეტიდან მხოლოდ ჯარის სმა-ჭამისთვის არ უნდა გამოიყოს თანხები. უნდა არსებობდეს პროგრამული დაფინანსება, რომელიც გაწერილი იქნება მთელ წელიწადზე და მინიშნებული იქნება, რა სახის წრთვნა უნდა გაიაროს ჯარისკაცმა. ამისთვის კი აუცილებელია ტყვიაწამალი, ტექნიკა, სპეციალისტთა გუნდი და ა.შ. რაც შეეხება საკონტრაქტო პირობებში მყოფ ჯარისკაცებს, მათ დასახული ამოცანების განსახორციელებლად ნორმალური სამუშაო პირობები ესაჭიროებათ. პირველ რიგში, ეს გახლავთ ყაზარმა, რომელშიც უნდა იყოს გათბობა, წყალმომარაგება, სველი წერტილები...

— ამჟამად თუ არსებობს საქართველოში ყაზარმა, სადაც არის თქვენ მიერ ჩამოთვლილი ყველა პირობა?

– ამჟამად მიმდინარეობს ყაზარმების რემონტი, ზოგიერთი უკვე მზად არის, ზოგი მალე დასრულდება. რა თქმა უნდა, ზოგან არ არის ის პირობები დაცული, რომლებიც მე ჩამოთვალე, მაგრამ ეტაპობრივად მანც უნდა გამოსწორდეს ვითარება. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მოუგვარებელია შესყიდვების საკითხი, იგი ხორციელდება ცენტრალიზებულად, რაც მატერიალური თვალსაზრისით შესაძლოა ეკონომიური იყოს, მაგრამ პროდუქციის განაწილება არათანაბრად ხდება და საბოლოო ჯამში, ესა თუ ის პროდუქტი გაცილებით ძვირი უჯდება შესაბამის ორგანოს. მაგალითად, ბათუმში ყიდულობენ თევზს, ჩამოაქვთ თბილისში და შემდეგ ისევ თბილისიდან აწვდიან ბათუმს. ივივე სქემა ახალციხის კარტოფილთან დაკავშირებით და ა.შ. მეთაურს რომ ოთახში ნათურა გადაეწვას, იმდენი პატაკის შედგენა მოუწევს, რომ ქალაქდა და კალამზე უფრო მეტი თანხა დახარჯება, ვიდრე ახალი ნათურის შესაძენად. ამიტომ აუცილებელია, მოხდეს დეცენტრალიზაცია. ჯარის მომარაგება უნდა იყოს ცენტრალიზებული, ბაზები, რომელიც რეგიონალური ნიშნით იქნებიან დაყოფილი, მომარაგებაზე პასუხს თავად აგებენ. თავდაცვის სამინისტრომ უნდა გაფორმოს ხელშეკრულება ადგილობრივ მეწარმეებთან, რომლებიც აიღებენ პასუხისმგებლობას ბრიგადების მომარაგებაზე. ამასთან ერთად, ბრიგადის მეთაურს ყოველთვიურად უნდა აძლევდნენ გარკვეულ თანხას ხელზე, რათა მან საჭირო წვრილმანი მოთხოვნილებები დაკმაყოფილოს საჯარისო ნაწილში და ხანგრძლივად არ ელოდოს მაღლა მდგომის გადაწყვეტილებას.

— გაქვთ თუ არა კანონით მინიჭებული უფლება, რომ ნებისმიერ დროს მოინახულოთ ნებისმიერი სამხედრო ნაწილი?

– „სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით თანახმად, ჩვენ გვაქვს დაუბრკოლებლად შესვლის უფლება საჯარისო ნაწილში, რის შესახებაც კარგად არის ინფორმირებული თავდაცვის სამინისტრო და შესაბამისი სხვა სამხედრო უწყებები. ჩვენ გვაქვს უფლება, მოვითხოვოთ ნებისმიერი არასიდუმლო დოკუმენტი და ნებისმიერმა სახელმწიფო უწყებამ, მათ შორის სამხედრომაც ხელი უნდა შეგვიწყოს ამ საქმიანობაში. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ სახალხო დამცველის მუშაობისთვის ხელის შეშლა კანონით ისჯება.

— მხოლოდ რამდენიმე კვირაა, რაც ამ თანამდებობაზე დაინიშნეთ. თუ მოასწარით ერთ ფაქტზე მაინც მოგეხდინათ რეაგირება?

– ცოტა ხნის წინ დეზერტირობის გამო მარნეულში ჯარისკაცი დაკავეს. დანიშნული იყო სასამართლო პროცესი. ჩვენ შუამდგომლობით მივმართეთ, ჩვენს თავზე აიღეთ იმ ჯარისკაცის სამხედრო ნაწილში გადაყვანა და ჩავბარეთ კიდეც იგი კოჯორში მეთაურს.

— რა გახდა ამ ჯარისკაცის ჯარიდან გაქცევის მიზეზი?

– მიზეზი იყო ცემის ფაქტი, რომელიც 2001 წელს მოხდა. ჩვენი აზრით, აუცილებლად უნდა დასაჯონ ის სამხედროები, ვინც უმოწყალოდ სცემს ჯარისკაცი. ამ ყველაფერში უფრო მეტად დამნაშავეა მეთაური, რომელიც აღნიშნულ ფაქტებზე უბრალოდ თვალს ხუჭავს. უშუალოდ მინდა მივმართო შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს, რომ მკაცრი რეაგირება მოახდინოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე, როდესაც საქმე გვაქვს ცემასთან, შეურაცხყოფასთან და ა.შ. ჩადენილი დანაშაულის გამო დამნაშავე უნდა დაისაჯოს.

— ეი. ჯერ რეალურად ასეთი მაგალითი არ არსებობს?

– ასეთი ფაქტები ძალიან ცოტაა, მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც ჩადენილ დანაშაულს განსაკუთრებულად მძიმე შედეგი მოჰყვა. მაგალითად, თვითმკვლელობის მცდელობა. 2001 წელს ქუთაისში მოხდა ამაზრზენი ფაქტი, როდესაც ქრთამის არმიტანის გამო ოფიცერმა ჯარისკაცი რადიატორზე მიბა და ორი დღე-ღამე წყლისა და საკვების გარეშე ამყოფა. ამ ყოველივეს კი ის მოჰყვა, რომ ჯარისკაცმა მომწამვლელი ნივთიერება დალია, მართალია, ექიმებმა მას სიცოცხლე შეუნარჩუნეს, მაგრამ ჯარისკაცი I ჯგუფის ინვალიდი გახდა. ოფიცერს კი სასამართლომ მხოლოდ ორი წელი მუსაჯა.

— ეწ. „დედოვშინა" თუ არსებობს ქართულ ჯარში?

– თავისთავად „დედოვშინის" ფაქტია, როდესაც სერჟანტი სცემს ჯარისკაცს, თუმცა ისეთი „დედოვშინა", როგორიც საბჭოთა ჯარში იყო, ქართულ ჯარში არ გვხვდება.

— რა დონეზეა ჯანმრთელობის დაცვის ნორმები ქართულ ჯარში?

– 30 ადამიანი ვაზიანში C და B ჰეპატიტით არის დაავადებული, ნომრები რომ დაცული იყოს, ცხადია, ასეთ საფრთხეს თავს ავარიდებდით. ხშირია ვირუსების გავრცელების შემთხვევები.

— თავდაცვის სამინისტროში კადრების ოპტიმიზაციის პროცესი მიმდინარეობს. ხომ არ ფიქრობს ვინმე, რომ მათი, როგორც სამხედრო მოსამსახურის უფლებები დაირღვა?

– ჯერ კიდევ არასამთავრობო ორგანიზაციაში ყოფნისას მოგვმართეს ადამიანებმა, ვინც ფიქრობს, რომ უკანონოდ გათავისუფლეს სამსახურიდან. მათ შორის იყვნენ დეკრეტულ შვებულებაში მყოფი პირები, სასწავლებლად წასული პირები, მარტოხელა დედები, იყო შემთხვევა, როდესაც ორსული ქალბატონიც კი გათავისუფლეს თანამდებობიდან. ასევე კანონდარღვევით განხორციელდა ვაკანტური ადგილების შევსება, რიგ შემთხვევებში ნაცნობ-მეგობრობის პრინციპით, რიგ შემთხვევებში კი მათი პროფესიონალიზმის გათვალისწინებით.

— თუ გაქვთ ინფორმაცია, რა პირობებში იმყოფებიან კონფლიქტის ზონებში მყოფი ჩვენი სამხედროები?

– ჩემი დანიშვნის მეორე დღესვე დავურეკე შესაბამის ორგანოს და ვთხოვე, ოსეთში გამგზავრების საშუალება მოეცათ. გახმაურებული გატაცების ფაქტის გამო იქ ქაოტური ვითარება იყო შექმნილი და ჩემი ვიზიტი გადიდი. მაგრამ ზედაპირული ინფორმაციის საფუძველზე ხელისუფლებასთან პრეტენზიები მაინც გვაქვს. როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, ჯარისკაცებს მძიმე საველე პირობებში უხდებათ ყოფნა და კიდევ ერთი, იქ მყოფმა ჯარისკაცებმა, როგორც სამშვიდობოებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ ორჯერ მეტი ხელფასი ეკუთვნით, რასაც ჩემი ინფორმაციით, არ იღებენ.

— ცოტა ხნის წინ ერაყიდან ჩვენი ჯარისკაცები დაბრუნდნენ. ხომ არ აპირებთ მათ მონახულებას?

– რა თქმა უნდა, თითოეულ მათგანს გავესაუბრები. მინდა გითხრათ, რომ ვესწრებოდი ამ ჯარისკაცების ერაყში გაცილების პროცესს. გარდა ამისა, უკვე მივმართე თხოვნით გენშტაბს, რომ შემდეგ კონტინგენტთან ერთად მეც გავემგზავრო ერაყში და ადგილზე შევისწავლო ჩვენი ჯარისკაცების პრობლემები. გარკვეული შენიშვნები უკვე გვაქვს ჩამოყალიბებული ამ ჯარისკაცების აღჭურვასთან დაკავშირებით, მაგალითისთვის გეტყვით, რომ თავდაცვის სამინისტრომ მათთვის შეიძინა ქართული წარმოების იაფფასიანი ჯავშანჟილეტები, რომელთა ზედაპირიც მალევე გამოვიდა მწყობრიდან.

— დაბოლოს, თუ ჩვენი მკითხველი თვლის, რომ მისი უფლებები ირღვევა, სად და რა ფორმით უნდა მოგმართოთ?

– უნდა მოგვმართონ სახალხო დამცველის ოფისში, მაჩაბლის ქუჩა №11-ში, ან დაგვიკავშირდნენ ტელეფონის საშუალებით ნომერზე: 93-92-30.

ემა ტუხიაშვილი

კვალიფიციური რჩევები

„არსენალი“ აგრძელებს რუბრიკას, რომელშიც კვალიფიციურ პასუხს გავცემთ ყველა დაინტერესებულ პირს მათთვის საინტერესო საკითხებზე. ვეცდებით, შემოგთავაზოთ ერთი თემატიკით გაერთიანებული შეკითხვები.

კითხვებზე უპასუხებს ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება“, რომელიც უფასო იურიდიულ მომსახურებას სთავაზობს წვევამდელებსა და სამხედრო მოსამსახურეებს. საკონტაქტო ტელეფონი: 95-89-80

1. რა შემთხვევაში ხდება ოფიცრის სამსახურიდან დათხოვნა?

სამხედრო ძალების ოფიცერი სამსახურიდან შეიძლება დათხოვნილ იქნეს შემდეგ შემთხვევებში:

* ზღვრული ასაკის მიღწევისას;
* ავადმყოფობის გამო;
* რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით;
* სამსახურებრივი შეუსაბამობისათვის;
* სამხედრო მოსამსახურის ღირსების შემლახველი საქციელისათვის;
* ჩადენილი სისხლის სამართლის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ;
* პირადი სურვილით, თუ მან, როგორც ოფიცერმა, იმსახურა არანაკლებ ათი წლისა;
* მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო;
* პირადი განცხადებით, როგორც გამონაკლისი, დასაბუთებული და შესაბამისი დოკუმენტებით დადასტურებულ მიზეზთა გამო (მძიმე ოჯახური მდგომარეობა, სხვა სახელმწიფოში მუდმივსაცხოვრებლად გადასვლა, სახელმწიფო ორგანოში არჩევა ან დანიშვნა).

2. რა სახით ხდება ოფიცრის დასვენების უფლების უზრუნველყოფა?

სამხედრო სამსახურის გავლისას ოფიცერს ეძლევა ყოველწლიური შვებულება:

* სამხედრო ძალებში 10 წელზე ნაკლები ნამსახურებისათვის – 30 დღე;
* სამხედრო ძალებში 10 წელზე მეტი ნამსახურებისათვის – 45 დღე;
* საფრენოსნო სამუშაოზე ყოფნისას, სამხედრო-საზღვაო ძალების გემებზე, სარაკეტო და სატორპედო კატარღაზე სამხედრო სამსახურისათვის, სასაზღვრო ძალებში, სპეციალური დანიშნულების რაზმებში, აგრეთვე განსაკუთრებულ პირობებში საბრძოლო მორიგეობისათვის – 45 დღე.

3. რა შემთხვევაში აქვს ოფიცერს სამხედრო-სამსახურებრივი ბინის პრივატიზების უფლება?

უმაღლეს ოფიცრებს, რომლებმაც სამხედრო უწყებიდან ბინები უვადო სარგებლობის პირობით მიიღეს, უფლება აქვთ თავიანთი სურვილის მიხედვით, მოახდინონ მათი პრივატიზაცია (უსასყიდლო საკუთრებაში გაფორმება). ოფიცერთა დანარჩენ შემადგენლობას, რომლებმაც ბინები სამსახურებრივი დანიშნულებით მიიღეს, უფლება აქვთ ბინის მიღებიდან და სამხედრო სამსახურში სულ ცოტა ათი წლის სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ მოახდინონ მათი პრივატიზაცია.

4. როგორ ხდება ოფიცრისათვის სამხედრო წოდების მინიჭება?

ყოველი სამხედრო წოდებისათვის სამსახურის გავლისას დადგენილია ვადა. ოფიცერს სამხედრო წოდება ენიჭება წინა სამხედრო წოდებიდან სამხედრო სამსახურის ვადის გასვლისას. სამხედრო სამსახურის ვადის გარდა, წოდების მისანიჭებლად აუცილებელია ოფიცერს ეკავოს ისეთი თანამდებობა, რომლისთვისაც, შტატით გათვალისწინებულია მისანიჭებელი სამხედრო წოდების თანაბარი ან უფრო მაღალი სამხედრო წოდება. ოფიცერს სამხედრო წოდება ენიჭება თანმიმდევრობით, დაუშვებელია სამხედრო წოდების მინიჭება საფეხურგამოშვებით. ოფიცერს სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში სამხედრო წოდება ვადაზე ადრე შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ ერთხელ, განსაკუთრებული დამსახურებისათვის. ოფიცერი, რომელსაც თანამდებობრივი მდგომარეობისა და სამხედრო სამსახურის ვადის გამო ეკუთვნის მომდევნო სამხედრო წოდება, პატაკით (განცხადებით) მიმართავს თავის უშუალო უფროსს, რათა მან სამხედრო სუბორდინაციის დაცვით შესაბამისი სამხედრო უწყების ხელმძღვანელთან მომდევნო სამხედრო წოდების მისანიჭებლად შუამდგომლობა გაუწიოს. წოდების მინიჭების შესახებ გამოიცემა სამხედრო უწყების ხელმძღვანელის ბრძანება. აღნიშნული ბრძანება უნდა გამოიცეს პატაკის შეტანიდან 15 დღის ვადაში. ბრძანებას, თუ იგი წოდების მისანიჭებლად დადგენილ ვადაზე გვიან გამოიცა, უკუძალა უნდა მიენიჭოს, რათა დაცულ იქნეს წოდებებს შორის დადგენილი კალენდარული წლები.

5. რა ოდენობით ხდება ერთდროული გასასვლელი ფულადი დახმარების გაცემა ზღვრული ასაკის გამო ოფიცერთა სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში?

ზღვრული ასაკის გამო ოფიცრის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნისას ოფიცრების უზრუნველყოფა ერთდროული გასასვლელი ფულადი დახმარებით ხორციელდება შემდეგი ოდენობით:

* 15 კალენდარული წლისა და ნეკლები ნამსახურებისათვის – 6 თვის სარგოს ოდენობით;
* 15-დან – 20 წლამდე ნამსახურებისათვის – 8 თვის სარგოს ოდენობით;
* 20-დან – 25 წლამდე ნამსახურებისათვის – 10 თვის სარგოს ოდენობით;
* 25 და მეტი კალენდარული წლის ნამსახურებისათვის – 12 თვის სარგოს ოდენობით.

6. რა დაავადებების შემთხვევაში არ ექვემდებარება პირი სამხედრო სავალდებულო სამსახურს?

– აღნიშნულ საკითხს არეგულირებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1996 წლის № 360 ბრძანების დანართი, რომლის შესაბამისადაც წვევამდელს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად, შეიძლება მიენიჭოს შემდეგი კატეგორიებიდან ერთერთი:

ა) ვარგისი სამხედრო სამსახურისათვის;

ბ) ვარგისი სამხედრო სამსახურისათვის უმნიშვნელო შეზღუდვით;

გ) შეზღუდულად ვარგისი სამხედრო სამსახურისათვის;

დ) დროებით უვარგისი სამხედრო სამსახურისათვის;

ე) უვარგისი სამხედრო სამსახურისათვის:

ქართულ სპეცსამსახურებს საზრუნავი ემატება

მიმდინარე წლის ნოემბრის დასაწყისში NATO-ს გენერალური მდივნის იან დე ჰოოპ სხეპერის ვიზიტი საქართველოში ძალზე მნიშვნელოვანი იყო. „ჩრდილოეთატლანტიკურ ალიანსთან საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმა“, რომელიც დსთ-ს სივრცეში NATO-სთან ინტეგრაციის ყველაზე დაჩქარებული მოდელია, საზრუნავს და საფიქრალს მოუმატებს ჩვენს სპეცსამსახურებს. საქართველოში ერთადერთი საკითხი, რომელზეც „ერი და ბერი“ ერთსულოვანია NATO-ს სრულფასოვანი წევრობაა. მართალია, ერაყის ომთან დაკავშირებით ამ ორგანიზაციის შიგნით გარკვეული უთანხმოება წარმოიშვა, მაგრამ მარკ ტვენის ცნობილი გამონათქვამისა არ იყოს: ხმები NATO-ს გარდაცვალების შესახებ, ოდნავ გაზვიადებულია.

ჩვენი ქვეყნისთვის ამ ორგანიზაციის წევრობა უპირობოდ რჩება სასიცოცხლო ამოცანად. ვერ დავეთანხმებით ზოგიერთი პოლიტოლოგისა და სამხედრო ექსპერტის აზრს, რომ აშშ-თან ორმხრივი თანამშრომლობის განვითარებას შეუძლია საქართველოს NATO-ში გაწევრიანების შეცვლა.

ამის მთავარი მიზეზი, კი აშშ-ის პოლიტიკური ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა. კერძოდ, ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნებში პირველად გამარჯვებული პრეზიდენტი (მით უფრო, თუ ის დემოკრატიული პარტიიდანაა) საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას და, პირველ რიგში, რუსეთთან ურთიერთობისას, მეტად ფრთხილია (მაგალითად შეიძლება გავიხსენოთ ბილ კლინტონის პრეზიდენტობის პირველი ვადა, როდესაც საქართველოსადმი სამხედრო-პოლიტიკური დახმარება მეტად უმნიშვნელო იყო, განსაკუთრებით აფხაზეთში სამხედრო კონფლიქტის დროს). ამ მხრივ, ჯორჯ ბუშის აშშ-ის პრეზიდენტად მეორე ვადით არჩევა, საერთო ჯამში, საქართველოსთვის პოზიტიურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ამავე დროს, აშშ-ის ერთ პოლიტიკურ ფიგურაზე, მის სუბიექტურ შეხედულებებსა და პიროვნულ თვისებებზე ძალზე ძნელია ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ხანგრძლივვადიანი სტრატეგიის აგება.

ამის საპირისპიროდ, NATO გამოირჩევა გაცილებით მეტი მდგრადობით, ევროპასა და მის მიმდებარე რეგიონებში საერთაშორისო სტაბილურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების რეალური ძალითა და მრავალწლიანი გამოცდილებით.

ამიტომ საქართველოს NATO-ში გაწევრიანება და აშშ-თან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავება, პარალელურად მიმდინარე პროცესები უნდა იყოს.

რას ნიშნავს საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის დაჩქარება?

ალბათ იგულისხმება ის, რომ „ალიანსი“ ჩვენთვის გარკვეულად შეასუსტებს პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და სოციალური სტანდარტების საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს, თუმცა არსებობს NATO-ს ერთი მოთხოვნა, რომელსაც შეღავათები ნამდვილად არ შეეხება — ესაა „ალიანსის“ საიდუმლო სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და ა.შ. ინფორმაციის გაჟონვის თავიდან აცილება. ეს, ერთი შეხედვით, ადვილად გადასაწყვეტი პრობლემა უკავშირდება საქართველოსთვის ურთულეს საკითხს — უცხო ქვეყნების „სპეცსამსახურების“ ჯერჯერობით კვლავ გალაღებულ ოპერატიულ-აგენტურულ საქმიანობას ჩვენს ქვეყანაში. NATO-ს საიდუმლოებებით აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბევრი ქვეყანაა დაინტერესებული. ამიტომ მათი დაზვერვა, საელჩოებში განლაგებული რეზიდენტურების მეშვეობით, შეეცდება მათთვის საინტერესო დოკუმენტაციის, როგორც აგენტურული, ასევე ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებებით მოპოვებას. მოსალოდნელია, რომ ამ მიმართულებით ყველაზე მეტად ის ქვეყნები იაქტიურებენ, რომლებიც ყველაზე მეტად ეწინააღმდეგებიან NATO-ს შემოსვლას სამხრეთ კავკასიაში.

რა კონტრდაზვერვით ღონისძიებებს დაუპირისპირებენ ჩვენი სპეცსამსახურები იმ მოწინააღმდეგეს, რომელსაც NATO-ს საიდუმლოებებზე ნადირობის (ხშირად ძალზე წარმატებული) ორმოცდაათწლიანი გამოცდილება აქვს?

„ცივი ომის“ პერიოდში NATO საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების მთავარ სამიზნეს წარმოადგენდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ „კგბ“-სა და „გრუ“-ს პარიზისა და ბრიუსელის რეზიდენტურები, სადაც NATO-ს შტაბბინაა განთავსებული

ამავე დროს, აღმოსავლეთ გერმანიის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის სატელიტი სპეცსამსახურები, რომლებიც „მოსკოვის“ მიერ იყვნენ „გამოზრდილნი“, აქტიურად მონაწილეობდნენ NATO-ს დანაყოფებში აგენტურული და ფიზიკური (ანუ ფარულად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით) შეღწევის მოსკოვის მიერ დაგეგმილ ოპერატიულ ღონისძიებებში და მოპოვებულ მონაცემებს „უფროს კოლეგებს“ გადასცემდნენ.

NATO-ში ყველაზე მნიშვნელოვანი საბჭოთა აგენტების მოკლე დოსიე ასეთია:

ჯონ კერნოკროსი (1913-1995) შოტლანდიელი, „კგბ“-ს აგენტი 1937 წლიდან, ე.წ. „კემბრიჯის ხუთეულის“ წევრი, ოპერატიული ფსევდონიმი „კარელი“. NATO-ს დაარსების დღიდან რამდენიმე წლის მანძილზე საბჭოთა კავშირს ალიანსის საიდუმლო სამხედრო დოკუმენტებს აწვდიდა.

ჟორჟ პაკი, ფრანგი, 1943-1963 წლებში იყო „კგბ“-ს პირველი სამმართველოს (საგარეო დაზვერვა) აგენტი. 1958 წელს დაინიშნა საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ საპასუხისმგებლო პოსტზე, მაგრამ საბჭოთა დაზვერვის ხელშეწყობით მალევე გადაიყვანეს NATO-ს პრესსამსახურის უფროსად, რაც საშუალებას აძლევდა მოსკოვისთვის ალიანსის სრულიად საიდუმლო სამხედრო და პოლიტიკური ინფორმაცია გადაეცა.

პაკი იყო საფრანგეთში მოქმედი საბჭოთა აგენტურული ქსელის (კოდური სახელწოდება „საფირი“) ერთ-ერთი წევრი. დააპატიმრეს და გაასამართლეს 1963 წელს. მიესაჯა შვიდი წელი.

ჰიუ ჯორჯ ჰემბლტონი, დაიბადა 1922 წელს კანადაში. გადმობირებული იყო „კგბ“-ს პარიზის რეზიდენტურის მიერ 1950-იანი წლების დასაწყისში. საბჭოთა დაზვერვის დახმარებით სორბონაში მიიღო უმაღლესი განათლება და დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ეკონომიკის განხრით. NATO-ს შტაბ-ბინაში სპეციალობით მუშაობდა. ხუთი წლის მანძილზე საბჭოთა დაზვერვას გადასცა რამდენიმე ათასი საიდუმლო

დოკუმენტი გრიფით „კოსმიკი“, რაც NATO-ს სტანდარტებით საიდუმლოების ერთ-ერთ უმაღლეს კატეგორიას მიეკუთვნება. მის მიერ გამოტანილი დოკუმენტაციის სწრაფი დამუშავების მიზნით, პარიზის რეზიდენტურამ, რომელსაც იმ წლებში ქართველი კონტრმზვერავებისთვის ალბათ ნაცნობი გვარის გენერალი, მიხეილ ციმბალი (ოპერატიული ფსევდონიმი „როგოვი“) ხელმძღვანელობდა, ერთი მეტად ეშმაკური ხერხი მოიფიქრა.

ჰემბლტონის სამსახურთან ახლოს, პარიზის ერთ-ერთ ქუჩაში მდგომი შავი ფერის მიკროავტობუსი ყურადღებას დიდად არ იქცევდა, შიგნით კი, ტექნიკის უმაღლეს დონეზე აღჭურვილ ფოტოლაბორატორიაში NATO-ს საიდუმლო დოკუმენტების კოპირება ხდებოდა. ამოსუნთქვის დროც არ იყო, რადგან საბჭოთა აგენტს შესვენების დამთავრებამდე სეიფში უნდა დაებრუნებინა NATO-ს საიდუმლო სამხედრო გეგმები და ეკონომიკური პროგნოზები. ჰემბლტონის, როგორც საბჭოთა აგენტის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის უნიკალური ფაქტიც, რომ 70-ინ წლებში ის სპეციალურად ჩამოიყვანეს მოსკოვში „კგბ“-ს თავმჯდომარე იური ანდროპოვთან შესახვედრად და საზეიმო სადილიც კი გაუმართეს.

ჰემბლტონი დააპატიმრეს და გაასამართლეს 1982 წელს – NATO-დან წამოსვლიდან 21 წლის შემდეგ მიესაჯა ათი წელი.

რაინერ რუპი, გერმანელი. ოპერატიული ფსევდონიმი „ტოპაზი“. გადმობირებული იყო დიუსელდორფის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში. მეუღლესთან (ოპერატიული ფსევდონიმი „ტიურკისი“) ერთად 1970-1989 წწ. მუშაობდა აღმოსავლეთ გერმანიის დაზვერვაზე („შტაზი“). მათ წლების მანძილზე NATO-ს შტაბბინიდან გამოიტანეს დაახლოებით,10 000 საიდუმლო დოკუმენტის ასლი (მათ შორის „მც-161“ –სპეციალური გამოკვლევა, სადაც გაანალიზებული იყო საბჭოთა ბლოკის სამხედრო პოტენციალი, ნაჩვენები იყო მისი ძლიერი და სუსტი მხარეები). ამ დოკუმენტების მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი,რომ NATO-ს ექსპერტთა განცხადებით, იმ პერიოდში სამხედრო დაპირისპირება რომ მომხდარიყო, „ალიანსი“ დამარცხებისათვის წინასწარ იყო განწირული. რუპი 1994 წელს გაასამართლეს და თორმეტწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

NATO-ს სტანდარტებით საიდუმლო ინფორმაცია ოთხ კატეგორიად იყოფა:

სამსახურებრივი; საიდუმლო; მკაცრად საიდუმლო (ე.წ. „კოსმიკი“) და სრულიად საიდუმლო. NATO თავს იზღვევს და პირველ ეტაპზე ალიანსის ახალ წევრებსა და კანდიდატებს მხოლოდ სამსახურებრივი და საიდუმლო კატეგორიის ინფორმაცია გადაეცემათ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, NATO-ს სამხედრო და პოლიტიკური საიდუმლოებების მოპოვება ამჟამადაც ბევრი ქვეყნის სპეცსამსახურების სანუკვარი ოცნებაა.

ხომ არ გახდება საქართველო-NATO-ს თანამშრომლობის გაღრმავება „ალიანსის“ საიდუმლოებების გადინების ახალ არხად? თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველა სფეროში (პოლიტიკურ პარტიებში, რელიგიურ ორგანიზაციებში, სამეცნიერო და ხელოვნების წრეებში და განსაკუთრებით – სპეცსამსახურებში, სამართალდამცავ და სამხედრო სტრუქტურებში) უცხო ქვეყნების აგენტურა მრავლად იყო „ჩანერგილი“ და მათი ლუსტრაცია, სამწუხაროდ, კვლავ არ მომხდარა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ NATO-სთან ურთიერთობებისას ეს ფაქტი შეიძლება გადაულახავი ზღუდეც გახდეს ჩვენი ქვეყნისთვის.

ჩვენზე ადრე ანალოგიურ პრობლემებს წააწყდნენ ალიანსში გაწევრიანების სხვა მსურველებიც: ლატვია, ბულგარეთი და სლოვენია. NATO-მ მათ წაუყენა სპეცსამსახურების სტრუქტურული და ფუნქციონალური რეორგანიზაციის, აგრეთვე, სახელმწიფო საიდუმლოებების დაცვის გამკაცრების მოთხოვნა.

ჩეხეთის ხელისუფლებამ NATO-ში გაწევრიანების შემდეგ ძალზე აქტიურად დაიწყო არსებული თუ პოტენციური აგენტურისაგან თავდაცვის სამინისტროს, საგარეო უწყებისა და სპეცსამსახურების წმენდა. იქ ეს პროცესი საკმაოდ სწრაფად და უმტკივნეულოდ ჩატარდა.

რუმინეთშიც ძალზე სერიოზულად მიუდგნენ უცხო ქვეყნების აგენტურისგან სახელმწიფო სტრუქტურების წმენდის საკითხს. ისინი ხელმძღვანელობდნენ „NATO-ს საიდუმლო ინფორმაციის დაცვის ნორმებით“, ანუ იმ სტანდარტებით, რომელთა საფუძველზეც სახელმწიფო უწყებების თანამშრომლებზე ე.წ. „უსაფრთხოების სერტიფიკატი“ გაიცემა. ამ დოკუმენტის მისაღებად აცილებელია სპეციალური ტესტირების გავლა და მთელ რიგ კითხვებზე პასუხის გაცემა, რომელთა სისწორესაც შემდგომ რუმინეთის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო ღია და ფარული მეთოდებით ამოწმებს.

ესტონეთის სპეცსამსახურების ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელი და ამჟამინდელი გენპროკურორი იური პიჰლი პირდაპირ აცხადებდა,რომ ესტონეთის NATO-ში შესვლის შემდეგ ამ ქვეყანაში რუსეთის დაზვერვა ძალზე გააქტიურდა და ტალინში რუსეთის საელჩოში რუსი მზვერავების რაოდენობა სამჯერ გაიზარდა.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ზემოაღნიშნულ ქვეყნებში სპეცსამსახურებს დიდი ყურადღება ექცევა ხელისუფლების მხრიდან, როგორც სანდო და მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევის, ასევე ფინანსური უზრუნველყოფის კუთხით, მაშინ ნათელი გახდება, თუ რა ურთულესი დღეები ელის საქართველოს სპეცსამსახურებს.

სავარაუდოა, რომ ჩვენს პოტენციურ მოწინააღმდეგეებს უკვე კარგა ხანია მონიშნული აქვთ ის ოპერატიული სიმაღლეები, საიდანაც NATO-ს საიდუმლოებებს უნდა შეუტიონ, შერჩეული იქნებიან და ალბათ შესაბამის დამუშავებასაც გადიან კონკრეტული შემსრულებლებიც. ამ პრობლემებთან შეჭიდება, პირველ რიგში, უშიშროების სამინისტროს სამხედრო კონტრდაზვერვის დანაყოფს მოუხდება. სამწუხაროდ, კონტრდაზვერვის ეს კონკრეტული მიმართულება ყოველთვის იყო საქართველოს სპეცსამსახურების „აქილევსის ქუსლი“. ადრე სამხედრო კონტრდაზვერვა „მინი სამხედრო გადატრიალებების“ პროვოცირებით, სამხედრო ნაწილებში კარტოფილისა და ჩექმების დანაკლისის „შესწავლით“ იყო დაკავებული და შეიარაღებულ ძალებში უცხო ქვეყნის აგენტურის მუშაობის რეალურ მდგომარეობას ვერ ფლობდა.

NATO-სთან ინტეგრაციის პროცესის დაჩქარება სამხედრო კონტრდაზვერვის დანაყოფებიდან მოითხოვს ოპერატიული მომსახურების ქვეშ მყოფ სამხედრო ობიექტებზე ოპერატიული მდგომარეობის ზედმიწევნით ცოდნას და სამხედრო ნაწილებში უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების აგენტურული და ოპერატიულ-ტექნიკური შეღწევის თავიდან აცილებას. შეძლებს კი საქართველოს უშიშროების სამინისტრო ამჟამად არსებული საკადრო და ფინანსური რესურსებით ამ მოთხოვნების შესრულებას? უკეთესის იმედი ვიქონიოთ, მაგრამ ალბათ ძალიან გაჭირდება.

სპეციალური სამსახურების არსენალში

დასამალი არ არის, რომ ყველა ქვეყნის სპეცსამსახურს უხდება „ბინძური“ და „სისხლიანი“ ოპერაციების (პოლიტიკური მკვლელობა, ტერაქტი, ოპერატიული დაინტერესების ობიექტის დროებით მწყობრიდან გამოყვანა და ა.შ.) ჩატარება. ამ ამოცანებისთვის მათ სტრუქტურებში შექმნილია სპეციალური დანაყოფები, რომლებიც ჩვეულებრივ რაიმე ნეიტრალურ სახელს არიან ამოფარებულნი, რადგანაც სპეცოპერაციების მომზადება და ჩატარება მაქსიმალურად ფარულად უწევთ. გარდა ამისა, თვით შედეგიც (მაგ. რომელიმე „მეგობარი“ ქვეყნის პოლიტიკური მოღვაწის მოულოდნელი გარდაცვალება „გულის შეტევით“ ან „შემთხვევითი ავტოავარიით“ – რეალურად კი მათი ლიკვიდაცია ან თუნდაც მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტობის რეალური კანდიდატის მოწამვლა და საარჩევნო კამპანიას დროებით ჩამოცილება) ისე უნდა იყოს შენიღბული და ფარავდეს რეალურ კვალს, რომ სიმართლის დადგენა შეუძლებელი გახდეს.

ამ ოპერაციების დელიკატურობიდან გამომდინარე შესრულების იარაღიც განსაკუთრებული და უჩვეულო უნდა იყოს. ამიტომ სპეციალურად რომელიმე კონკრეტული ოპერაციის შესასრულებლად, სპეცსამსახურების საიდუმლო ლაბორატორიებში მზადდება იარაღი, რომლის გარეგნული სახე და ტექნიკური მახასიათებლებიც ძალზე განსხვავდება ჩვეულებრივისგან. სპეცსამსახურები, როგორც წესი, ტექნიკურ დანაყოფებს აცნობენ ოპერაციის ზოგად კონტურებს და უკვეთავენ შესაბამის იარაღს. პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ფიზიკური განადგურების უახლესი ხერხებისა და საშუალებების გამოგონებაში სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურებს შორის ყოველთვის იყო და არის ფარული „შეჯიბრი“. ამჟამად მხოლოდ ზოგიერთი ქვეყნის სპეციარაღსა და მათი გამოყენების შემთხვევებზე მოგითხრობთ. პოლიტიკური მკვლელობისა და ტერაქტების ორგანიზების მხრივ საბჭოთა სპეცსამსახურები ყოველთვის გამოირჩეოდნენ „ნოვატორული“ იდეებით. სანამ დიდი საბჭოთა დიქტატორი სტალინი ცოცხალი იყო, ყველა მნიშვნელოვანი ლიკვიდაციის ოპერაციის ოპერატიულ საკითხებს აუცილებლად მასთან ათანხმებდნენ. სტალინს მნიშვნელოვანი შესწორებები და შენიშვნები შეჰქონდა წარმოდგენილ გეგმებში. ხშირად კი თვითონ სთავაზობდა ორიგინალურ იდეებს. ასე იყო უკრაინის ნაციონალისტური ორგანიზაციის ლიდერის, ევგენი კონოვალეცის ლიკვიდაციის დროს. როგორც კი გაირკვა, რომ კონოვალეცს ძალზე უყვარდა შოკოლადი, სტალინმა სუდოპლატოვს, საბჭოთა სპეცოპერაციების დიდოსტატს, მაშინვე ურჩია ამ სისუსტის გამოყენება. დანარჩენი უკვე შინსახკომის ოპერატიულ-ტექნიკური განყოფილების „ჯადოქრებზე“ იყო დამოკიდებული. მართლაც, სულ მალე, შოკოლადის ყუთის ფორმის ასაფეთქებელი მოწყობილობა მზად იყო. ვერტიკალურ მდგომარეობაში ის ავტომატურად მოდიოდა მოქმედებაში. სუდოპლატოვმა 1938 წლის 23 მაისს როტერდამში რესტორან „ატლანტაში“ კონოვალეცს დამშვიდობებისას მაგიდაზე „სტალინის საჩუქარი“ დაუტოვა და რამდენიმე წუთში ოპერაცია დამთავრებული იყო...

განსაკუთრებული მიზნებისთვის სპეციარაღს სხვა ქვეყნებიც ამზადებდნენ. 1940-იან წლებში აშშ-ში, ინგლისსა და გერმანიაში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გამოიგონეს „ცეცხლსასროლი ავტოკალმები“ (იხ. ილუსტრაცია). გერმანიის საგარეო დაზვერვას ეს იარაღი დასახული გეგმის მიხედვით რომ გამოეყენებინა, მაშინ XX-ე საუკუნის ისტორია დიამეტრულად საპირისპირო მიმართულებით განვითარდებოდა. თავად განსაჯეთ. მეორე მსოფლიო ომი მთავრდებოდა. გერმანია დამარცხებისთვის იყო განწირული. კატასტროფის თავიდან ასაცილებლად მესამე რეიხის ხელმძღვანელები გამალებით ეძებდნენ გამოსავალს. დიპლომატიისა და საგარეო დაზვერვის დიდი მცდელობის მიუხედავად, მათ ვერ შეძლეს „დიდი სამეულის“ (სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი) გახლეჩა. ცალკე ინგლისთან და აშშ-თან სამშვიდობო მოლაპარაკებების მცდელობები საბჭოთა დიქტატორის დემარშების შემდეგ უშედეგოდ დამთავრდა. ამიტომ გერმანიის საგარეო საქმეთა რეიხმინისტრ

„კგბ“-ს კაპიტანი ნიკოლაი ხოხლოვი და მისი „კლიენტი“, ემიგრაციის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ოკოლოვიჩი. ხოხლოვი სახლში ესტუმრა მომავალ მსხვერპლს — ოკოლოვიჩს და ... ყველაფერში გამოუტყდა. იმავე წლის 20 აპრილს გამართულ პრესკონფერენციაზე ხოხლოვმა საჯაროდ წარმოადგინა „კგბ“-ს საიდუმლო ლაბორატორიებში დამზადებული იარაღი — პისტოლეტი რომელიც სიგარეტის კოლოფში იყო ჩამონტაჟებული









საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

რიბენტროპის წინადადებით გადაწყდა „დიდი სამეულის“ ყველაზე საშიში წევრის – სტალინის ფიზიკური ლიკვიდაცია. კონკრეტული მოქმედებების გეგმა განსაზღვრა გერმანელი გამომგონებლების მიერ შექმნილმა ახალმა ცეცხლსასროლმა იარაღმა – ავტოკალამმა, რომელიც 6-8 მეტრიდან სასიკვდილოდ აზიანებდა მიზანს.

რიბენტროპმა თავისი იდეა ჰიტლერს, ჰიმლერსა და ბორმანს გაუზიარა. ტერაქტის უშუალო შემსრულებლად გერმანიის საგარეო დაზვერვის შეფი ვალტერ შელენბერგი დასახელდა. გერმანიის მხარეს უნდა მიეღწია და სტალინი უმაღლესი დონის ორმხრივ ფარულ მოლაპარაკებებზე „შეეტყუებინა“, იქ კი შელენბერგი „ავტოკალამს“ გამოიყენებდა. ეს უკანასკნელი თავის მემუარებში იხსენებს თუ როგორ „ჩამოუვარდა ყბა“, როცა რიბენტროპმა თავის „გენიალური“ იდეა გააცნო. ამ გეგმის აბსურდულობა იმაში იყო, რომ ისედაც პათოლოგიურად ეჭვიანი სტალინი, არაფრის დიდებით არ დაჯდებოდა მოლაპარაკების მაგიდასთან დამარცხებისთვის უკვე განწირულ მტერთან. სტალინისა და ბერიას გარდაცვალების შემდეგ, 1954 წელს ხრუშჩოვმა, თავად „ყელამდე“ სისხლში გასვრილმა, საბჭოთა სპეცსამსახურების სტრუქტურებში არსებული სპეცაქციების (ანუ საბჭოთა კავშირის ან პირადად მისი ხელმძღვანელებისათვის არასასურველი პირების ლიკვიდაციის) დანაყოფები ვითომდა გააუქმა. სინამდვილეში კი ეს ფუნქციები უშიშროების სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს მე-13 განყოფილებას გადასცა. პოლიტიკური მკვლელობების შემკვეთი და, ფაქტიურად, მთავარი ტერორისტული ორგანიზაცია იმ წლებში საბჭოთა პოლიტბიურო და პირადად ნიკიტა ხრუშჩოვი იყო. ტერორისტული აქტები კვლავ საბჭოთა კავშირის ფარული საგარეო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად რჩებოდა. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1950-იანი წლების შუა პერიოდში პოლიტბიურომ „კგბ“-ს ემიგრანტული და ნაციონალისტური (პირველ რიგში უკრაინული) ორგანიზაციების ლიდერების: გიორგი ოკოლოვიჩის, სტეპან ბანდერას და ლევ რებეტის ფიზიკური ლიკვიდაციის ბრძანება გასცა. „კილერების“ კანდიდატურებიც უმაღლეს პარტიულ ინსტანციაში – პოლიტბიუროში მტკიცდებოდა. საერთაშორისო სკანდალების თავიდან ასაცილებლად განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა „სპეცღონისძიების“ შესრულების იარაღს, რათა სიკვდილი მაქსიმალურად „ბუნებრივი“ ყოფილიყო.

1954 წლის თებერვალში „კგბ“-ს კაპიტან ნიკოლაი ხოხლოვს, ანტისაბჭოთა გამოსვლებით ცნობილი ემიგრაციის ერთერთი ლიდერის გიორგი ოკოლოვიჩის ლიკვიდაცია დაევალა. ამ ოპერაციისთვის „კგბ“-ს საიდუმლო იარაღის ლაბორატორიაში დაამზადეს მინიატიურული პისტოლეტი, რომელიც სიგარეტის კოლოფში იყო მოთავსებული. მაგრამ, როდესაც კაპიტანი ხოხლოვი დასავლეთ გერმანიაში ოპერაციის შესასრულებლად ჩავიდა, ყველასგან მოულოდნელად სახლში ესტუმრა მომავალ მსხვერპლს და ყველაფერში გამოუტყდა. იმავე წლის 20 აპრილს გამართულ პრესკონფერენციაზე ხოხლოვმა საჯაროდ წარმოადგინა „კგბ“-ს საიდუმლო ლაბორატორიებში დამზადებული იარაღი (იხ. ილუსტრაცია). ამ ფაქტების შემდეგ ამტყდარმა დიდმა საერთაშორისო სკანდალმა, როგორც ჩანს, სათანადოდ არ იმოქმედა საბჭოთა ხელმძღვანელობაზე და სულ მალე „კგბ“-ს ახალი მკვლელობები „შეუკვეთა“. დასავლეთ გერმანიაში მოქმედი უკრაინის ნაციონალისტური ორგანიზაციის ლიდერების ლიკვიდაციისათვის სპეციალურად შეარჩიეს „კილერი“ – ასევე უკრაინელი, ოცდახუთი წლის ბოგდან სტაშინსკი, რომელიც იმ დროისათვის „კგბ“-ს ლვოვის განყოფილების ფარული თანამშრომელი იყო. სათანადო შემოწმებისა და სპეციალური მომზადების შემდეგ მისი კანდიდატურა სკკპ ცკ-ში განიხილეს და დაამტკიცეს. 1957 წლის 13 ოქტომბერს მიუნჰენის გაზეთები იუწყებოდნენ ცნობილი უკრაინელი ანტისაბჭოთა მოღვაწის ლევ რებეტის მოულოდნელ გარდაცვალებას, დიაგნოზი: „გულის მწვავე უკმარისობა“. ზუსტად ორი წლის შემდეგ იმავე ქალაქში ასევე მოულოდნელად გარდაიცვალა უკრაინის ეროვნული მოძრაობის ლიდერი სტეფან ბანდერა. დიაგნოზი ანალოგიური იყო.. ორივე მკვლელობის ავტორი ბოგდან სტაშინსკი 1962 წლის შემოდგომაზე „კგბ“-სგან ფარულად დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე გადავიდა და ჩადენილი დანაშაული პოლიციაში აღიარა. ორივე შემთხვევაში ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის იარაღი, რომელიც „კგბ“-ში სპეციალურად ამ „სპეცღონისძიებისათვის“ შეიქმნა. ეს იყო მსუბუქი ლითონისაგან დამზადებული მცირე პარამეტრების ცილინდრის ფორმის მილი (წონა – 200გ; დიამეტრი – 0,75 სმ, სიგრძე – 7სმ), რომლის „ვაზნას“ წარმოადგენდა ჰერმეტულად დახუფული პლასტიკური ამპულა, შიგნით მოთავსებული უფერო და უსუნო ციანიდის შხამით. სპეციალურ ღილაკზე ხელის დაჭერით მილში სკდებოდა ციანიდის ამპულა და გამოიფრქვეოდა თხევადი შხამის ჭავლი. მსხვერპლისგან დაშორება არ უნდა ყოფილიყო 45 სმ-ზე მეტი. სახეში მისხურების შემდეგ შხამი ხვდებოდა რა სასუნთქ გზებში, მსხვერპლს ეწყებოდა სისხლძარღვების მკვეთრი და ძლიერი შევიწროება, რაც სპაზმებს და რამდენიმე წუთის შემდეგ სიკვდილს იწვევდა. შხამიანი აირი ორთქლდებოდა და



გიორგი მარკოვი, ბულგარელი დისიდენტი, ქვედა ფოტოზე ნაჩვენები მოწამლული 1.7 მმ დიამეტრის შხამიანი კაფსულით მოკლეს. კაფსულა ჩვეულებრივი ქოლგის წვეტზე იყო დამაგრებული და „უნებლიე ჩხვლეტის“ შემდეგ, მწერლის სხეულში ჩარჩა.



ავტოკალამი-პისტოლეტი „სტინგერი“. კალიბრი .22 დუმი აშშ (1940-45 წწ)

არანაირ კვალს არ ტოვებდა. ტერაქტის შემსრულებელი თავდასხმის წინ იღებდა სპეციალურ აბებს, რათა შხამისგან დაცული ყოფილიყო. ამ აირის მფრქვეველი იარაღის მნიშვნელოვანი თავისებურება ის იყო, რომ სისხლძარღვები პირვანდელ ფორმას მალევე უბრუნდებოდა და გამოცდილ პათოლოგანატომსაც კი გაუჭირდებოდა სიკვდილის ნამდვილი მიზეზის დადგენა. ოცი წლის შემდეგ აშშ-ში ეს იარაღი უფრო დახვეწეს — ჩვეულებრივი ფლომასტერის ფორმა მისცეს (იხ. ილუსტრაცია). „დიდი მოაზროვნის და ჰუმანისტის“ იური ანდროპოვის „კგბ“-ს ხელმძღვანელობის პერიოდში, პოლიტიკური მკვლელობების იარაღი განსაკუთრებით „დაიხვეწა“. კვალის მაქსიმალურად დასაფარად მკვლელობების, დივერსიებისა და ტერაქტების ჩატარებას უკვე „კგბ“-ს „ს“ სამმართველოს (არალეგალური დაზვერვა) მე-8 განყოფილება აწარმოებდა. ხოლო სპეციარაღის დამზადებას რესპექტაბელური — „ახალი და სპეციალური ტექნოლოგიების ინსტიტუტის“ შირმას ამოფარებული სპეცლაბორატორია აგრძელებდა. ამ პერიოდში საყოველთაოდაა ცნობილი ორი ბულგარელი დისიდენტის — მარკოვის და კოსტოვის მკვლელობის ფაქტები. ცნობილი ბულგარელი მწერალი და შემდგომში დისიდენტი, ტოდორ ჟივკოვის რეჟიმის მთავარი კრიტიკოსი, გიორგი მარკოვი ინგლისში ემიგრაციაში ცხოვრობდა და „ბი-ბი-სი“-ს რედაქციაში მუშაობდა. მის ლიკვიდაციაში დახმარება ბულგარელებმა „კგბ“-ს სთხოვეს. მთავარი ამოცანა იყო, თავიდან აეცილებინათ საერთაშორისო სკანდალი და სიკვდილი მაქსიმალურად ბუნებრივი ყოფილიყო.

ოპერაცია სწრაფად დაიგეგმა და შესრულდა. მოვლენები კი ასე ვითარდებოდა. „კგბ“-ს რეზიდენტმა ვაშინგტონში დიმიტრი იაკუშკინმა რამდენიმე ჩვეულებრივი ქოლგა შეიძინა და მოსკოვში გაგზავნა. იქ სპეცლაბორატორიის „ჯადოქრებმა“ ქოლგის თავზე ქინძისთავის ზომის საჩხვლეტი



ფანქარი-პისტოლეტი კალიბრი .22 დუმი დიდი ბრიტანეთი (1940-იანი წლები)



ფლომასტერი-აეროზოლი შხამიანი შიგთავსით. აშშ. 1970 წ.

დაამონტაჟეს (იხ. ილუსტრაცია). ქოლგით ჩხვლეტის შემდეგ შხამშემცველი „მინიკაფსულა“ სხეულში აღწევდა და ორ-სამ დღეში მსხვერპლი „გულის შეტევისა და ინფარქტის მიზეზით“ იღუპებოდა. ამ იარაღით 1978 წელს მარკოვი ლონდონში, ხოლო კოსტოვი პარიზში მოკლეს... „სპეციარაღი“ სპეცსამსახურების კონკრეტული დაკვეთებიდან გამომდინარე, მუდმივად უმჯობესდება და უფრო „უხმაურო“ და „ბუნებრივ“ ფორმებს იღებს. დღეისათვის ფართოდ გამოიყენება ე. წ. „მცირე ბიოლოგიური იარაღი“ — ბუნებრივი შხამები (გველის, მორიელის და სხვ.) სპეცსამსახურების ისეთი ორიგინალური დაკვეთების შესასრულებლად, როგორიცაა მაგალითად, მგზავრებით სავსე თვითმფრინავში ადამიანის უხმაურო ლიკვიდაცია. „კილერები“ იყენებენ სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული „ჩხრიალა გველის“ შხამის საფუძველზე დამზადებულ ნივთიერებას, რომლის ერთი წვეთის მოხვედრაც მსხვერპლის კანზე ან ტანსაცმელზე რამდენიმე დღის შემდეგ იწვევს სიკვდილს „გულის უკმარისობით“, თანაც შხამის კვალის პოვნა ძალზე ძნელია. იმავე შხამით შეიძლება ავტომობილის საჭის დამუშავებაც და მძღოლი, შხამის დოზიდან გამომდინარე, განსაზღვრულ დროს იღუპება ან დიდი ხნით გამოდის მწყობრიდან.

სავარაუდოა, რომ სწორედ „მცირე ბიოლოგიური იარაღის“ გამოყენებით მოწამლეს უკრაინის ოპოზიციის ლიდერი და პრეზიდენტობის კანდიდატი ვიქტორ იუშჩენკოც. მიმდინარე წლის 10 სექტემბერს ის ვენის ერთ-ერთ კლინიკაში დააწვინეს მოწამვლის დიაგნოზით, მაგრამ რამდენიმე კვირის მკურნალობის მიუხედავად, გამოცდილმა ავსტრიელმა ექიმებმა ზუსტად ვერ დაადგინეს მომწამვლელი ნივთიერების სახეობა. ალბათ უკვე ვერავინ გაიგებს, თუ რამდენი პოლიტიკოსი, სპეცსამსახურის თანამშრომელი და ჟურნალისტია ასეთი „გულის შეტევით“ სამუდამოდ დადუმებული ან დასახიჩრებული.

რუბრიკა მოამზადა
პოლკოვნიკმა
ბესიკ ალადაშვილმა

ომობანა, ორდროშობანა... ეს იმ თამაშების არასრული ჩამონათვალია, რომლებსაც ჰატარაობაში მთელი სერიოზულობით ვუდგებოდით: იმ ემოციების აღდგენა, თავიდან განცდა და ჯიდევ უფრო გამძაფრებაც ჯი თავისუფლად შეუძლია ჰეინტბოლს.

ჰეინტბოლი

თამაში „დიდი ბიჭებისათვის“

ჰეინტბოლს როგორც გუნდურად, ისე ერთი ერთზეც თამაშობენ. სპორტული ექსტრემალური თამაშები წინასწარ მოწყობილ ტერიტორიებზე იმართება. სათამაშო მოედანს წარმოადგენს შემოსაზღვრული ტყე ან დახურული ნაგებობა, სადაც თავშესაფრებია დამონტაჟებული. საბრძოლოდ გამოიყენება სპეციალური პნევმატური იარაღი – მარკერი, რომელიც საღებავით სავსე ბურთულებს ისვრის. თამაშის სახელწოდებაც აქედან მოდის: paint – საღებავი, ball – ბურთი. ბურთულა სამიზნეზე მოხვედრის შემდეგ მკვეთრ ლაქას ტოვებს. ფრენის სიჩქარე წამში 100 მეტრს აღწევს, ამიტომ თამაშის დროს აუცილებელია დამცავი ნიღბის ტარება.

ჰეინტბოლი მძაფრი შეგრძნებების მქონე აზარტული ორთაბრძოლაა, რომელშიც შეგვიძლია მაქსიმალურად გამოვავლინოთ მეომრული ღირსებები. არსებობს თამაშის სხვადასხვა სცენარი, რის წყალობითაც თავს სპეცრაზმელად, პარტიზნად, რიგითად ან გენერლად იგრძნობთ. მთავარი მიზანი მოწინააღმდეგის „განადგურებაა“. გამარჯვებისთვის აუცილებელია მიზანში მოარტყა მოწინააღმდეგეს და თავად არ გახდე მსხვერპლი. გუნდურ თამაშში იმარჯვებს შეთანხმებული მოქმედება, სისწრაფე, სიზუსტე და მოთმინება. „მებრძოლი“ დამარცხებულად ითვლება თუ: მოხვდა

www.crusaderpaintball.ge ტელ: 893-98-07-93, 893-97-06-39

ჰეინტბოლ-კლუბი „კრუსეიდერი“ – ერთადერთი ჰეინტბოლ-კლუბი საქართველოში

გთავაზობთ გართობისა და დასვენების საუკეთესო საშუალებას

ჰეინტბოლი სპორტის ექსტრემალური სახეობაა, რომლის მონაწილეებსაც უნდა ჰქონდეთ არაორდინარულ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღების უნარი, გუნდური მოქმედების შესაძლებლობა. ეს თამაში იზიდავს ასობით ახალგაზრდას, ახალგაზრდულ კლუბებს, მეგობრების ჯგუფებს, რომლებსაც სურთ გაატარონ დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით სავსე დღე და ახალი მეგობრები შეიძინონ.

ღონისძიების დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნება თქვენი შეხედულებები იდეალური დასვენების დღის თაობაზე, ასევე მხედველობაში იქნება მიღებული თქვენი მოთხოვნები ღონისძიების ბიუჯეტთან დაკავშირებით. თითოეული მონაწილე მიიღებს საჭირო აღჭურვილობას, რომლის ხარისხი უსაფრთხოების საერთაშორისო მოთხოვნებს შეესაბამება.



CRUSADER www.crusaderpaintball.ge

თქვენს განკარგულებაშია:

თამაშები დახურულ შენობაში

სპეციალურად მოწყობილი დახურული მოედანი (700 კვ.მ.) სააბაზანო და გასახდელი ოთახებით. ტყვიაგაუმტარი ბადით დაცული მაყურებელთა ტრიბუნა.

თამაშები ღია ცის ქვეშ

1. უსაფრთხო ტრანსპორტირება თბილისის შემოგარენში 50 კმ რადიუსზე, წინასწარ შემუშავებული მარშრუტებით.
2. წინასწარი შეკვეთების შემთხვევაში, კეთილმოწყობილ კოტეჯებსა და სასტუმროებში განთავსება, კვებითა და სხვადასხვა გართობით უზრუნველყოფა.
3. ჰეინტბოლის სხვადასხვა სცენარების ორგანიზება და განხორციელება გამოცდილი ინსტრუქტორების მეთვალყურეობის ქვეშ.
4. თამაშისათვის საჭირო აღჭურვილობა.

CRUSADER

ტელ: 893-98-07-93, 893-97-06-39 www.crusaderpaintball.ge

ბურთულა, რომელიც გასკდება და ლაქას დატოვებს, მოთამაშე შემოსაზღვრულ ტერიტორიას გასცდება, მსაჯი ან თავად მოქმედი პირი გამოაცხადებს თავს დამარცხებულად.

თამაში ნებისმიერ ზრდასრულ ადამიანს შეუძლია. ამერიკული სადაზღვევო კომპანიების შეფასებით, პეინტბოლი, როგორც სპორტი, გაცილებით უსაფრთხოა, ვიდრე ჩოგბურთი, ფეხბურთი და გოლფიც კი. მთავარია, ისარგებლოთ ნიღბით. გარდა ამისა, მარკერებს ისე არეგულირებენ, რომ ბურთულას სიჩქარე არ აჭარბებს 90 მეტრს წამში. ასეთ შემთხვევაში კი მაქსიმალური უსიამოვნება დალურჯებაა. მაგრამ როგორც ყველა სპორტში, ტრავმის აცილება მაინც თქვენს სიფრთხილესა და წესების დაცვაზეა დამოკიდებული.

მარკერი შეკუმშულ ჰაერზე მუშაობს. არსებობს სამნაირი: მოსამართი, ნახევრად ავტომატური და ავტომატური მარკერები, რომლებსაც აწარმოებენ ამერიკაში, კანადაში, ინგლისსა და ჩეხეთში. ბურთულებს, ჩვეულებრივ, ის ფაბრიკები ამზადებენ, რომლებიც სამკურნალო კაფსულებს აკეთებენ. ბურთულაში მოთავსებულია არატოქსიკური, მცენარეული საღებავი, რომელსაც უსიამოვნო გემო აქვს, მაგრამ აბსოლუტურად უვნებელია. ტანსაცმელზე მოხვედრის შემდეგ ადვილად იწმინდება სველი ტილოთი, ხეზე კი, პირველივე წვიმა რეცხავს. პეინტბოლის თამაშისას შეიძლება ნებისმიერი, ტყეში სასიარულოდ გამოსადეგი ტანსაცმელი ჩაიცვათ.

თამაშის ყველაზე გავრცელებული ფორმაა **დროშის მოტაცება**, იგივე **ორდროშობანა**. თავიდან გუნდები სათამაშო მოედნის სხვადასხვა მხარეს განლაგდებიან. თამაშის მიზანია მოიპოვო მოწინააღმდეგე გუნდის დროშა და საკუთარ ბაზაზე გადმოიტანო, თან საკუთარი ალამიც უნდა დაიცვა. ამ თამაშის მეორე ვარიანტიც არსებობს. მოწინააღმდეგის დროშის მოტაცების მაგივრად, უნდა ეცადო, შენსავე ბაზაზე მყოფი დროშა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე შტურმით გადაიტანო.

სამეფო ალამი: ამ თამაშში გუნდების ბაზებს შორის ზუსტად ცენტრში მოთავსებულია სამეფო ალამი. მებრძოლთა მიზანია მოიპოვონ ალამი და გადაიტანონ „მტრის“ მხარეს, თუ მფლობელი „დაიღუპება“, ალამი ადგილზე უნდა დატოვო.

ბადრაგი: ერთ-ერთი გუნდის „ბადრაგის“ მიზანია „მნიშვნელოვანი ტვირთი“ ა წერტილიდან ბ წერტილში გადაიტანოს. „მონადირეთა“ გუნდი კი ცდილობს, იპოვოს „ბადრაგი“ და წაართვას „ტვირთი“.

ოქროს ციებ-ცხელება: სათამაშო ტერიტორიაზე განთავსებულია „ოქრო“ (დროშები). მოთამაშეთა მიზანია „ოქროს“ შეგროვება. მოპოვება ხდება ორი მეთოდით: ან უნდა მოძებნო, ან „მოკლულ“ მტერს აართვა. გამარჯვებულია ის, ვინც მეტ ოქროს „დააგროვებს“.

არსებობს ბევრი სხვა თამაშიც, რომლებიც საშუალოდ 20-25 წუთს გრძელდება.

მოამზადა ლევან ებრალიძემ

„ბოროტი ხუმრობა აეროდრომზე“

80-იან წლებში კოპიტნარის ბომბდამშენ პოლკში ავიატექნიკოსად ვმსახურობდი, პერიოდულად თვითმფრინავებს ტექნიკურ მომსახურებას ვუტარებდით. ამ დროს თვითმფრინავი ხარაჩოებზე („კოზლებზე“) იდგმება და მისი ყველა მოწყობილობის (მათ შორის შასის ანუ ბორბლების აკეცვა - გამოშვების) მუშაუნარიანობა ისინჯება.

ერთხელ, რომ იტყვიან, ეშმაკი შემიჩნდა და აეროდრომიდან შესვენებაზე გამგზავრების წინ ავიღე ჯარისკაცის ჩექმები, შასის ნაკვეთურში შევჩურთე და შასი ავკეცე. დახურული შასის სახურავებიდან ჩექმის ძირები ჩანდა და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ბორბლების აკეცვისას ამ ჯოჯოხეთურმა, დახლართულმა მექანიზმმა კაცი ჩაითრია. შთაბეჭდილების გასაძლიერებლად წითელი საღებავიც მივასხ-მოვასხი ირგვლივ და სასადილოსკენ გავწიე...

ჩვენს ქვედანაყოფში სამოქალაქო მოსამსახურე ფაშფაშა, ასაკოვანი ქალბატონი ეკატერინე ალექსანდროვნა მუშაობდა. შემთხვევით სწორედ ეს ქალბატონი გახდა ჩემი ხუმრობის „მსხვერპლი“. ვერ გაუძლო მისმა სუსტმა ნერვებმა ჩემ მიერ შექმნილი სცენის დანახვას და გული წაუვიდა...

მოგეხსენებათ, საბჭოთა არმიაში ასეთი შემთხვევები საჯაროდ, ღია პარტიულ კრებებზე განიხილებოდა ხოლმე. მე კი როგორც ყველა ოფიცერი, რასაკვირველია, კომპარტიის წევრიც ვიყავი. მოკლედ, ჩემი სულელური ანგლობა „ბოროტი ხუმრობის“ კვალიფიკაციით პარტიული სასჯელის (საყვედურის) საფუძველი გახდა.

იმავე პარტიულ კრებაზე ერთი გადაკრუხებული კაპიტნის, პავლე გრიგორიჩის გაბშირებული მთვრალი დებოშების საქმეც განიხილებოდა. კრების წამყვანი ვიქტორ გრიგორიჩი იყო, მისი ძმაკაცი. მან შეძლებისდაგვარად რბილად განავითარა ბრალდება. ეკითხება: „Вот вы Пал Григорьевич, такой хороший человек, а в употреблений меру не знаете, можно же выпить пару стаканов и остановится“... და ამ დროს ბრალდებულმა სიტყვა აიტაცა: „Вот-вот товарищ председательствующий выпью два стакана и совсем другим человеком становлюсь... А этот, другой человек ведь тоже хочет пить“...

კრება საყოველთაო მხიარულებით დამთავრდა. აი, ასეთი ცხოვრება იყო საბჭოთა არმიაში. რაიმე ცუდი არ მაგონდება.

პოლკოვნიკი
მიხეილ ლორთქიფანიძე

რაზე ვინადიროთ დეკემბერში

მართალია, ზამთარი ცივი, მაგრამ სანადიროდ ხელსაყრელი პერიოდია. თუ რისი მოპოვება შეიძლება ამ დროს, ამაზე მოკლედ გვესაუბრება გამოცდილი მონადირე თენგიზ ხელაია.

სპილო სწრაფად და შეუპოვრად უტევს

დეკემბერი და მთლიანად ზამთარი განსაკუთრებული სეზონია. მწყერი უკვე წასულია. ვინაიდან ცივა და გიურზის საშიშროება იკლებს, აკრძალვის მიუხედავად, მონადირეები ძირითადად გარეჯისაკენ, კაკაბზე დადიან. ამ დროს რუსეთიდან გადამფრენი ფრინველები შემოდიან: ბატი, იხვი და სხვა. იხვისებრთა ოჯახი დიდია, 60-მდე სახეობაა. მათზე, ძირითადად, ზღვისპირეთში ნადირობენ, აგრეთვე — ალგეთზე, იორზე, არაგვზე, ჭანჭრობიან ადგილებში, ლაგოდეხის მხარეს — ჭაობებში და თბილისის ზღვაზეც კი. იხვი ძალიან ფრთხილი და ამიტომ ძნელად მოსაპოვებელია. საღამოს, როცა ფრინველი წყლიან ადგილს ტოვებს, მხოლოდ 5-წუთიანი მონაკვეთი გრჩება სასროლად, მერე კი ბნელდება. იმდენად ჭკვიანი ფრინველია, რომ სროლის შემდეგ, ტყვიის აცილებას ცდილობს. თოფის ხმაზე რეაგირებს და ფრენის მიმართულებას იცვლის. იხვზე სანადიროდ სროლის მანძილის მიხედვით 3, 4, 5 და 6 ნომერი საფანტი გამოიყენება.

დეკემბერში უკვე დიდ ნადირზეც შეიძლება ნადირობა. ძირითადად — დათვზე, გარეულ ღორზე, ბრაკონიერები კი შველსა და ირემზეც დადიან. ტყეში ფოთოლი დაცვენილია და ამიტომ ნადირობა ადვილია. დათვს სძინავს და მოძებნა უნდა. თუმცა, ჩვენთან არ არის ისეთი მკაცრი ზამთარი, რომ დათვმა დიდი ხნით მისცეს ძილს თავი. თანაც, საკვებიც აქვს: რკო, წიფელა და სხვა. თუ ძალიან გაუჭირდა, მოსახლეობასთანაც ჩამოდის. ასე რომ, კარგი ძაღლებით დათვზე სარეკის მოწყობაც შეიძლება.

საქართველოს სანადირო ტერიტორიებს თუ მოივლი, ზამთარში ხშირად შეხვდები კურდღელს, მელას, ტურას. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ სადაც ჩახვალ, იმ რეგიონში ახალ მეგობრებს შეიძენ და ბუნების მშვენიერებას ეზიარები.

მონადირეები ცხოველთა საყაროში ყველაზე დიდებად და საშიშებად „დიდ აფრიკულ ხუთეულს“ მიიჩნევენ (Big Five): სპილო, მარტორქა, კაფრის კამეჩი, ლომი და ლეოპარდი. სწორედ ამ ცხოველებზე სანადიროდ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ძლიერი, მსხვილკალიბრიანი იარაღი შექმნეს. დღემდე სპილოზე, კაფრის კამეჩსა და მარტორქაზე ნადირობისას ძალიან მსხვილი კალიბრის — 577-600მმ-იანი, ორლულიანი შტუცერები — ნიტრო ექსპრესები გამოიყენება. მონადირეზე თავდასხმისას ვერც ერთი ნადირი ფეხზე ვეღარ ადგება თუ ე.წ. „ექვსასიანის“ 58-გრამიანი ტყვია მოხვდა. კუთხვილულიანი თოფიდან გავარდნილი ტყვია 590 მ/წმ სიჩქარით მიფრინავს. არ არსებობს ჯავშანჟილეტი, რომელიც ამ ტყვიის მოხვედრის შემდეგ ადამიანს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს. „დიდ ხუთეულზე“ ნადირობისას შეცდომის დაშვება არ შეიძლება. ასეთი ტყვიის არასასიკეთილო წერტილში მოხვედრის შემთხვევაში, სპილო და მარტორქა გადაადგილების უნარს 5-10 წუთით კარგავენ. ეს დრო სრულებით საკმარისია, რომ მონადირემ ან მისმა თანაშემწემ გაცილებით უფრო მსუბუქი იარაღით — შაშხანით ან რევოლვერით საქმე ბოლომდე მიიყვანოს.

ამ სუპერიარაღის გამომშვები კომპანიის სახელია — Holland&Holland-ი, რომლის ნამუშევრების ხელში ჩაგდებაზე ოცნებობდნენ მონარქები და პრეზიდენტები, სხვადასხვა ქვეყნის კომპარტიების გენერალური მდივნები და პროფესიონალი მონადირეები, კოლექციონერები და მსოფლიო ბიზნესის მმართველები.

1806 წელს, ლონდონის ერთ-ერთი მეარღნის ოჯახში გაჩნდა ბიჭი, სახელად ჰარის ჯონი. იარაღისა და ნადირობისადმი სიყვარულმა მამის ჩიჩინი არაფრად ჩააგდებინა. ჰარისი თავიდანვე კარგად ისროდა და ცნობილ, დედაქალაქელ ჯენტლმენებს ხშირად ფორასაც აძლევდა. ამ დროს ბრიტანეთის კუნძულებზე მოდაში შემოვიდა შეჯიბრი, რომელშიც სამიზნედ ცოცხალ მტრედებს იყენებდნენ. შეჯიბრებებში ახალგაზრდა ჰოლანდიც მონაწილეობდა. თანაც, ისეთი წარმატებით, რომ მალე ინგლისის არისტოკრატულ წრეებში ავტორიტეტი მოიპოვა. საზოგადოების ყურადღებით გათამამებულმა ჰარის ჯონ ჰოლანდმა 1835 წელს ლონდონის ცენტრში იარაღის მწარმოებელი ფირმა გახსნა, რომელმაც მალევე გაითქვა სახელი მსოფლიოში. განსაკუთრებული აღიარება მსხვილ ნადირზე სანადირო შტუცერებმა მოიპოვა. XIX საუკუნის შუა პერიოდს ინდოეთსა და დასავლეთ აფრიკაში დიდი ბრიტანეთის კოლონიზაციის პიკი დაემთხვა. იქით მიიწევდნენ ინგლისელი ოფიცრები, მოგზაურები, სწავლულნი, თავგადასავლების მაძიებელნი და, რა თქმა უნდა, სპილოს ძვალზე მონადირენი. ჰარისის შტუცერები ამ დროს ინგლისის კოლონიებში ერთ-ერთ ყველაზე საიმედო და პრესტიჟულ იარაღად ითვლებოდა.

1860 წელს ჰარის ჰოლანდმა მოწაფედ აიყვანა თავის 15 წლის ძმისშვილი — ჰენრი ჰოლანდი, რომელმაც ხელობა წარმატებით აითვისა. 1876 წლიდან აქტიური საქმიანობიდან ჰარის წასვლის შემდეგ, კომპანიამ ახალი სახელი მიიღო —

Holland&Holland-ი.

1883 წელს კომპანიამ მონაწილეობა მიიღო შეჯიბრში კუთხვილლულიანი იარაღით სროლაში და ასპარეზობაზე წარმოდგენილ ათივე კატეგორიაში მთავარი პრიზები აიღო. კომპანიამ შემოიღო ახალი მარკა – Royal-ი, რომელსაც უმაღლესი ხარისხის საუკეთესო მოდელებს ანიჭებდნენ.

ჰარისის გარდაცვალების შემდეგ ფირმის ხელმძღვანელობა ჰენრი უილიამ ჰოლანდმა თავის თავზე აიღო. 1893 წელს ფირმამ თავისივე შექმნილი ეჟექტორული მექანიზმი გაუმჯობესა. ჰენრი ჰოლანდის ეჟექტორები დღემდე ყველაზე საიმედოდ და პრესტიჟულად ითვლება. მარტივ და ესთეტიკურ გამოგონებას მსოფლიოს საუკეთესო ფირმები 95 წელია იყენებენ. 1922 წელს შექმნილი ორლულიანი თოფის თვითგაღებადი მექანიზმი კი დღემდე ყველაზე ნაკლებ ძალას მოითხოვს, როგორც გახსნისას, ისე დახურვისას.

1885 წელს ჯორჯ ვინსენტ ფოსბერის მიერ დაპატენტებული, გლუვლულიანი „პარადოქსი", პირველად Holland&Holland-მა გამოუშვა ბაზარზე. „პარადოქსები" ინგლისის კოლონიებში – ინდოეთსა და აფრიკაში სანადირიოდ იყო განკუთვნილი. მიუხედავად მრავალი ფირმის მცდელობისა, შეექმნათ ჰოლანდური „პარადოქსის" მსგავსი იარაღი, ვერც ერთი ვერ ავიდა ლონდონური კომპანიის ხარისხის დონეზე.

ჰენრი უილიამ ჰოლანდი 1930 წელს საქმიანობას ჩამოშორდა. მას ისე კარგად მიჰყავდა თავისი საქმე, რომ ახლანდელი Holland&Holland-ის მესვეურებიც თვლიან, რომ ფირმის საუკეთესო იარაღი 1920-1930 წლებშია დამზადებული. 1930 წელს ფირმის თავმჯდომარე ჰენრი ჰოლანდის შვილი, პოლკოვნიკი ჯერი ჰოლანდი გახდა. 30-იანი წლების დეპრესიამ და II მსოფლიო ომმა, კომპანიას პრობლემები შეუქმნა. მოთხოვნილება პრესტიჟულ იარაღზე დაეცა. თუმცა ფირმამ სიცოცხლისუნარიანობა შეინარჩუნა. 1970-90 წლებში ძველი და ახალი კლიენტების კერძო შეკვეთებისთვის დამზადებული პრესტიჟული იარაღებით კომპანიამ თავისი ხარისხის დონე კვლავ აიმაღლა. ზოგიერთ იარაღზე გაჩნდა დეკორატიული ელემენტები – მდიდრული გრავიურები და ოქროს ინკრუსტაცია იაპონურ და იტალიურ სტილში, რაც ინგლისურ იარაღებს მანამდე არ ახასიათებდა.

ერთი სიტყვით, ინგლისს, როგორც ყოველთვის, შეუძლია იამაყოს იმ ფაქტით, რომ მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო იარაღს აწარმოებს.

მოამზადა
ლევან ეგრალიძემ



კომპანიის დამაარსებელი ჰარის ჯონ ჰოლანდი (1806-1896)

ორლულიანი შტუცერის საკეტის მუშა დეტალები მოოქროვილია

შტუცერის გაფორმება ზედმიწევნით მიესადაგება მის დანიშნულებას

მონადირის მცნებანი

- თოფით ნუ გაისვრი რჯინის ბურთულას და ლითონის ნაჭრებს, ეს თოფს წაახდენს.
- თოფი სროლის შემდეგ მალე გაწმინდე, ნუ შეინახავ გაუწმენდავს.
- ხმარების წინ ჩაიხედე თოფის ლულაში, შიგნით არ იყოს რაიმე, თუნდაც წყლის წვეთი, თოფს წაახდენს.
- სროლის დროს ორივე თითს ნუ შეყოფ სასხლეტში, ერთდროულად გასროლით თოფი დაზიანდება.
- ნუ ჩადებ გატენილ თოფს მანქანასა და ბუდეში.
- მანქანაზე ასვლა-ჩამოსვლისას თოფიდან ვაზნები ამოიღე. ასევე მოიქეცი წყალსა და ღობეზე, ჯღდესა და ხრამზე გადასვლისასაც.
- ნადირობისას გატენილი თოფი წვერალმა დაიჯიდე. მწყერსა და ჯაჯაბზე ჯგუფური ნადირობისას მჯლავზე დადებული ან მხარზე გადებული თოფის ტუჩი მიმართე ისე, რომ გვერდით ამხანაგს საფრთხე არ შეუქმნა.
- გაშლილი ჯგუფური ნადირობისას ესროლე მხოლოდ შენ წინ აფრენილს, სხვას წინ ნუ წაასწრებ, ნურც სხვისი ძაღლისა და წინ აფრენილსა და ნასროლს ესვრი, ამას მონადირის ჯულტურა თხოულობს.
- მსხვილ ნადირზე ნადირობისას შენთვის მოჯუთვნებულ ადგილს ნუ შეიცვლი, სხვას წინ ნუ ჩაუდგები, ნურც იმოძრავებ.
- ჭალებში ღორზე ჯგუფური ნადირობისას ნუ გამოიყენებ მრგვალ ტყვიას, ასხლეტილი მიმართულებას იცვლის და შეიძლება მეგობარი დააზიანო.

„ალპინისტებსაც შეგვიძლია საზღვრის დაცვაში დავეხმაროთ სამშობლოს...“

ქართული, ქმედითუნარიანი ჯარის აღმშენებლობის გზაზე ბევრი საკითხია მოსაგვარებელი. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისთვის აუცილებელი პირობა საზღვრის მტკიცე დაცვაა. ჩვენი სახელმწიფო საზღვრის დიდი ნაწილი რთული რელიეფის მქონე მთებზე გადის. ბუნებრივია, საზღვრის ამ ზოლზე მყოფ მესაზღვრეებს ელემენტარული ალპინიზმის გამოცდილება მაინც უნდა ჰქონდეთ. მართალია, სპეცრაზმების მომზადებაში შედის ელემენტები, რომლებიც წაადგავს, მაგრამ სინამდვილეში საერთო არაფერი აქვს სამთო მომზადებასთან. სამთო მომზადება მოიცავს არა მარტო რთული რელიეფის მწვერვალების დაძლევის ხერხებს, არამედ მთიანი (ამ შემთხვევაში სასაზღვრო) რაიონის კარგ ცოდნას. ოფიცერს მოვლილი უნდა ჰქონდეს უღელტეხილები, უნდა შეისწავლოს ყოველი კუთხე-კუნჭული, საიდანაც მომხვდურს შეუძლია გადმოსვლა.

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტი, ბატონი შოთა მირიანაშვილი სპორტის საერთაშორისო ოსტატია. ეს წოდება ქართველთაგან სულ ხუთს აქვს მინიჭებული. საბჭოთა კავშირის ალპინისტთა რემპიონატებზე საქართველოს ნაკრებს წლების მანძილზე ბატონი შოთა კაპიტნობდა. დღეს 68 წლის მთამსვლელი ყოველწლიურად სამ-ოთხჯერ აწყობს ალპინიადას. მისი წყალობით არაერთი ახალგაზრდა ეზიარა კავკასიონის მწვერვალების მშვენიერებას.

— ბევრჯერ ვყოფილვარ საქართველოს ნაკრებთან ერთად ტიან-შანის ექსპედიციებში. ხშირად სასაზღვრო ზოლშიც ვყოფილვართ, მესაზღვრეებსაც შევხვედრივართ. თითო საგუშაგოს 30-კილომეტრიანი მონაკვეთი ჰქონდა ჩაბარებული. საკმარისი იყო ამ ზოლზე ფოტოაპარატი ამოგეღო და შენი ჭკუით ჩუმად გადაგეღო, რომ უცებ, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, თავზე მესაზღვრე დაგადგებოდა. ან ფირს გაგიშუქებდა, ან აპარატს წაგართმევდა.

დღეს საქართველოს საზღვრებზე საგუშაგო ვერტმფრენები დაფრინავენ, მაგრამ არის ისეთი უბნები, სადაც საგუშაგოს გვერდის ავლა საზღვრის დამრღვევს თავისუფლად შეუძლია.

ჩემი აზრით, სამთო მომზადება, როგორც საგანი, აუცილებლად უნდა შედიოდეს სამხედრო სასწავლებელში, პირველ რიგში, ოფიცრებისთვის. თუმცა მხოლოდ თეორიულ ცოდნას პრაქტიკის გარეშე აზრი არა აქვს. გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაში სამთო კურსი ძალიან შეკვეცილი იყო, მხოლოდ ადგილზე მეცადინეობით კმაყოფილდებოდნენ და წელს ეს კურსიც დახურეს. ალბათ ჩათვალეს, რომ ჩვენს მესაზღვრეებს სამთო მომზადება არ სჭირდებათ.

ყოფილი სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს სპეციალურ აღრიცხვაზე ჰყავდა უკლებლივ ყველა ალპინისტი და მათ, სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად, მიზანმიმართულად იყენებდნენ. ამგვარი ინფორმაცია ჩვენს ძალოვან უწყებებს საშუალებას მისცემს, სპეცშენაერთები სამთო გამოცდილების მქონე კადრებით დააკომპლექტოს და საძიებო-სამაშველო თუ სხვა სასწრაფო პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩასატარებლად ალპინისტები გამოიყენოს.

— პირადად თქვენ თუ მიმართეთ რაიმე კონკრეტული წინადადებით ხელისუფლებას?

— არაერთხელ შევთავაზეთ კონკრეტული წინადადებები არა მარტო ჯარის ხელმძღვანელებს, არამედ მთავრობის უმაღლეს პირებსაც. ბევრი ისეთი წინადადებაა, რომელიც არავითარ ფინანსურ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული. მხოლოდ უნდა მოიყვანონ ჯარისკაცები ჩვენთან და მათთვის განკუთვნილი საკვები მთაში გამოატანონ. დანარჩენს, მათ სწავლას, კარვებითა და სხვა აუცილებელი აღჭურვილობით მომარაგებას, მწვერვალებზე აყვანა-ჩამოყვანას, ჩვენს თავზე ავიღებთ.

ვიღაც-ვიღაცები პერიოდულად გვეხმაურებოდნენ. ჩვენი რესურსებით, წლების მანძილზე სხვადასხვა ნაწილიდან შევძელით დაახლოებით 150 კაცის სამთო მომზადება. მაგრამ ეს ეპიზოდურად ხდებოდა და სრული ციკლი არც ერთს არ გაუვლია. ჩვენს მთიან საზღვარზე კი 800 კილომეტრი მაინც არის დასაცავი!

— ალბათ სამაშველო ალპინიზმიც სერიოზულ მომზადებას საჭიროებს?

— ვთქვათ, ჯარისკაცი მთაში დაიჭრა და მისი ტრანსპორტირებისთვის ვერტმფრენს ვერ იყენებენ. ჩვენმა სპეცრაზმელებმა არ იციან, როგორ უნდა ჩამოიყვანონ დაჭრილი ქვემოთ. ეს ცალკე ხელოვნებაა. შეიძლება კაცი ძალიან კარგი მთამსვლელი იყოს, მაგრამ სამაშველო სამსახურის არაფერი გაეგებოდეს. ამიტომ ძველად, ალპინიზმში რაღაც საფეხურს რომ მიაღწევდი, მერე სამაშველო სამსახურის გამოცდის ჩაბარებას გთხოვდნენ, რაც ძალიან რთული იყო და ცალკე სპეციალური კურსების გავლას საჭიროებდა. უნივერსიტეტის სამხედრო კათედრაზეც შევთავაზეთ სპეციალობის შემოღება. უნივერსიტეტში არსებობს გიორგი ნიკოლაძის სახელობის უძლიერესი ალპინისტური კლუბი, რომელიც მთლიანად თავის თავზე იღებს სპეციალისტების მომზადებას. თუ მიზანმიმართულად 4 წლის განმავლობაში 50 კაცს ალპინიზმის ინსტრუქტორობას შევასწავლით, ისინი იქნებოდნენ ოფიცრები, რომლებიც თვითონ შეძლებდნენ თავიანთი რიგითების სამთო მომზადებას. მათ ექნებოდათ მეორე, სამთო ინსტრუქტორის დიპლომიც. ჩვენს წერილებზე რატომღაც პასუხიც არ მიგვიღია. ერთმა გაკვირვებით მკითხა, როგორ შეძლებთ სამთო მომზადებაზე ხალხის წაყვანას, როცა მე თბილისში ვერ ვახერხებ სამხედრო მომზადებაზე მგათ შეკრებასო. წელიწადი არ გადის, რომ 500-600 კაცი უნივერსიტეტიდან ალპინიადაზე არ წამოვიდეს. ასე რომ, „როგორ წავიყვანთ“ კი არა, კონკურსი იქნება, საუკეთესოების ასარჩევად!

ალპინიზმი მოსახლეობაში, პირველ რიგში, ახალგაზრდებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელი, პატრიოტი, მომავალი თაობის აღზრდის საუკეთესო საშუალებაა.

ლევან ეგრალიძე

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ "ᲘᲜᲓᲘᲔᲚᲔᲑᲘ" ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ



ქართული „იროკეზების" ესკადრილია მზადაა ჩაერთოს NATO-ს ნებისმიერ ოპერაციაში

რამდენიმე წლის წინ გაკვირვებული მძღოლები აეროპორტის ტრასაზე თავიანთი მანქანების სვლას ანელებდნენ, რადგან გარედან ისეთი უცნაური ხმა შემოდიოდა, თითქოს საბურავს ჭრიდა რაღაც... მხოლოდ ცაში ახედვისას რწმუნდებოდნენ, რომ ამ სპეციფიკურ ხმას დაბალ სიმაღლეზე მფრენი უცნაური ფორმის შვეულმფრენი გამოსცემდა...

ასე გამოჩნდნენ პირველად ქართულ ცაში ამერიკელი „ინდიელები" – UH-1H Iroquois-ის ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენები.

პირველი „იროკეზების" თბილისის აეროპორტში უზარმაზარი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავით ჩამოტანა ამერიკელ სამხედროებს 11 სექტემბრის ცნობილი ტერაქტების გამო ერთი თვით დაუგვიანდათ – ექვსი „იროკეზი" თბილისში 2001 წლის 12 სექტემბრის ნაცვლად 7 ოქტომბერს გადმოტვირთეს. ამიტომაც, პირველობა ძალაუნებურად თურქებს ერგოთ წილად – მათ მიერ ნაჩუქარი ორი „იროკეზი" ქართველ პილოტებს 2001 წლის 18 სექტემბერს გადაეცათ.

სანამ „იროკეზები" ქართულ ცაში გამოჩნდებოდნენ, ამერიკულმა მხარემ იზრუნა, რომ მომავალი ქართველი პილოტები და მომსახურე ტექნიკური შემადგენლობა უშუალოდ ამერიკაში მომზადებულიყო.

პირველი ქართული „საჰაერო დესანტი" აშშ-ში ტეხასის შტატის საფრენოსნო სკოლაში 1999 წელს გაიგზავნა 12 პილოტისა და 20-ზე მეტი ტექნიკოსის შემადგენლობით. „იროკეზების" ათვისებამდე ჯერ ინგლისური ენის, თანაც ტექნიკური ნიუანსებით გავჯერებულის, სრულყოფილად სწავლა გახდა პრობლემა. რაღა დასამალია და, მაშინ თავდაცვის სამსახურის კადრების სამმართველომ ყველაზე ღირსეულები და მონდომებულები როდი მიავლინა ოკეანის გაღმა. როგორც ამბობენ, ზოგიერთი ჩაწყობით (მათ შორის, სოლიდური ქრთამის საშუალებით) მოხვდა ამ სიაში. სავალალო შედეგმაც არ დააყოვნა – ერთი კურსანტი ქურდობისთვის დაიჭირეს, რამდენიმემ შტატებში სამუდამოდ დარჩენა ისურვა... სამედნიეროდ, დანარჩენმა ქართველმა კურსანტებმა და ტექნიკოსებმა თავი არ შეირცხვინეს, ღირსეულად დაძლიეს პრობლემები და „იროკეზების" მართვა და გასაფრენად მომზადება კარგად აითვისეს.

ისე, კურიოზულ სიტუაციებს ქართველები ვერც იქ გადაურჩნენ – რატომღაც ისე მოხდა, რომ ქართველმა კურსანტებმა მანქანა ერთსა და იმავე ელექტრობოძს ორჯერ დააჯახეს. ეს ინციდენტი გასახსენებლადაც არ ეღირებოდა, მაგრამ ორივე შემთხვევაში, დენი სწორედ ბაზის მეთაურს გაეთიშა სახლში. მეორე ინციდენტის შემდეგ, მან ნახევრად ხუმრობით ბრძანა – ან ეს ქართველები მოაშორეთ აქაურობას, ან ბოძი გადადგით სხვა ადგილასო...

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების UH-1H ესკადრილიას, ერთი კვირაც არ გაუტარებია ინტენსიური ფრენების გარეშე.

ესკადრილიის უფროსი მაიორი ზურაბ ოქროცვარიძე იხსენებს, რომ „იროკეზების" ეკიპაჟებმა ძალზე აქტიური მონაწილეობა მიიღეს „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით მომზადებული ქართული ბატალიონების საჰაერო დესანტირების

„ᲘᲠᲝᲙᲔᲖᲔᲑᲘᲡ" ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲐᲨᲘ ᲣᲙᲕᲔ 3000 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲥᲕᲗ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ

ჩვენი დოსიე: UH-1H Iroquois-ს 1400 ცხ.ძ.-ს სიმძლავრის ძრავა უყენია. მისი ხრახნების დიამეტრი 14.6 მ-ია. შვეულმფრენის საერთო სიგრძე 17.6 მ-ია, სიმაღლე კი — 4.4 მ. ცარიელი „ირიკეზი" 1363 კგ-ს იწონის, 12 მედესანტით კი 4 ტონაზე მეტს. მისი მაქსიმალური სიჩქარე 200 კმ/სთ-ს აღემატება.

ჩვენი დოსიე: ირიკეზებს ამერიკელ და კანადელ ინდიელთა მონათესავე ტომების ჯგუფს უწოდებენ. ამ ჯგუფში შედიან ირიკეზები, პეტუნები, ჰურონები და ჩიროკები. თავად ირიკეზების ტომი 1992 წლის მონაცემებით, აშშ-ში 60 ათას ადამიანს ითვლიდა, კანადაში კი — 30 ათასს.

სრულყოფაში.

„ირიკეზებით" ქართველმა პილოტებმა დღემდე 3 ათასი საათი იფრინეს, საიდანაც 30 საათი წმინდა საბრძოლო იყო: კოდორის ხეობაში, აჭარის მოვლენების დროს, სამეგრელოსა და სვანეთის ანტიკრიმინალური ოპერაციებისას... ესკადრილიის 8 პილოტი და ტექნიკოსი დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის". მფრინავებს დიდ მიღწევად მიაჩნიათ, რომ ცოტა ხნის წინ მათ 7 სრულად ეკიპირებული მებრძოლის დესანტირება მოახდინეს ზღვის დონიდან 3100 მ-ის სიმაღლეზე მდებარე დიდი ბორბალოს დათოვლილ მწვერვალზე — ასეთი სიმაღლის აღება ერთძრავიანი „ირიკეზისთვის" მცირე მიღწევა როდია.

ისე, ალბათ აღსანიშნავია, რომ ქართველი პილოტები თავიანთ ამერიკულ „საჰაერო ბელურებზე" რამდენიმე წლით უმცროსები არიან, რადგან ჩვენთვის ნაჩუქარი „ირიკეზების" ასაკი სამ ათეულ წელს აჭარბებს.

პირველი „ირიკეზის" პროტოტიპი ჰაერში შვეულმფრენების ამწყობმა, ცნობილმა ამერიკულმა ფირმა Bell-მა ჯერ კიდევ 1956 წლის 20 ოქტომბერს „ასწია". „ირიკეზების" ადრეული მოდიფიკაციები UH-1A-ები აშშ-ის არმიის შეიარაღებაში 1959 წლის ზაფხულიდან გამოჩნდნენ. მათ 770 ცხ.ძ.-ის სიმძლავრის ერთი ტურბოხრახნიანი ძრავა ედგათ. გაუმჯობესებულ „ირიკეზზე" — UH-1B-ზე უკვე 960 ცხ.ძ.-ის სიმძლავრის ძრავა დააყენეს — მას ორი მფრინავისა და შვიდი ჯარისკაცის გადაყვანა ან 1360 კგ ტვირთის გადატანა შეეძლო. 1965 წლიდან გამოვიდა „ირიკეზის" ახალი ვერსია — UH-1C, რომელსაც გაუმჯობესებული ხრახნფრთები ეყენა და შესაბამისად, მისი პილოტირებაც გაადვილებული იყო. ვიეტნამში მებრძოლი ამერიკელი საზღვაო ქვეითებისთვის სპეციალურად შეიქმნა „ირიკეზის" მორიგი მოდიფიკაცია — UH-1E. იგი დესანტირებისა და დაჭრილთა ევაკუაციისთვის წარმატებით გამოიყენებოდა.

1967 წლიდან აშშ-ის არმიამ უკვე მორიგი მოდიფიკაციის — UH-1H-ის გამოყენება დაიწყო. 1967-74 წწ. 979 ასეთი შვეულმფრენი დამზადდა, ეტყობა, ჩვენთან

„ირიკეზები" ქართველი მებრძოლების დესანტირებისას დიდი ბორბალოს მწვერვალზე. ზღვის დონიდან 3100 მ.



ჩამოტანილი „ეროკეზებიც“ ამ პარტიიდანაა. UH-1H-ი ბოლო მოდიფიკაციის „ეროკეზი“ გახლდათ, რომელიც ასეთი დიდი პარტიით გამოუშვეს, თუმცა მის შემდეგ მცირე რაოდენობით ორძრავიანი UH-1N-ებიც დაამზადეს. სულ სხვადასხვა მოდიფიკაციის 8 ათასამდე „ეროკეზია“ დამზადებული.

ამერიკულ „ეროკეზს“ საბჭოთა, უკვე რუსულად წოდებულ Ми-8Т და განსაკუთრებით Ми-8МТ ტიპის შვეულმფრენებთან შედარებით, ორჯერ ნაკლები ტვირთის წაღება შეუძლია და ვერც სისწრაფით და ვერც სიმაღლეზე ფრენით შეედრებიან, მაგრამ სამაგიეროდ, „ეროკეზი“ მხოლოდ 250 ლ საავიაციო ნავთს წვავს, მაშინ, როდესაც Ми-8МТ-ს 800 ლ სჭირდება. არადა, ერთი ლიტრი საავიაციო ნავთის ფასი ჩვენთან 1 ლარს უტოლდება. ამასთან, „ეროკეზი“ უფრო მცირე ზომისაა და რაც მთავარია, მებრძოლების დესანტირება ორივე, მარცხენა და მარჯვენა ბორტებიდან უფრო სწრაფად შეუძლია.

ამ ცოტა ხნის წინ „ეროკეზების“ ესკადრილია აშშ-დან ჩამოსულმა სპეციალურმა კომისიამ ისევე შეამოწმა, როგორც ამოწმებს ამერიკულ ესკადრილიებს თავად აშშ-ის ბაზებზე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მათი დასკვნა ჩვენთვის მართლაც საამყოა – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების UH-1H ესკადრილიას შეუძლია ნებისმიერ დროს ჩაერთოს NATO-ს სტანდარტით დაგეგმილ საბრძოლო ოპერაციაში.

საგულისხმოა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალებით ეს კონკრეტული საბრძოლო დანაყოფი უკვე პასუხობს NATO-ს მოთხოვნებს, მაგრამ ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს ის პრობლემები, რომლებიც ჯერჯერობით გადაულახავია. პირველ რიგში, ეს ეხება „ეროკეზების“ არც ისე სახარბიელო მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას – ინტენსიური ფრენების გამო არც ისე „ახალგაზრდა“ შვეულმფრენები ხშირად გამოდიან მწყობრიდან. ცალკე პრობლემად რჩება ფულადი ანაზღაურების ბალანსი საფრენოსნო და მიწისზედა ტექნიკურ პერსონალს შორის. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ შეიარაღებულ ძალებში ხელფასების მნიშვნელოვანი გაზრდის შემდეგ ბევრი საჩივარი აღარ უნდა იყოს.

და კიდევ ერთი პრობლემა, – ესკადრილია მხოლოდ ნახევრადაა დაკომპლექტებული, სამუშაო კი თავზე საყრელია. ესკადრილია დიდი სიამოვნებით მიიღებდა იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც სურთ სამშობლოს დაცვა, მეტ-ნაკლებად ფლობენ ინგლისურ ენას და ჯანმრთელობა და განათლება საშუალებას აძლევთ გახდნენ სამხედრო პილოტები ან ტექნიკოსები. განსაზღვრულია მათი გადამზადება აშშ-ის საფრენოსნო სკოლაში.

მიუხედავად სიძველისა, „ეროკეზები“ მაინც კარგი შენაძენია საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის, რადგან მისი პირადი შემადგენლობა რეალურად ეცნობა დასავლური ტექნოლოგიით დამზადებულ საავიაციო ტექნიკასა და ინტენსიურ ექსპლუატაციას უწევს მას. „ეროკეზების“ კარგად ათვისების შემდეგ, სულ ერთ ნახევარ უფრო თანამედროვე „შავ ქორებზე“, თუ „აპაჩებზე“ გადასავლომად.

ირაკლი ალადაშვილი

„წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამაში „ეროკეზებს“ აქტიურად იყენებდნენ...

როტვეილერი

ქალაქი როტვეილერ-ამნეკარი სამხრეთ გერმანიაში მდებარეობს. სწორედ აქედან წარმოიშვა – როტვეილერი, რომელიც ერთ-ერთი უძველესი ჯიშია და არსებობის დაახლოებით 2000 წელს ითვლის. როტვეილერის წინაპრები მეცხვარე ძაღლები იყვნენ. დროთა განმავლობაში მისი გარეგნული თვისებები შეიცვალა, მაგრამ შინაგანი ბუნება, რომელიც მათ წინაპრებს გააჩნდათ, შემორჩათ. ამ სუფთა ჯიშის ნიშან-თვისებებმა განაპირობა მისი საგუშაგო სამსახურისთვის გამოყენება. ამჟამად როტვეილერი ფართოდაა გავრცელებული, როგორც გერმანიაში, ისე მის საზღვრებს გარეთ.



მხოლოდ ძლიერ მამაკაცს ემორჩილება

როტვეილერს ბევრი მოვალეობის შესრულება შეუძლია – არის კარგი მეცხვარე, მეძებარი, წინამძღოლი. მას ძლიერი ძვლები და კარგად განვითარებული მუსკულები აქვს. თავი საშუალო სიგრძისაა, შუბლი ფართო, ოდნავ წინ წამოწეული. აქვს კარგად განვითარებული ყბები. ყურები – საშუალო ზომის, დაშვებული, სამკუთხა ფორმის; თვალები ნუშისებრი მოყვანილობის. ცხვირის წვერი შავი აქვს, ტუჩები სქელი და ერთმანეთთან მიკრული. აქვს კარგად განვითარებული ძლიერი კისერი, ფართო და მრგვალი მკერდი. მუცელი მკერდის ხაზზე ოდნავ მაღალია. წინა და უკანა კიდურები სწორი და ერთმანეთის პარალელურია. თეძო მოკლე და ათლეტური აქვს. თათები – მრგვალი. დაფარულია საშუალო სიგრძის ბალნით, რომელიც მოვლას პრაქტიკულად არ საჭიროებს. ბალანი ძაღლს კარგად იცავს როგორც სიცივისგან, ასევე სიცხისგან. ხვადი როტვეილერის სიმაღლე 60-80 სმ-ია, წონა 50 კგ; ძუსი კი 50-53 სმ და 42 კგ. როტვეილერის სიცოცხლის ხანგრძლივობა 8-9 წელიწადია.

როტვეილერი გამბედავია, მაგრამ მიუხედავად თავისი სიდიდისა, საკმაოდ გულჩვილი ძაღლია. პატრონის ერთგულია, უცხოებს არ ენდობა. პატრონს აძლევს

ეროვნული
ბიბლიოთეკა
არსენალი
როტვეილერი

იმის საშუალებას, რომ სხვა ჯიშის ძაღლიც ჰყავდეს. მისი მწყობრიდან გამოყვანა ადვილია. რამდენიმე წამში კეთილი

როგორ დავიმორჩილოთ მონსტრი

რატომ არ არის როტვეილერი რეკომენდებული, როგორ შევარჩიოთ მისი ნაშერი და როგორ დავიმორჩილოთ, ამას კინოლოგი ***კოტე ძვლივიძე*** *გვიამბობს.*

— როტვეილერი აგრესიული, ძალიან სერიოზული ჯიშია, სათამაშო ძაღლი ნამდვილად არ არის. პატრონთანაც კი შეუძლია აგრესიის გამოხატვა. ეს განსაკუთრებით ხვადს ეხება. ძუ შედარებით მშვიდია. საერთოდ, როტვეილერები ერთ ადამიანს აღიარებენ პატრონად, დანარჩენებს კი, უბრალოდ, იტანენ. ძალიან ჭკვიანი, მაგრამ სასტიკი ძაღლია. როცა ბრაზდება, თვალები უსისხლიანდება. ასე რომ, როცა როტვეილერი გაბრაზებულია, ჯობს, არ მიუახლოვდე. ძალიან ცივები არიან, ამიტომ რეკომენდაციას არ უწევენ. ვისაც პირველად აჰყავს ძაღლი, მას როტვეილერს მით უმეტეს, არ ურჩევენ.

— ფიზიკურად ძლიერი ძაღლია?

— დიახ, ფიზიკურად ძალიან ძლიერია, თუ გაიქაჩა, შეიძლება ვერც დაიკავო. თუმცა ორგანიზმი სუსტი აქვს. ლეკვობის ასაკში ძალიან კარგი მოვლა სჭირდებათ, 6-7 თვემდე ძლივს აღწევენ. უმეტესობა კვდება. ამ ბარიერს თუ გადალახავს, მერე კი ცოცხლობს 8-9 წლამდე. იშვიათად, 11-12 წელსაც აღწევს.

— რა განაპირობებს ლეკვობაში მის ასეთ სისუსტეს და რა უნდა გავაკეთოთ, რომ რისკის ბარიერი გადავალახინოთ?

— ძალიან სუსტი იმუნიტეტი აქვს. აცრას კი უკეთებენ, მაგრამ 100-პროცენტიანი არც ეს აცრაა. ძირითადად, ენტერიტი — კუჭ-ნაწლავის დაავადება ემართებათ. ზოგს ჰგონია, რომ ძაღლი მოუწამლეს, სინამდვილეში კი ბაქტერია შეიძლება ქუჩაში სეირნობისას, ან სხვა ძაღლებისგან გადაედოს. ეს დაავადება ყველა ძაღლს ემართება, მაგრამ როტვეილერებს უჭირთ მისი დაძლევა. თუმცა სუსტი კუჭ-ნაწლავის მიუხედავად, განსაკუთრებული კვებას არ სჭირდებათ. სიცივესაც კარგად იტანენ.

— როგორია როტვეილერის სტანდარტი?

— ძირითადად, შავები და ყავისფრები არიან, იშვიათად გულზე თეთრი ხალი დაჰყვებათ, რომელიც გენეტიკურად წინაპრებისგან მოსდევთ. ხალიანი ნამდვილი როტვეილერი არ არის-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ გამოფენაზე ვერ გაიყვან. ახლა ახალი სტანდარტი მიიღეს: კუდს აღარ აჭრიან. ცხოველების უფლებების დამცველებმა საუთარი კაპრიზი გაიტანეს. არადა, ასეთი



რაღაცები არ მესმის, თურმე ძაღლს რომ კუდი მოაჭრა, ცუდია და ყელი რომ დაუზიანო იმის გამო, რომ არ იყეფოს და მეზობელი არ შეაწუხოს, ნორმალურია. ძაღლის ასეთი გაჩუმება საზღვარგარეთ ძალიან ფართოდ არის გავრცელებული. ჩვენთანაც შემოვიდა აპარატი, რომელსაც ყელზე უკეთებენ და თუ ძაღლი დაიყეფებს, დენივით არტყამს. ერთ ამბავს მოგიყვებით. ამას წინათ მეგობართან ამერიკელი სტუმარი იყო ჩამოსული, როტვეილერი ჰყავდა და მისი გაწვრთნა მთხოვეს. ამერიკელმა მითხრა, ისე გამიწვრთენი, ამერიკაში რომ ჩავიყვან, ხმა არ ამოიღოსო. გამეცინა და ვუთხარი, ჩასართველი და გამოსართველი ხომ არა აქვს, საქართველოში იყეფოს და ამერიკაში არა-მეთქი.

— ბატონო კოტე, გვასწავლეთ, როგორ უნდა გავწვრთნათ როტვეილერი?

— ხშირად მთხოვენ ამ ჯიშის ძაღლის გაწვრთნას. 6 თვის ლეკვის დასჯა არ შეიძლება, რადგან მისთვის ჯერ უცხო ვარ. უნდა შემეჩვიოს და, რაც მთავარია, მიმიღოს. გამუდმებით მის გვერდით უნდა ვიყო და ვუჩიჩინო, რომ ეს არ შეიძლება, ის შეიძლება. როცა უკვე შემეჩვევა, ანუ ჩემი დანახვისას კუდის ქიცინს დაიწყებს, მერე ვიწყებ მის გაწვრთნას. სანამ 6-7 თვის გახდება, პატრონმა ძაღლთან ერთად კლუბში უნდა იაროს და იქ ისწავლოს მისი დეტალურად მოვლა და გაწვრთნა, რადგან ყველას ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება. როტვეილერი სამხედროსავით არის, რასაც უბრძანებ, იმას აკეთებს და გემორჩილება. საერთოდ, ქალი ვერ იმორჩილებს როტვეილერს, რადგან მას თავი ქალზე ძლიერი ჰგონია. ამიტომ უნდა დაუმტკიცო, რომ შენ მასზე ძლიერი ხარ. ძალიან აზრიანები არიან. ჩემი პირადი დაკვირვებით, რასაც ნაგაზი 2-3 კვირის განმავლობაში ითვისებს, როტვეილერს შეუძლია ერთ კვირაში ითვისოს. თუ ხასიათზე არ არის და შენ უფროსად არ გთვლის, არ დაგემორჩილება. საერთოდ, როტვეილერს დარაჯის თვისებები აქვს და პატრონს კარგად იცავს. ქალაქის ბინაშიც გამოდგება, ბრწყინვალედ დარაჯობს სახლს. ძალიან პრინციპული და სერიოზული ძაღლია. ძირითადად, ზანტები არიან, მაგრამ თუ დასჭირდათ, წინაღობებსაც იღებენ და სწრაფი სირბილიც შეუძლიათ.

— როგორ უნდა შევარჩიოთ როტვეილერის ლეკვი?

— საერთოდ, ზოგს ლეკვობაშივე ეტყობა, რომ აგრესიულია, ყველას გაყრის და პირველი თვითონ მივა საჭმელთან. არიან მშიშრებიც, ყველას რომ გაურბიან, ასეთი კუთხეში დარჩება და ცდილობს საჭმელი მოიპაროს. ის სადარაჯოდ არ გამოდგება. ზოგი წყნარია, არც იქით არის და არც აქეთ. ზოგი კი, უბრალოდ, ცელქი და მოუსვენარია. მოკლედ, გაჩნია, შენ როგორი ტიპის ძაღლი მოგწონს.

— დაბოლოს, რას ურჩევდით მათ, ვისაც უნდა, რომ როტვეილერი ჰყავდეს?

— აუცილებლად უნდა გაწვრთნან. როტვეილერის მფლობელები ხშირად იმეორებენ, რომ კარგი ძაღლია, თბილი, მოსიყვარულე და უყვარს ბავშვები. მაგრამ, ვფიქრობ, ეს მცდარი აზრია. როტვეილერი თბილი და მოსიყვარულე კი არის, მაგრამ ერთი არასწორი მოძრაობა და დაუნდობელ მონსტრად იქცევა. სპეციალისტები თვლიან, რომ მას არ უყვარს ბავშვები. თუ კარგ ხასიათზეა, შეიძლება ეთამაშოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაინდობს. ვისაც როტვეილერის შეძენა უნდა, აუცილებლად ყველაფერი უნდა ასწავლოს. როგორც უსწავლელი შვილი არ უნდა ჰყავდეს კაცს, ისე არ უნდა ჰყავდეს გაუწვრთნელი ძაღლი.

საერთოდ, ხშირ შემთხვევაში, პატრონი სახლს ძაღლის იმედზე ტოვებს, მაგრამ ქურდი, რომელმაც იცის ძაღლის ფსიქოლოგია, არ უფრთხის ასეთ სახლში შესვლას. იქ, სადაც როტვეილერია, რაც უნდა კარგად ფლობდეს ძაღლის ფსიქოლოგიას, ჯობია გზიდან მობრუნდეს. როტვეილერებს დაუნდობლობის გამო, „ჯოჯოხეთის ძაღლებსაც“ კი ეძახიან. ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, თბილისში კარგად არის ცნობილი. ერთ-ერთ მოქალაქეს სახლში როტვეილერი ჰყავდა. გარკვეული დროის შემდეგ მეორეც შეიძინა. ერთ დღეს პატრონი ერთი როტვეილერის თანხლებით სახლიდან გავიდა, მეორე კი სახლის სადარაჯოდ დატოვა. ქურდმა, რომელმაც არ იცოდა მეორე როტვეილერის არსებობის შესახებ, იფიქრა, მორჩა, მთელი სახლი ჩემიაო და სიხარულით შევარდა ეზოში. სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. ეზოში, მაგრამ შესულს როტვეილერის სისხლიანი თვალები შეეფეთა. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა ამბავი დატრიალდებოდა. საბრალო ქურდს დაგლეჯილი ხელი მოჰკვეთეს. ასეთი შემთხვევები ბევრია, თუმცა „ჯოჯოხეთის ძაღლები“ ზოგჯერ სასაცილოებიც არიან: ერთ-ერთი მინისტრის ძაღლი მყავდა. თუკი რაიმეს გაკეთება არ უნდოდა, სიმულანტობას იწყებდა — ვითომ კოჭლობდა. ეგონა, რომ შევიცოდებდი, მაგრამ საკმარისი იყო ექიმთან მიმეყვანა, იმ წუთში ხტუნვას დაიწყებდა.

რუბრიკა მოამზადეს
მაკა ქობალიამ და სალომე გოგოხიამ

ზღვის მგლები

„მეკობრე" – ეს სიტყვა მაშინვე გააცოცხლებს სხვადასხვა ხატს ნებისმიერი ადამიანის მეხსიერებაში, ვისაც ბავშვობაში სათავგადასავლო ლიტერატურით დაავადება გადაუტანია.

რომით გაჟღენთილი, პირში ჩიბუხგაჩრილი, ცალთვალა და ცალფეხა ბებერი ზღვის მგელი, განუყრელი თუთიყუშით მხარზე, რაღაცას ბურტყუნებს პიასტრებზე და უშვერად იგინება. დაძენძილაფრიანი ბრიგანტინები, მის გემბანებზე კი დენთით შეტრუსული არამზადები. გაქცეული კატორღელები, მეამბოხეები, დაგრეხილფეხებიანი გადასახლებულები, რომელთაც სიფათებზე ეტყობათ, რომ ქრისტიანული გულმოწყალება მათთვის უცხო ხილია.

სინამდვილეში ეს რომანტიკული ზღაპრები ფლიბუსტიერებზე (ასე უწოდებდნენ მე-17-18 სს-ში მეკობრეებს ან კონტრაბანდისტებს), რომელთაც კარიბის ზღვის მივარდნილ კუნძულებზე მეკობრული რესპუბლიკა დააარსეს – სიმართლის მხოლოდ ნაწილია და ისიც სათავგადასავლო რომანების ავტორების მიერ ზედმეტად რომანტიზებული.

ლეგენდარულმა მეკობრულმა თემმა ცოტა ხანს იარსება, მალე იგი კარგად ორგანიზებულმა (ხშირად სახელმწიფოებრივმა) ბიზნესმა შეცვალა, რომელიც მარჯვედ იყო შენიღბული სხვადასხვა ჯურის იღბლის მაძიებლებით. დროშა კი მეკობრულ ბრიგანტინებზე თავდაპირველად წითელი იყო და არა შავი!

ნებისმიერ ავაზაკობას ზღვაზე – მეკობრეობა ეწოდებოდა, ასე დამკვიდრდა ისტორიულად. არადა, ბევრი საზღვაო თავდამსხმელი იწყენდა ამ ტიტულს, რადგან გარდა ე.წ. „კერძო მეწარმე" მეკობრეებისა, იყვნენ კორსარებიც – ისინიც მეკობრეობდნენ ზღვაზე, ოღონდ სახელმწიფოს კურთხევით. მთავრობისგან ლიცენზიამიღებული კორსარები მოწინააღმდეგე ქვეყნების ხომალდებს ძარცვავდნენ, ნაძარცვს ხაზინას აბარებდნენ, სამაგიეროდ კი წოდებებს, ორდენებსა და ტიტულებს იღებდნენ.

სხვათა შორის, სწორედ ფრანგი კორსარები, რომლებიც ინგლისელების მოსვლამდე განუყოფლად ბატონობდნენ კარიბის ზღვაში, მართავდნენ თავიანთ ხომალდებზე მეამბოხეთა და დაუმორჩილებელთა ტრადიციულ ალისფერ ალმებს. ეროვნული დროშის აღმართვას კი ვერავინ ბედავდა – საერთაშორისო საზღვაო სამართლით, სხვა ქვეყნის მშვიდობიან ხომალდზე საკუთარი ალმით თავდასხმა ომის გამოცხადებას ნიშნავდა.

სამაგიეროდ, როცა ომები მიმდინარეობდა, საქმეში მეკობრეთა სხვა სახეობა ებმებოდა – მათ რეიდერებს ან კაპერებს უწოდებდნენ. სამხედრო ხომალდები (მე-20 საუკუნეში კი წყალქვეშებიც) მეტოქე ქვეყნის ალმით მცურავ სავაჭრო ხომალდების ქარავანს ან ცალკეულ ხომალდს ესხმოდნენ თავს. ჩვეულებრივ რეიდერებს ხარახურა არ აინტერესებდათ – მტრის ზურგში მოქმედი პარტიზანებივით ხომალდს ძირავდნენ.

ყველა ზემოჩამოთვლილ საზღვაო მონადირეს, როგორც უნდა ვუწოდოთ მათ, არსებითად ერთი სახელი – „მძარცველი" ჰქვია. თუმცა თითოეულ მათგანს თავისი ბედი ეწია – ზოგს სახრჩობელა, ზოგს კი დიდება.

საზღვაო მეკობრეობა ზღვაოსნობის განვითარებასთან ერთად დაიბადა. განსაკუთრებით დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ეპოქაში, მე-16 საუკუნეში გაიფურჩქნა. სწორედ მაშინ გახდა კარიბის ზღვა მათი მთავარი ნავსაყუდელი – დიდხანს მას მეკობრეთა ზღვასაც უწოდებდნენ. მეკობრეთა სამიზნეს ესპანეთში ახალაღმოჩენილი მიწებიდან მომავალი ოქროთი, ვერცხლით, სანელებლებითა და სხვა ძვირფასი საქონლით დატვირთული ხომალდები წარმოადგენდა.

როცა 1492 წელს რომის პაპმა ალექსანდრე VI-მ საგანგებო ბრძანებულებით, ესპანეთსა და პორტუგალიას შორის აღმოჩენილი და ჯერ კიდევ აღმოუჩენელი მიწები გაყო, ევროპის მონარქებმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს. ესპანეთის უძლიერეს ფლოტთან ბრძოლა მათ შესაძლებლობებს აღემატებოდა, ამიტომ საფრანგეთის მეფის, ფრანცისკ I-ის, ინგლისის დედოფლის, ელისაბედ I-ის ქვეშევრდომებმა და ჰოლანდიელმა ზღვაოსნებმა პარტიზანულ მოქმედებას მიმართეს.

ესპანურ ხომალდებზე ფრანგი კორსარების რამდენიმე წარმატებული თავდასხმის შემდეგ, ესპანეთის ბრძანებით, ამერიკიდან მომავალ ხომალდებს ატლანტიკა ქარავნე-

ბად უნდა გადმოეცურათ.

ესპანური გალეონები — ვეებერთელა სამფრიანი ხომალდები, 600-800 ტ წყალწყვით — კარგად იყვნენ შეიარაღებული, მაგრამ სიჩქარესა და მანევრირებაში გაცილებით ჩამორჩებოდნენ მეკობრეთა ბრიგანტინებს. გარდა ამისა, სახელმწიფო ტვირთის გარდა, უამრავი არალეგალური მგზავრი აჰყავდათ ხომალდზე. პორტიდან გასვლისთანავე გადატვირთვის გამო რომ არ ჩაძირულიყვნენ, ხერხს მიმართავდნენ: როცა ხომალდს ამოწმებდნენ, გემბანზე შტატით ნაგულისხმები რაოდენობის ზარბაზნები იდგა, თუმცა ყველამ იცოდა, რომ ნახევარზე მეტი „მეზობელი“ გემებიდან ჰქონდათ ნათხოვარი. კომისიის წასვლისთანავე გალეონიდან „ზედმეტ“ შეიარაღებას გადმოტვირთავდნენ. სამაგიეროდ, ზღვაში მეკობრეებთან შეხვედრისას იმ ზარბაზნებს მოისაკლისებდნენ, მაგრამ გვიანღა იყო...

კარიბის ზღვის მეკობრეებს თავიანთი წესები ჰქონდათ — „მონადირებული“ ხომალდი ატამანის საკუთრება ხდებოდა — მას თავის სურვილისამებრ შეეძლო გაეყიდა ან საკუთარ ფლოტილიაში ჩაერიცხა იგი. ტვირთი კი კუნძულ ტორტიუზე, ჰაიტის ჩრდილო სანაპიროზე მიჰქონდათ. ამ პატარა კუნძულზე, რომელიც მეკობრეთა დედაქალაქად იყო აღიარებული, ტვირთს შეაფასებდნენ და მხოლოდ შემდეგ იყოფდნენ. ფულის ნაწილი ვესტ-ინდოეთის კომპანიაში მიდიოდა, მეორე გუბერნატორსა და სხვა ჩინოსნებთან. დარჩენილ ფულს მეკობრეები იყოფდნენ. ჰქონდათ ე.წ. „ობშჩიაკიც“, რომლითაც დაჭრილებს ან დასახიჩრებულებს ეხმარებოდნენ. დასასრულ, ატამანი ლაშქრობის წევრებს ნადავლის გადამალულ ნაწილსაც დაადებინებდა — ასეთებს არ სჯიდნენ... მეკობრეთაგან ცოტანი ამთავრებდნენ სიცოცხლეს სიმშვიდესა და კეთილდღეობაში. ზოგიერთი მაინც ახერხებდა ამას, ოღონდ საამისოდ „კრიშად“ სახელმწიფო უნდა გაეხადა.



მისი უდიდებულესობის ლორდი მეკობრე

მეკობრეობის სახელმწიფოებრივი მიზნებით გამოყენებამ პიკს ინგლისის დედოფლის, ელისაბედ I-ის დროს მიაღწია. სწორედ მისი მონარქობის პერიოდში იქცნენ ადმირლები მეკობრეებად და პირიქით, — ყოფილი მეკობრე ადმირალი ხდებოდა და ყოფილ მოძმეებს განსაკუთრებული სისასტიკით დევნიდა.

მეფის საშსახურში ჩამდგარი ყველაზე ცნობილი მეკობრე ფრენსის დრეიკი იყო. ისიც უდავოა, რომ იგი დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი ზღვაოსანი იყო. 1572 წელს პანამის ახ-

ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡ ᲮᲕᲐᲚᲓᲐᲮᲕᲐᲚ

არსენალის წინა ნომერში რუბრიკით „ცხოვრების წესი“, შემოგთავაზეთ მასალა საფრანგეთის უცხოური ლეგიონის შესახებ. ამ სტატიამ ჩვენი მკითხველის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. რედაქციაში ყოველდღიურად ათობით ზარი შემოდიოდა. ახალგაზრდებს ლეგიონის მიმღები პუნქტების მისამართები აინტერესებდათ. ამჯერად, გადავწყვიტეთ გამოვაქვეყნოთ ლეგიონის მოხალისეთა მიმღები პუნქტების მისამართები. შემდეგ ნომერში კი შემოგთავაზებთ ინფორმაციას, თუ რა სახის ტესტებია გასავლელი ლეგიონში მოსახვედრად და ინტერვიუს ახალგაზრდასთან, რომელმაც რამდენჯერმე სცადა ლეგიონში მოხვედრა.

(ქვემოთ მიმდევრობით მითითებულია ქალაქი და პუნქტის მისამართი)

AUBAGNE
13400 - Quartier Viйnot
BAYONNE
64100 - 18, quae de Leseps
BORDEAUX
33000 - 260, rue Pelleport
Clermont-Ferrand
63035 - 31 cours Sablon
DIJON
21000 - Caserne Junot - 66, avanue du Drapeau
LILLE
59000 - La Citadelle
LYON
69007 - Quartier Gйnйral Frиre
MARSEILLE
13007 - La Maimousque - chemin du Gйnie
METZ
57000 - Quartier de Lattre de Tassigny
NANTES
Armйes 44000 - Quartier Desgrйes du Lou, rue Gambetta
NICE
06300 - Caserne Filey - rue Sinclaire
PARIS
Fontenay-sous-Bois - Fort de Nogent
PERPIGNAN
66020 - Caserne Mangin - 8, rue Franзois Rabetais
POLTIERS
86000 - Quartier Abovlle
REIMS
51000 - Quatier Colbert - 31 bis, avenue de la Paix
ROUEN
76038 cedex - rue du Colonel Trupel
STRASBOURG
67000 - Quatier Lecourbe, rue D'Ostende
TOULUSE
31000 - Caserne Perignon, avenue Camille Pujol

ლოს ესპანური ოქრო-ვერცხლით სავსე ქარავანი შეიპყრო. ამის გამო ინგლისში ეროვნულ გმირად შერაცხეს. როგორც ლეგენდა გვიამბობს, დრეიკმა მუხლი მოიყარა დედოფლის წინაშე, ლაშქრობის ამბავი აუწყა და მორჩილად გადასცა თავისი მახვილი. ელისაბედმა მახვილი შემართა დამნაშავის თავზე, მაგრამ თავის მოკვეთის ნაცვლად, მხარზე შეახო და წარმოთქვა: „ადექით, სერ ფრენსის!“ ფეხზე წამომდგარი დრეიკი უკვე ადმირალი, ბარონეტი და ლორდი იყო.

ასეთივე „წარმატებული კარიერა“ გაიკეთა ლეგენდარულმა ჰენრი მორგანმა. მეკობრეობა კარიბის ზღვაში დაიწყო და მალე ყველა ქვეყანამ, ვისაც კი კარიბის ზღვაში თავისი ინტერესები ჰქონდა, კანონგარეშე გამოაცხადა. მისი მეკობრული კარიერის მწვერვალი ვესტ-ინდოეთში ესპანეთის უდიდეს პორტზე, 1670 წელს პანამაზე გალაშქრება იყო. ქალაქი 36 ხომალდისგან შემდგარმა ფლოტილიამ და 2000-მა მეკობრემ დაიპყრო. მორგანმა ნაძარცვის დიდი ნაწილი თავის ლაშქარს დაუთმო და მეკობრეობაზე ხელი აიღო, მაგრამ მისდა საუბედუროდ, ინგლისსა და ესპანეთს შორის დროებითი ზავი დაიდო და პანამის დამპყრობელი ბორკილებდადებული ჩაიყვანეს ლონდონში. თუმცა „იღბლიან ჯენტლმენს“ ბედმა გაუღიმა და მეფე კარლ II-მ, რაკი ვესტ-ინდოეთში თავზეხელაღებული მოხელე სჭირდებოდა, მორგანი შეიწყალა. ფლოტის ადმირალის წოდება მისცა და იამაიკის გუბერნატორად დანიშნა. სერ ჰენრიმ ბრიტანეთის ამ უმსხვილეს კოლონიაში წესრიგის დამყარება დაიწყო, რაც უპირველესად, ყოფილი თანამოძმეების დევნით გამოიხატა.

მთელი მე-16 საუკუნე მეკობრეების აღზევებასა და დევნაში გავიდა. როგორც კი ქვეყნები ზარბაზნების ენით იწყებდნენ ლაპარაკს, „იღბლიან ჯენტლმენებზე“ მოთხოვნა იზრდებოდა. ხანმოკლე ზავების დროს კი მორიგი ანტიმეკობრული კამპანია იწყებოდა...

საზღვაო მეკობრეობა ალბათ ზღვაოსნობის გაჩრობის შემდეგ შეწყდება, ასეთი რამ კი პრაქტიკულად წარმოუდგენელია. ამიტომ „ცივილიზებული“ მე-20 საუკუნისთვისაც არ იყო უცხო ხილი გერმანული სუბმარინების თარეში, რომლებიც მშვიდობიან სამგზავრო ლაინერებსა და სავაჭრო ქარავნებს ძირავდნენ.

მეკობრეობის საყოველთაოდ ცნობილი ომის შემდგომი ცენტრი სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია შეიქნა — სხვაგვარად თუ ვიტყვით, ჩინეთის სანაპირო წყლები, ინდონეზია, მალაიზია, სინგაპური, ტაილანდი და ფილიპინები. შემდგომ ბრაზილია, კარიბის აუზი, ინდოეთის ოკეანის სივრცე (სადაც მეკობრეობის მამამთავრად დიდი ზღვაოსანი და „შეთავსებით“ კორსარი ვასკო და გამა იყო) და ბოლოს, აფრიკის აღმოსავლეთი სანაპიროები. რა თქმა უნდა, მე-20 საუკუნის მეკობრეობა თავისი მასშტაბებით განსხვავდება რომანტიკული და გულუბრყვილო მე-16 საუკუნისგან.

მე-20 საუკუნის მეკობრეებს სამხედრო და სხვა ტექნიკის უახლესი მოწყობილობები აქვთ: სწრაფმავალი კატერები, ავტომატები, ტყვიამფრქვევები, ყუმბარმტყორცნები, რადარები, ნავიგაციისა და კავშირის თანამგზავრული სისტემები. ყველა უდიდეს პორტში ჰყავთ თავიანთი „თხუნელები“, რომლებიც ზუსტ ინფორმაციას აწვდიან, თუ რომელი ხომალდი სად გაივლის, რა ტვირთით და როგორ არის შეიარაღებული.

მეკობრეობის წინააღმდეგ ორგანიზებული ბრძოლისთვის კუალა-ლუმპურში 1992 წელს შეიქმნა საერთაშორისო ცენტრი — აქ იყრის თავს ინფორმაცია მეკობრეების შესახებ. მეკობრულ ბიზნესს ყოველწლიურად 16 მლრდ დოლარი მოაქვს. შემთხვევით როდი არსებობს ეჭვი, რომ ამ შემოსავლიან საქმეში პორტების ხელმძღვანელებიც და ზღვისპირა სახელმწიფოების მეთაურებიც არიან ჩართულნი.

ბოლო დროს მეკობრეები ნაკლებად იყენებენ იარაღს. მაგალითად, 1999 წელს 285 თავდასხმიდან იარაღის გამოყენების მხოლოდ 11 შემთხვევა დაფიქსირდა. არ იფიქროთ, რომ თანამედროვე ფლიბუსტიერები ლმობიერები არიან — საქმე ის არის, რომ კანონით გათვალისწინებული საპასუხო ზომების სისასტიკე აფრთხობთ...

ასეა თუ ისე, დღესაც არავინ იცის, როგორ ებრძოლონ მეკობრეობას და ცალფეხა და ცალთვალა მეკობრე ძველებურად სერავს ზღვის სივრცეებს და გამომწვევად შეჰყურებს „კანონიერ“ ხომალდებს.

ნავაჰოს ტომის ინდიელები მეორე მსოფლიო ომში

1942-1944 წლებში, წყნარი ოკეანის საბრძოლო მოქმედებების დროს, ნავაჰოს ტომის ინდიელთა მონაწილეობას ამერიკული სამხედრო ძალების შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ამერიკელთა სამხედრო წარმატებებისა და გამარჯვებების ერთ-ერთ მთავარ თანამონაწილეებად ნავაჰოს ტომის ინდიელებიც ითვლებიან. მათი ამოცანა დაშიფრული ინფორმაციის გადაცემა იყო. ინდიელები პირველი მსოფლიო ომის დროსაც მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში. მაშინდელი გმირები არა ნავაჰოს, არამედ ჩოკტაუს ტომიდან იყვნენ. 1918 წლის ზაფხულში ჩოკტაუს ტომის 14 ინდიელი ამერიკის 36-ე დივიზიის შემადგენლობასთან ერთად გერმანელთა წინააღმდეგ მიმდინარე სისხლიან ბრძოლებში მონაწილეობდა. მათი რადიო, სატელეფონო თუ წერილობითი შეტყობინებები მათსავე ენაზე იყო შედგენილი. ერთი კურიერის შეპყრობა გერმანელებმაც მოახერხეს, მაგრამ ტექსტის წაკითხვა ვერაფრით შეძლეს. ჩოკტაუს ინდიელთა მნიშვნელოვანი როლის აღსანიშნავად პირველ მსოფლიო ომში, 1989 წლის 3 ნოემბერს, საფრანგეთის მთავრობამ ღირსების ეროვნული ორდენით დააჯილდოვა ჩოკტაუს შეფი რობერტსი. იტალიასა და საფრანგეთში მიმდინარე ამერიკულ სამხედრო კამპანიაში, II მსოფლიო ომის დროს, სხვა ჩრდილო-ამერიკული ტომის, კომანჩების 17 წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას. მაგრამ ყველა სხვა ტომის ინდიელებთან შედარებით, ნავაჰოს ტომის დამსახურება ყველაზე მნიშვნელოვანია...

დაშიფრული ენის გამოყენების იდეა ეკუთვნოდა ლოს-ანჯელესელ ინჟინერს, ფილიპ ჯონსტონს, პირველი მსოფლიო ომის ვეტერანს, რომელიც 1917-1918 წლებში საფრანგეთში იბრძოდა. მას კარგად ახსოვდა ჩოკტაუს ინდიელთა ღვაწლი. თანაც ის ოთხი წლის ასაკიდან ნავაჰოს ტომის ინდიელთა რეზერვაციაში იზრდებოდა და საკმაოდ კარგად ჰქონდა შესწავლილი მათი ენა და ჩვეულებები. 1942 წელს, ვიდრე ამერიკა ომში ჩაერთვებოდა, ჯონსტონმა ერთ-ერთ გაზეთში წაკითხა სტატია, სადაც ნათქვამი იყო, რომ ლუიზიანას მოტორიზებულ დივიზიას სჭირდებოდა სპეციალისტები სამხედრო ხასიათის დაშიფრული ინფორმაციის გადასაცემად.

მეორე დღეს, ჯონსტონი სან-დიეგოსთან მდებარე კემპ ელიოტის ბაზას მიადგა და ლეიტენანტ ჯეიმს ჯოუნსს კარგად არგუმენტირებული იდეა გააცნო. ოფიცერი სკეპტიკურად შეხვდა ახალ ინიციატივას, იმ მოსაზრებით, რომ ჩრდილო-ამერიკული ტომის ინდიელებს თავიანთ ენაში არ ჰქონდათ ინგლისური სამხედრო ტერმინების შესატყვისი სიტყვები. იმ შემთხვევაში კი, თუ ტექსტებში ინგლისურ ტერმინებს ჩამატებდნენ, ის ადვილად გასაშიფრი გახდებოდა მტრისთვის. მაგრამ ჯონსტონი არ აპირებდა თავისი იდეის უარყოფას. იგი ბრწყინვალედ ფლობდა ნავაჰოს ინდიელთა ენას და დარწმუნებული იყო, რომ ენა შეიცავდა საკმარისი რაოდენობის სიტყვებს, რომლებსაც წარმოთქმისას განსხვავებული ჟღერადობა ჰქონდათ. ეს კი მათი სხვადასხვაგვარად გაგების შესაძლებლობას იძლეოდა. ლოს-ანჯელესში დაბრუნებულმა ჯონსტონმა სცადა მოეძებნა მსგავსებები ინგლისურ ენასა და ნავაჰოს ინდიელთა ენას შორის. სწორედ მაშინ მოიფიქრა: იმის მაგივრად, რომ ნავაჰოს ენაში მოეძებნა, ვთქვათ, სიტყვა „ტყვიამფრქვევი", უკეთესი იქნებოდა ამ სამხედრო ტერმინის ნაცვლად ენაში არსებული ერთი ან რამდენიმე სიტყვა ეხმარა. ასე გახდა „ტყვიამფრქვევი" – „თოფი, რომელიც ჩქარა ისვრის"; „სამხედრო ხომალდი" – „ვეშაპი"; „მოიერიშე თვითმფრინავი" – „მტაცებელი ფრინველი". 28 თებერვალს ჯონსტონი კვლავ ეწვია კემპ ელიოტს, ამჯერად ნავაჰოს ტომელ ოთხ ინდიელთან ერთად, რათა სკეპტიკურად განწყობილი ოფიცრებისთვის თავიანთი შესაძლებლობები ეჩვენებინათ. ორ-ორი ინდიელი სხვადასხვა ოთახში მოათავსეს. ერთ ჯგუფს მეორესთვის უნდა გაეგზავნა ტიპური ხასიათის სამხედრო ბრძანება ნავაჰოს ენაზე. ინგლისურად თარგმნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბრძანების ზუსტი ასლი მიიღეს. ოფიცრები გაკვირვებას ვერ მალავდნენ. ტესტი წარმატებულად ჩაბარებულად ჩაითვალა. გენერალმა ვოგელმა წერილი გაუგზავნა აშშ-ის საზღვაო ჯარების სარდლობას, რომელშიც ითხოვდა ნავაჰოს ტომის 200 ინდიელი საკომუნიკაციო სამსახურის სპეციალისტებად მიეღოთ. ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ, ვაშინგტონმა გენერალს სასინჯი პროექტისათვის 30 ინდიელის მომზადება დაავალა.

1942 წლის აპრილის შუა რიცხვებში ნავაჰოს ინდიელთა რეზერვაციაში მოეწყო პერსონალური სამხედრო გაწვევა საზღვაო ძალებში სამსახურისთვის. 30 მოხალისე ჩაეწერა ფორტ უაინგეითის და შიპროკის (ნიუ მექსიკო) და ფორტ დიფაიენის (არიზონა) სკოლებში. სასწავლო ეტაპის გავლის შემდეგ 30 „სპეციალისტი", რომლებიც საუკეთესოდ ფლობდნენ ინგლისურსა და ნავაჰოს ენებს, სამხედრო სამსახურში ჩადგნენ. ამას მოჰყვა მძიმე, შრომატევადი და შეუსვენებელი მუშაობა მრავალი დღის მანძილზე. მაგრამ მათი შრომა დაფასდა – შეიქმნა სპეციალური კოდი. ამ დამქანცველი მუშაობის შემდეგ ორი ინდიელი ცენტრში დარჩა ინსტრუქტორად. დანარჩენები კი გუადალკანალისკენ გაემართნენ, რათა ბრძოლის ველზე გამოეყენებინათ საკუთარი გამოცდილება. 1942 წლის აგვისტოში 27 ინდიელი საზღვაო ქვეითთა დივიზიაში ჩაირიცხა. მიღწეულმა წარმატებებმა გენერალ ალექსანდრ განდეგრიფტის დიდი კმაყოფილება გამოიწვია. მისი მოთხოვნით, ინდიელთა რაოდენობა 83 სპეციალისტამდე გაიზარდა...

ნავაჰოს ტომის ინდიელებმა დიდი წვლილი შეიტანეს ისეთი სამხედრო ოპერაციების წარმატებით დასრულებაში, როგორიც იყო სოლომონის, მარიანის და სხვა კუნძულებისა თუ არქიპელაგების გათავისუფლება. აივო ჯიმას კუნძულებზე ჯარების ნაპირზე გადასვლის კომენტირებისას, ოფიცერი ჰოვარდ კონორი თავის ჩვენებაში აცხადებდა: „მთელ ოპერაციას ნავაჰოს კოდის საშუალებით უძღვებოდნენ. გადაცემული და მიღებულ იქნა 800-ზე მეტი შეტყობინება. რომ არა ნავაჰოს კოდის გადამცემები (Navajo Code Talkers), საზღვაო ქვეითები აივო ჯიმას დაპყრობას ვერ მოახერხებდნენ.

50-ათასიანი ნავაჰოს ტომიდან, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა მიიღო 540-მა ინდიელმა, მათგან 420-მა, როგორც კოდის სპეციალისტმა.

მოამზადა გიორგი რუხაძემ

ქართულ ეროვნულ ტრადიციებს სხვა დანარჩენთან ერთად საუკუნეთა მანძილზე ნაწრთობი საბრძოლო ხელოვნებაც მიეთვლება. თუ რა დიდი ცოდნა და გამოცდილება დააგროვეს ჩვენმა წინაპრებმა მტერთან ბრძოლის დროს, ამას თითოეული ილეთი და საბრძოლო იარაღი მოწმობს. მივიწყებულ ქართულ საბრძოლო ხელოვნების აღორძინებას ფედერაცია „ხრიდოლი" ცდილობს. იმის შესახებ, თუ რამდენად წარმატებულია ეს მცდელობა და ეხმარება თუ არა ფედერაციას ვინმე, ამას ფედერაციის პედაგოგისგან, ბატონი დავით ალანიასგან შევიტყობთ.

„მარტო ბრძოლას კი არა, ვაქცინაციასაც ვასწავლით..."

— რამდენი ხანია, რაც „ხრიდოლის" ფედერაცია არსებობს და რა მიზნები დაედო საფუძვლად მის შექმნას?

— ფედერაცია დაახლოებით 1993 წლიდან არსებობს. ამ წლების მანძილზე ვაწარმოებდით კვლევა-ძიებას, სისტემაში მოგვყავდა სახეობები, რომლებიც ახლა ჩვენს ჯგუფებში შეისწავლება. 1998 წლიდან ჩამოყალიბდა გუნდები და „ხრიდოლის" ვარჯიშებს მასიური ხასიათი მიეცა. იგი უკვე სკოლის სასწავლო პროგრამებში შევიდა, დაარსდა სექციები. დღეისთვის თბილისში ვარჯიშის შემსწავლელი საკმაოდ ფართო ქსელი არსებობს. მოზრდილი დარბაზი გვაქვს მუხიანში, სადაც საკმაოდ ბევრი ბავშვი ვარჯიშობს. თბილისის ზოგიერთ სკოლაშიც არის ჯგუფები.

— რა ასაკის ბავშვებს ამეცადინებთ?

— ვარჯიშს 5 წლის ასაკის ბავშვებთან ვიწყებთ. თუმცა ასაკობრივი შეზღუდვა არ არსებობს. გაცილებით უფროსებიც ვარჯიშობენ.

— თავად სახელწოდება „ხრიდოლი" რას ნიშნავს?

— ამასთან დაკავშირებით ძალიან დიდი კვლევა ჩავატარეთ. „ხრიდოლი" მოიხსენიება როგორც კრივის ერთ-ერთი სახეობა. სხვა მოსაზრებებიც იყო, მაგრამ არსებული წყაროებით მტკიცდება, რომ იგი კრივის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა.

— „ხრიდოლის" სასწავლო პროგრამაში ილეთების სახესხვაობა შედის?

— ეს არ არის მარტო ილეთები, მასში მთელი ქართული სული და მენტალიტეტია ჩადებული. ვინაიდან ისტორიულად ჩვენ მიწათმოქმედი და მებრძოლი ერი ვართ, საბრძოლო ხელოვნების კულტურაც, შესაბამისად, მეტად მაღალ დონეზე იყო აყვანილი. ბოლო წლების განმავლობაში დამუშავდა მოპოვებული ინფორმაცია, მაგრამ მასებამდე ვერ მივიდა (სოციალისტურ პერიოდს ვგულისხმობ). ბრძოლის ეროვნული ხერხების შესახებ მოძღვრება თითქმის ჩაკვდა. ისტორიული ცნობებით დასტურდება, რომ საბრძოლო ხელოვნების საკმაოდ მაღალი დონის ოსტატები გვყავდნენ. საქართველოს ყველა კუთხეს თავისი დამახასიათებელი საბრძოლო ხერხი თუ ილეთი აქვს. მაგრამ ჩვენ ეს წესები ერთ სისტემაში მოვიყვანეთ. ჩვენს ეროვნულ ჭიდაობას ეს არც სჭირდებოდა. ქართული კრივი კი ტრადიციულ სისტემაში დავამუშავეთ, მისი დახვეწა ახლაც მიმდინარეობს. ქართულ კრივსაც თავისებური წესები აქვს. ეს იგივეა, რაც ბრძოლა წესების გარეშე, ცოტა უფრო „ვაუკაცური ნორმებია" ჩადებული.

ჩვენთან ხევსურულ ჭიდაობასაც სწავლობენ. შეიძლება ითქვას, რომ იგი ძიუდოს, სამბოსა და თავისუფალი ჭიდაობის სინთეზია, მაგრამ უფრო საბრძოლო ხასიათის, გაცილებით რთულად შესასრულებელი და ტრავმული ილეთებით. აქცენტი გვაქვს აღებული იარაღზეც — ხმალსა და ხევსურულ ფარიკაობაზე. არსებობს სვანური ხანჯლაობა, მეგრული „ხინთკირი". ეს ისეთი სახეობებია, რომლებსაც ბავშვები პროგრამაში ზოგადად გადიან. ჩამოთვლილ სახეობებში შეჯიბრებებს, ღია ტურნირებს, ჩემპიონატებს ვატარებთ და საკმაოდ ბევრი მონაწილე და მაყურებელი გვყავს.

— რა განსხვავება ან მსგავსებაა ქართულ საბრძოლო ხელოვნებასა და აღმოსავლურ ორთაბრძოლებს შორის? უცხოელები თუ დაინტერესებულან ჩვენი საბრძოლო ხელოვნებით?

— დაინტერესება იყო. 1995 წელს, რამდენადაც მახსოვს, იუნესკოს კომისია იყო ჩამოსული. საჩვენებელი გამოსვლები ჩატარდა, გაეცნენ, რას წარმოადგენდა „ხრიდოლი" და როგორი იყო სანახაობრივად. ძალიან კმაყოფილნი დარჩნენ და ზოგიერთი რამ, მაგალითად, „ხინთკირი" მსოფლიოში ანალოგის არმქონედ აღიარეს.

— ბრძოლის რა სახეობაა „ხინთკირი"?

— ეს თვალახვეული ხანჯლაობაა, თანაც ძალიან მაღალ ოსტატობამდე აყვანილი. გამორიცხულია სასიკვდილოდ დაჭრა, ელემენტარული გაკაწვრაც კი დაუშვებელია, ასე იყო ადრეც...

— თქვენს სასწავლო პროგრამაშიც იყენებთ იარაღებს?

— დიახ. ბავშვები ფარიკაობას, ხანჯლაობას ხის იარაღით იწყებენ. გამოიყენება ჯოხები, კომბლები, ხელკეტები. XXI საუკუნეში ამის გამოყენება ცხოვრებაში ძალიან ძნელია, მაგრამ ქართველის ხასიათში „ზის" და ბავშვებიც ძალიან ადვილად ითვისებენ. მეტწილად სანახაო-

ბავშვები წონისა და ასაკის მიხედვით არიან დაწყვილებულები და დიდი ენთუზიაზმით ვარჯიშობენ

ბრივად არის ლამაზი. საჩვენებელი გამოსვლები ეწყობა. ბავშვები კინოგადაღებებში, გადაცემებში მონაწილეობენ.

მეტად საინტერესოა ქართული იარაღი. აღსანიშნავია ხევსურული სათითეები, რომლებიც ძალიან წააგავს კასტეტებს, თუმცა თავად სათითე მეტად ინდივიდუალური და ქართულია. მსოფლიოში ცნობილი კასტეტებისგან განსხვავებით, მას სუფთა პრაქტიკული გამოყენება აქვს, ნახევრად საიდუმლო იარაღადაც შეიძლება ჩაითვალოს. იგი ხელჩართული ბრძოლისას გამოიყენებოდა. ძალიან პატარა, მაგრამ პრაქტიკულია. ცივი იარაღი კი, ცნობილია, რომ რაც უფრო პატარაა, მით უფრო საშიშია. ეს სათითეები, ძირითადად ერთ, ზოგ შემთხვევაში ორ თითზე კეთდება. სათითეებით, ძირითადად, მოწინააღმდეგის თავს აზიანებდნენ და ძალიან მძიმე ჭრილობებსაც აყენებდნენ. ამ ფაქტმა, თავის მხრივ, მეტად განავითარა მედიცინა ხევსურეთში. იქაური ექიმები, ანუ დასტაქრები, როგორც მათ უწოდებდნენ, თავის ქალის ტრეპანაციასაც კი აკეთებდნენ.

— თქვენს სასწავლო პროგრამაში თუ შედის თვითმკურნალობის კურსი ტრავმებისა და ჭრილობების მიღების შემთხვევაში?

— ნებისმიერმა სპორტსმენმა იცის, რა ტრავმები შეიძლება მიიღოს და ზოგადად ერკვევა, როგორ უნდა უმკურნალოს მათ. გვაქვს კარაბადინები, ბევრი ინფორმაციაა მოპოვებული. საჭიროა ყველაფრის დამუშავება.

— საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არ დაინტერესებულა „ხრიდოლის“ საქმიანობით? ხომ შეიძლება, ქართული ჯარის საბრძოლო ხელოვნების გამრავალფეროვნება ქართულსავე ტრადიციებზე მოხდეს?

— ვერ გეტყვით, რამდენად და რა მასშტაბით აინტერესებს ეს თავდაცვის სამინისტროს. თუმცა ზოგადი ურთიერთობები გვქონია, გვიცნობენ. კარგი იქნება, თუ გადაწყვეტენ, რომ ქართველი ჯარისკაცი ისევ ქართულ ტრადიციებზე, ქართულ საბრძოლო ხელოვნების მიხედვით აღვზარდოთ. გარკვეულ დონეზე ფედერაცია მზად არის, მას მხარდაჭერა აღმოუჩინოს, რომ სამხედრო მომზადების პროგრამაში ჩვენი სასწავლო კურსის ნაწილიც შევიდეს. რა თქმა უნდა, სამხედრო სწავლების სისტემაში სასურველია აღმოსავლური ორთაბრძოლების თავისებურებათა შეტანაც.

— თქვენთვის ფინანსური დახმარების გაწევის სურვილი არავის გამოუთქვამს? ხომ გჭირდებათ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დარბაზების სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის?

— რიგი ორგანიზაციებისგან გვაქვს მიზერული დახმარებები. ბევრს მოსწონს, რასაც ვაკეთებთ. ვფიქრობ, ესეც მისასალმებელია. შეიძლება ეს საკმარისი არ იყოს, მაგრამ მხარდაჭერა მაინც გვჭირდება. როგორც ასეთი, „აქტიური“ დახმარება ქართული საბრძოლო ხელოვნებას არა აქვს, მაგრამ მგონია, რომ სახელმწიფო აბსოლუტურად უყურადღებო მაინც არ არის ჩვენ მიმართ.

— ფედერაციის წევრები ადრე მასალების მოსაპოვებლად საქართველოს მთასა და ბარში დადიოდით. ახლა რა ვითარება ამ მხრივ?

— ბოლო წლებში უფრო აქტიურად მიმდინარეობს საექსპედიციო-სამეცნიერო სამუშაოები, უფრო მეტი მასალა და სარწმუნო წყარო ამოვიღეთ წინა წლებთან შედარებით. დროთა განმავლობაში ექსპედიციების გამოცდილება დაგროვდა. ექსპედიციებში წასვლა, ძირითადად, საკუთარი სახსრებით გვიწევს.

— რა სამომავლო გეგმები აქვს „ხრიდოლის“ ფედერაციას?

— ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია კადრების მომზადება. მასების მოზიდვა, ასე ვთქვათ, ინფორმაციის „ხალხის ყურამდე“ მიტანა. ბევრმა არც კი იცის, რა არის ფედერაცია „ხრიდოლი“ და რას აკეთებს იგი. ვფიქრობ, რომ შეიტყონ, ბევრი ჩვენ გვერდით დადგება და უფრო მეტ საქმეს გავაკეთებთ. ამჟამად მეტი აქცენტი საკლუბო სამუშაოებზე და ჯგუფებზეა გადატანილი. ძირითადად, მცირე ასაკის ბავშვებით დაკომპლექტებული ჯგუფებია. დღეს ერთი მწვრთნელი დაახლოებით 30 ბავშვს ავარჯიშებს, ამ 30-დან, 10 წელიწადში, სულ მცირე, 10 მწვრთნელი იზრდება. დაახლოებით ამ პრინციპით მივდივართ, რომ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოვიყვანოთ სისტემატიზაციაში, პროგრამა მეტად დავტვირთოთ და ქართული საბრძოლო ხელოვნების მცოდნე საუკეთესო კადრები აღვზარდოთ.



მარჯვე ხელში სათითური სასიკვდილო იარაღადაც შეიძლება იქცეს

თამარ რაზმაძე

ქართული სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიიდან

დასაწყისი იხ. „არსენალი“ № 3,4

დამოუკიდებელი, დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს მშენებლობა რუსეთის სამხედრო აგრესიამ შეწყვიტა. ოკუპირებულ-გასაბჭოებულ ქვეყანაში წერტილი დაესვა სუვერენული სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის ისეთი მთავარი ელემენტის შექმნას, როგორიც არმია და ფლოტია. საუკუნეების მანძილზე ქართველ ხალხში დაგროვილი სამხედრო პოტენციალი კი წითელი არმიისა და ფლოტის სამსახურში ჩადგა.

შავი ზღვა მეორე მსოფლიო ომის წინ

ქართული პორტების მდგომარეობა

დამოუკიდებლობის დაკარგვის მიუხედავად, ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეები ნელ-ნელა, მაგრამ მაინც კეთდებოდა. სამხედრო-საზღვაო კადრების მოსამზადებლად 1921 წლის დამდეგს ბათუმში სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი გაიხსნა. მომავალი სამხედრო ოფიცრებისთვის თეორიული კურსის გავლასთან ერთად საზღვაო პრაქტიკას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ 1921 წლის ივლისში სასწავლებლის ხელმძღვანელობამ საქართველოს განათლების განყოფილებას ასეთი თხოვნით მიმართა: „გემზე არსებული ნამდვილი ცხოვრების გათვალისწინებით სასწავლო-პრაქტიკული კურსის გასავლელად აუცილებელია ჩვენს განკარგულებაში გადმოვიდეს ძრავიან-იალქნიანი გემი „ქართლი“...

აღსანიშნავია, რომ „ქართლი“ პირველი სატვირთო ქართული გემია, რომლის გარემონტება დამოუკიდებლობის დროს გახდა შესაძლებელი. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „საქართველო“ 1920 წლის 6 მარტს წერდა. „2 მარტს ნაშუადღევს 1 საათზე საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოებამ ზღვაში გემი „ქართლი“ ჩაუშვა. გემს 17000 ფუთის (დაახლოებით 280 ტონა – რედ.) ზღვის ძალა აქვს. გემი კეთებაში დიდი ხანი იყო და ამჟამად სრულიად შეკეთებულია. გემის ჩაშვებას დაესწრნენ სატრანსპორტო საზოგადოების დირექტორები, საზღვაო ტრანსპორტის უფროსი ალ. ჯაფარიძე, ალ. ქორქია. დამფუძნებელი კრების წევრები: სპირიდონ კედია, ალ. ასათიანი და გარეშე საზოგადოება“.

სამწუხაროდ, ამ ეროვნულ საქმეს დიდი ხნის არსებობა არ ეწერა. 1923 წლის იანვარში რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ბრძანებით, სასწავლებელი დაიხურა. 74 მსმენელიდან 13 კურსანტი რუსეთის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში, 7 კი – სამხედრო-საზღვაო საინჟინრო სასწავლებელში ჩაირიცხა. მოგვიანებით ამ კურსანტთაგან: სეით კაპანაძე, ვლადიმერ ლეჟავა, სიმონ რამიშვილი და კონსტანტინე სუხიაშვილი კონტრადმირალები გახდნენ.



1932 წელს აგებული კრეისერი „კრასნი კავკაზ“

მძიმე მდგომარეობა იყო საქართველოს პორტში. ტვირთბრუნვა გაიშვიათდა და საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებაზე გახდა დამოკიდებული. პორტების ტექნიკური აღჭურვილობა და მექანიზაცია მოძველებული იყო. ძველი, ჩაძირული გემები პორტებში ტვირთნაკადის მოზიდვას ხელს უშლიდა. გემთსარემოტო სახელოსნოები პრიმიტიული და კეთილმოუწყობელი იყო. ბათუმში კატარღებსა და პატარა გემებს ელინგებზე, ხოლო შედარებით დიდებს წყალზე არემონტებდნენ.

1921 წლისათვის ბათუმის პორტს ჰყავდა სამარქაფო კატარღა „კრასნი ბატუმი“, პატარა ბარჟა და 50-ტონიანი ერთი მცურავი, გემთსადგომებზე კი 3-6-ტონიანი 4 ამწე იდგა. პორტს ასევე ერიცხებოდა კერძო პირების კატარღები: „ნინა“, „ზოლუშკა“, „ბეისუხი“. გარდა ამისა, 8000-ფუთიანი რკინის ბარჟა და 2500 ფუთი წყალწყვის ხის გემი. უკეთესი ვითარება არც ფოთისა და სოხუმის პორტებში იყო. 1927-28 წლებიდან მდგომარეობა შესამჩნევად გამოსწორდა.

ბაქოს ნავთობის საზღვარგარეთ გატანისთვის ბათუმის პორტის ამოქმედებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. 1921 წლის 2 აპრილს ლენინი „აზნეფტის“ მმართველობის თავმჯდომარეს, ალექსანდრ სერებროვსკის სწერდა: „ახლა, როცა ბათუმი ჩვენია, მთელი ძალით უნდა დავიწყოთ ნავთობისა და ნავთის საზღვარგარეთ მოწყობილობებზე გაცვლა“.

პოლიტიკა და რევოლუციურსახელებიანი ხომალდები

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ბოლშევიკურ რუსეთსა და თურქეთის ახალ ხელისუფლებას შორის თბილი ურთიერთობა დამყარდა, რომელსაც 1921 წლის მარტში მოსკოვში ხელმოწერილი „მეგობრობისა და ძმობის“ ხელშეკრულება მოჰყვა.

საბჭოთა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ხომალდების თურქეთის პორტებისკენ რეგულარული ცურვა თურქეთის მხარდაჭერის დასტური იყო. 1922 წლის ივნისიდან 1923 წლის თებერვლამდე საბჭოთა წყალქვეშა ნავები პორტ ინებოლუ-

ში რვაჯერ, სამსუნში კი ცხრაჯერ შევიდნენ. ცურვა სანაპიროს გასწვრივ მიმდინარეობდა და ნავებს ბათუმის გავლა უხდებოდათ. 1923 წლის ოქტომბერში საბჭოთა ხომალდების რაზმმა, რომელშიც კრეისერი „კომინტერნი“, საესკადრო ნაღმოსნები და წყალქვეშა ნავები შედიოდა, ყირიმი-კავკასიის სანაპიროებთან დიდი ლაშქრობა მოაწყო. რაზმი ბათუმამდე ჩავიდა და შემდეგ უკან, სევასტოპოლისკენ აიღო გეზი.

მიმდინარეობდა ფლოტის შევსება მცურავი საშუალებებით. ძირითადად, ეს იყო ძველი ხომალდები, რომლებიც რემონტისა და მოდერნიზაციის შემდეგ მწყობრში დგებოდნენ. იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი რევოლუციური სულისკვეთება საბრძოლო ხომალდების სახელებშიაც აისახა. ასე გაჩნდა ფლოტის შემადგენლობაში „კრასნია აბხაზიის“ ტიპის საკანონერო ნავები.

პირველი მსოფლიო ომის დროს ავსტრიული სატვირთო ლიხტერების კარგმა კონსტრუქციამ რუსი მეზღვაურების მოწონება დაიმსახურა. ნიკოლაევის გემთმშენებელ ქარხნებში ავსტრიული ლიხტერების მსგავსი ხომალდების სერია აიგო, რომელიც „ელპიდიფორის“ სახელით არის ცნობილი. „ელპიდიფორები“ მრავალმხრივი დანიშნულების ხომალდები გამოდგა, რომლებსაც მტრალავებად, ნაღმგადამღობებად, სადესანტო საშუალებებად იყენებდნენ.

1923 წლის 20 დეკემბერს „ელპიდიფორ №413“-ს – „კრასნაია აბხაზია“, ხოლო „ელპიდიფორ №414“-ს – „კრასნი ადჟარისტანი“ დაერქვა. 1925 წლიდან „ელპიდიფორ №417“-ს – „კრასნაია გრუზია“, ხოლო 1939 წლის 31 ოქტომბრიდან „ელპიდიფორ №416“-ს – „კრასნაია არმენია“ უწოდეს.

ტექნიკური მონაცემები: წყალწყვა 1400 ტონა, სიგრძე 74.7 მეტრი, სიგანე 10.4 მეტრი, წყალჯდომი 3.6 მეტრი, სიჩქარე 8 კვანძი, ცურვის სიშორე 2500 მილი, ეკიპაჟი 169 კაცი;

შეიარაღება — ქვემეხები 3 — 130 მმ, 2 — 76 მმ, 2 — 37 მმ, 5 — 12.7 მმ ტყვიამფრქვევი, 180 ნაღმი;

1932 წელს ფლოტს კრეისერი „კრასნი კავკაზი“ შეემატა, რომლის მშენებლობა ჯერ კიდევ 1913 წელს დაიწყო.

ტექნიკური მონაცემები: წყალწყვა 9030 ტონა, სიგრძე 169.5 მეტრი, სიგანე 15.7 მეტრი, წყალჯდომი 6.6 მეტრი, სიჩქარე 29 კვანძი, ცურვის სიშორე 1500 მილი 14 კვანძით, ეკიპაჟი 878 კაცი.

შეიარაღება — ქვემეხები: 4 — 180 მმ, 12 — 100 მმ, 2 — 76 მმ, 4 — 45 მმ, 10 — 37 მმ, 6 — 12.7 მმ ტყვიამფრქვევი. 4X3 — 533 მმ სატორპედო აპარატი. 2 — ბომბჩამგდები; 100 — ნაღმი; 2 — ჰიდროთვითმფრინავი; 1 — კატაპულტი.



თურქული კრეისერი „ჰამიდიე“ 1927 წელს ოდესას ესტუმრა...

1930 წლიდან ფლოტი ახალი პროექტებით აგებულ წყალზედა ხომალდებსა და წყალქვეშა ნავებს იღებდა. გემთმშენებელი ქარხნები წყალქვეშა ნავებს საკმარისი რაოდენობით აგებდნენ, მაგრამ თანამედროვე წყალზედა ხომალდების ნაკლებობა შეიმჩნეოდა.

რა ხდებოდა შავიზღვისპირა სხვა ქვეყნების ფლოტებში

1921 წელს რუმინეთის ფლოტი შავ ზღვაში უძლიერესი იყო, თუმცა ხელისუფლება მის მიმართ სათანადო ყურადღებას არ იჩენდა. ამიტომ ფლოტის საქმეები თანდათან უკან მიდიოდა. ტრადიციულად, რუმინეთს საფრანგეთთან მჭიდრო ურთიერთობები აკავშირებდა და მდგომარეობის გამოსასწორებლად ფრანგი სამხედროები ჩამოიყვანეს, მაგრამ საქმეს არც ამან უშველა. ფრანგები ბრიტანელებმა შეცვალეს და, როგორც იქნა, 1923 წელს ფლოტმა სასწავლო სროლაში მეცადინეობის, ხოლო დუნაიზე მცირე მასშტაბის სწავლების ჩატარება მოხერხდა.

ლონდონი რუმინეთში გავლენის მოპოვებას ცდილობდა და თავისი ინტერესების სადემონსტრაციოდ 1930 წლის აგვისტოში ინგლისური ესკადრა – კრეისერი „კიურასიო“ და ორი საესკადრო ნაღმოსანი კონსტანცაში ვიზიტით იმყოფებოდა. საბჭოთა პრესამ ეს პოლიტიკურ დემონსტრაციად შეაფასა, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იყო მიმართული. ბრიტანელი მეზღვაურები კი იმპერიალისტური ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალებისთვის ახალი საზღვაო ბაზისთვის ადგილის შერჩევასა და სამხედრო ძალის დემონსტრირებაში დაადანაშაულა.

1927 წლის ნოემბერში საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ძალების მეთაური მუკლევიჩი ამბობდა: „წითელი ფლოტი შავ ზღვაში ბატონობს, მაგრამ მის მოწინააღმდეგეებს არ სძინავთ. რუმინეთი თავის ფლოტს ამზადებს“.

პირველ მსოფლიო ომში თურქეთი დამარცხდა. 1920 წლის სევრის ხელშეკრულებით თურქეთს შეიძლებოდა ჰყოლოდა არა უმეტეს 600 ტონა წყალწყვის 7 პატარა საკანონერო ნავი, და არა უმეტეს 100 ტონა წყალწყვის 6 ნაღმოსანი. შეიარაღება 3-დუიმიანი კალიბრის ქვემეხებით შეიზღუდა, საკანონერო ნავებს – 2, ხოლო ნაღმოსნებს 1 ქვემეხის ტარება შეეძლოთ. გამარჯვებული ქვეყნების აზრით, ეს ხომალდები თევზჭერის კონტროლისა და პოლიციური სამსახურისთვის საკმარისი იქნებოდა. დანარჩენი ხომალდები ბრიტანელებმა დაიკავეს.

ლოზანოს 1922-23 წლების კონფერენციის გადაწყვეტილებით, თურქეთს ყველა საბრძოლო ხომალდი დაუბრუნდა. დაიწყო ფლოტის აღდგენის პროცესი. ძველი ხომალდები ჩამოიწერა, ხოლო დარჩენილები მარმარილოსა და ხმელთაშუა ზღვებში საზღვაო პრაქტიკის მისაღებად სისტემატურად დაცურავდნენ. 1925 წლის ნოემბერში კრეისერი „ჰამიდიე“ შავ ზღვაში გამოჩნდა, ორი წლის შემდეგ კი ოდესას ესტუმრა.

ფლოტის გასაძლიერებლად სხვადასხვა კლასის ხომალდები შეუკვეთეს იტალიასა და საფრანგეთს. თურქეთი შავ ზღვაში თავის პოზიციებს ნელ-ნელა ამაგრებდა.

ბულგარეთის ფლოტი ყველაზე სუსტი იყო და სევრის ხელშეკრულებით დაწესებული შეზღუდვები, როგორც დამარცხებულ ქვეყანაზე, მასზეც გავრცელდა. პირობები კი საკმაოდ მძიმე იყო. ბულგარეთს შავ ზღვაზე სამხედრო ხომალდების ბაზირება აეკრძალა, ხოლო დუნაიზე პოლიციური და დაცვის სამსახურისთვის მხოლოდ 4 სადარაჯო და 6 მიმოსვლის გემი შეიძლებოდა ჰყოლოდა. ყველაზე დიდი 600 ტონა წყალწყვის „სიმეონ ველიკი“ იყო, მას 75-მმ-იანი 2 ქვემეხი ჰქონდა. სხვა ხომალდები კიდევ უფრო პატარა და თანაც შეიარაღების გარეშე იყო.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ცოტა დრო რჩებოდა. შავიზღვისპირა ქვეყნები მომავალ საზღვაო ბატალიებს მეტ-ნაკლებად მომზადებული ხვდებოდნენ.

როგორი უნდა იყოს საბრძოლო დანა

კამათი თემაზე, თუ რას წარმოადგენს და როგორი უნდა იყოს თანამედროვე პირობებში საბრძოლო დანა, დიდი ხანია, უნაყოფოდ მიმდინარეობს. პრაქტიკაში კი კარგა ხანია, ერთადერთ საბრძოლო ცივ იარაღად ხიშტი რჩება, რომლის ნაკლოვანებებიც ყველასთვის კარგად არის ცნობილი. დღესდღეობით, როცა უკვე მერამდენედ მიმდინარეობს თანამედროვე საჯარისო ცივი იარაღის კონცეფციის დამუშავება, ზედმეტი არ იქნება, თუ უცხო ქვეყნების გამოცდილებებს გადავავლებთ თვალს. რა ხდება ამ მხრივ ნეიტრალური ქვეყნის ჯარებში, კერძოდ კი ფინეთში, სადაც ინიციატივა გამოიჩინა კაპიტანმა პელტონენმა და თანამედროვე საბრძოლო დანის M-95-ის კონსტრუქცია შეიმუშავა, რითაც, ფაქტობრივად, სახელგანთქმული ფინური დანის პუუკოს სტილიზაცია მოახდინა. დანა თავისი მახასიათებლებით საკმაოდ დაბალანსირებული გამოვიდა, მოხერხებული და ადვილად სახმარია, აქვს ორიგინალური კონსტრუქცია. გამძლე პირი (სისქე 5 მმ), რომელიც მუქი, პრიალის საწინააღმდეგო ფენით არის დაფარული. ბუდიდან დანის ამოღება ადვილად და უხმაუროდ ხდება. გათვალისწინებულია მისი ეკიპირებაზე მიმაგრების რამდენიმე ვარიანტი.

სულ სხვა გზით წავიდნენ შვედები, რომლებმაც სხვადასხვა ტიპის საომარი დანების მთელი სერია გამოუშვეს. განვიხილოთ ორი მცირე დამხმარე დანა და ორი საბრძოლო მოდელი. შედარებით მოხერხებულია დამხმარე დანა F-1, რომელიც ჩრდილოური დანის კლასიკური კონსტრუქციის სტილიზებული ვარიანტია. მას არცთუ დიდი პირი აქვს, რომელიც ცალ მხარეზეა ალესილი და მოთავსებულია ტყავის ბუდეში. დანას აქვს ნახევრად დათბუნებული ტარი, რომელიც დამატებითი სარქველით ივსება (გასაგებია, რადგან ის 40-გრადუსიან ყინვაში სახმარადაა გამიზნული). რეზინის სახელური ნაჭდევებიანია, პირი სიმოკლის მიუხედავად, საკმაოდ მძლავრია და სოლიდური სისქე აქვს. სამაგიეროდ, საბრძოლო მოდელები, რომლებიც ამერიკულ სტილშია შესრულებული, სამწუხაროდ, დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ახდენენ. დანის პირი პრიალებს, ტარი ვიწროა, ყველაზე არასასიამოვნო კი დანის გაუაზრებელი კონსტრუქციაა, რომელიც მას ყინვაში გამოუსადეგარს ხდის. ამიტომაც შვედები ფინელებისგან ყიდულობენ M-95 მოდელის დანებს (მათი ფასი 85 ევრომდე მერყეობს).

მსგავსი მოდელების გადამუშავებული ნიმუშები რუსეთის არმიაშიც გამოჩნდა. მათ შორის ორი ტენდენციის გამოყოფა შეიძლება. პირველი, კლასიკური მოდელების მიხედვით ახალი კონსტრუქციების შექმნა და მეორე, მსოფლიო ომის დროინდელი საომარი დანების კოპირება. მეორე მიმართულების მომხრეები გულწრფელად ფიქრობენ, რომ 1943 წლის მოდელის სადესანტო ე.წ. „ფინკასა“ და მზვერავის დანაზე უკეთესი, დღესაც არაფერი მოუგონიათ. ვფიქრობთ, ამ მოსაზრების მხარდამჭერები ჩვენშიაც ბევრნი არიან. არ გვინდა მათ გული დავწყვიტოთ, მაგრამ ფაქტია, რომ 1941-45 წლებში შეიარაღებაში მიღებული იყო შედარებით მარტივი და იაფფასიანი სამხედრო პროდუქტის წარმოება, უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ არა იარაღის ხარისხს, არამედ მისი წარმოების სიმარტივეს. საკითხისადმი მსგავსი მიდგომა, თანამედროვე საჯარისო კრიტერიუმებიდან გამომდინარე, სადღეისოდ აღარ გამოდგება. მიზეზი იმაშია, რომ ასეთი დანის დასაგები ტარი ძლიერ დატვირთვებს ვერ უძლებს. ამ შემთხვევაში, დანის კონსტრუქცია შედარებით ნაკლებსაპრეტენზიოა, ვიდრე მისი გაკეთების ხარისხი. მსგავსი დანების თანამედროვე სტილიზაციაც არ გამოირჩევა თავისი მაღალხარისხიანობით, ყოველ შემთხვევაში, ამ იარაღით მოვაჭრე ფირმებს რეკლამაციები არ აკლიათ. ამის მიზეზი კი შინაგან დეფექტებსა და დაუმუშავებელ ტექნოლოგიაში უნდა ვეძებოთ. როგორც წესი, დანის პირი ზედმეტად არის ნაწრთობი და ადვილად ტყდება. ამიტომ ცივი იარაღის განახლების რეალურ მეთოდებად მხოლოდ ზემოხსენებული პირველი გზა გვევლინება, ესე იგი საჭიროა არა კონსტრუქციის შეცვლა, არამედ ახალი მასალებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. ზუსტად ამ გზით წავიდნენ Смерш-ის სერიის დანების შემქმნელები. მისი ანალოგი იყო „ფინკა“, რომლითაც სამამულო ომის დროს შინსახკომის ჯარები იყვნენ შეიარაღებულნი. Смерш-ის შექმნის დროს გათვალისწინებული იქნა ის ფაქტორი, რომ თანამედროვე ბრძოლების დროს ცივი იარაღის როლი ძლიერ შემცირებულია. ამიტომ მისი დამუშავებისას მთავარი კრიტერიუმი იყო, გაეკეთებინათ საშუალო ზომის მსუბუქი დანა, სახმარად მოხერხებული და საომარ ეკიპირებაზე კარგად მოსარგები.

„სმერშის“ საომარი ვარიანტების პირი 95-150 მილიმეტრია, რაც თბილად ჩაცმული მოწინააღმდეგის დასაზიანებლადაც საკმარისია. დანის პირის დასაშვები სისქე 6 მილიმეტრამდეა, თუმცა პრაქტიკაში 4 მმ-ს არ აღემატება. მსგავსი პირი დანას სიმსუბუქესა და მოხერხებულობას ანიჭებს. ამასთან ერთად, ინარჩუნებს კონსტრუქციულ სიმყარესა და საბრძოლო ეფექტურობას (დანის საერთო სიგრძე 260 მმ წონა 140 გრ). ტარი რეზინისაა, ხელის მოჭიდების გასაძლიერებლად ღრმა ნაჭდევებით არის დასერილი. ტარის წინა და უკანა მხარე გაძლიერებულია მეტალის სამაგრით. ტარის წინა ნაწილში ლითონის სამაგრი აძლიერებს პირის ყველაზე სუსტსა და დატვირთულ ნაწილს, ზუსტად იმ ადგილს, სადაც იგი სახელურში გადადის. „სმერშის“ საბრძოლო მოდიფიკაციებს, როგორც წესი, პრიალის საწინააღმდეგო მუქი საფარი აქვთ. ასეთი დანების უჟანგავი ფოლადისგან დამზადებულ ვარიანტებს აქვთ დანისლული ზედაპირი, რომელიც ასევე არ აირეკლავს სხივებს. „სმერშის“ ტიპის დანებისთვის ორი ტიპის ბუდე გამოიყენება. პირველი ვარიანტი პლასტიკური ჩასაფენით კეთდება, მეორე კი ხარისხიანი ტყავისაგან იკერება. ორივე ვარიანტის დროს დანა საიმედოდ მაგრდება ბუდეში და ასევე საიმედოდ, სწრაფად და უხმაუროდ ხერხდება მისი ამოღება. წინასწარ არის გათვლილი დანის სამხედრო ეკიპირებაზე დამაგრების რამდენიმე ვარიანტიც, მათ შორის მკერდზეც, — ტარით დაბლა. დესანტირების განხორციელების დროს გამოსაყენებლად აქვს სპეციალური შესაკრავი, რომელიც

UH-1H Iroquois



ფინური M-95
(დაახლოებით 85 ევრო)

ასეთი დანების წარმოებისას უდიდესი ყურადღება ექცევა პროდუქციის ხარისხს, მასალებსა და ტექნოლოგიებს. სმერშის ყველა მოდიფიკაციის დანის პირს უნიკალური მეთოდებით აწრთობენ. მასალად გამოიყენება სპეციალური მარკის ფოლადი, რომელიც საგანგებოდ მხოლოდ ამ დანის პირებისთვის გამოიყენება (დანების ნაწილი, რომელიც სამოქალაქო ბაზრისთვისაა განკუთვნილი ჩვეულებრივი და უჟანგავი ფოლადისგან მზადდება). დანის აწყობისას და მისთვის



რუსული СМЕРШ-5
(დაახლოებით 37 ევრო)

დანის ტარს ტანსაცმელზე ამაგრებს.

„სმერშის“ ოთხი მოდიფიკაცია არსებობს, რომლებიც მხოლოდ პირის სიგრძით გაირჩევა. მეტ-ნაკლებად რადიკალურად განსხვავდება სმერშ-5 (დაახლოებით 37 ევრო). ამ დანის პირი გაცილებით ფართოა და წვერთან დაქანებული. დაქანებული ადგილი ალესილია, ეს უკანასკნელი არა მარტო დანის საომარ თვისებებს ამაღლებს, არამედ მშვენივრად გამოიყენება კონსერვებისა და „ცინკების“ გასახსნელად.

დანის ყუაც, წვერთან, ასევე ოდნავ არის დაქანებული, რის გამოც მას ძვლების საჩეხადაც იყენებენ. აქვს ორმხრივი ჯვარედი. სმერშ-5-ის პირველ მოდელებზე გამოიყენებოდა ტარის რეზინის საფარი, რომელიც პირდაპირ გადმოიღეს ძველი მოდელებიდან. აღმოჩნდა, რომ ახალ მოდელზე ის არ ამართლებს. ამიტომ შეცვალეს და ახალ მოდელებს სინთეტიკური მასალისგან დამზადებული ტარის საფარი აქვს, რომელიც კარგად უძლებს დარტყმებს და სხვა დატვირთვებს. ეს დანა შეიძლება დაკომპლექტდეს ერთობ საინტერესო დამხმარე დანით, რომელსაც „გარპუნი“ ჰქვია. ამ უკანასკნელს მრავალი ფუნქციის შესრულება შეუძლია. მასში არის კონსერვის გასახსნელი, ლურსმნის ამოსაღები, სახრახნისი, ბაგირსაჭრელი და სხვა. გარდა ამისა, პრაქტიკული მოხმარების დროს „გარპუნის“ კიდევ ერთი დადებითი მხარე გამოვლინდა, რომლისთვისაც ის ჩაფიქრებული არ იყო. „გარპუნი“ საუკეთესო საბრძოლო დანაა. თუკი იგი მიზანს მოხვდა, მერე მისგან თავის დაღწევა (სხეულიდან ამოღება) პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს დანა მაღალხარისხოვანი უჟანგავი ფოლადისგან კეთდება. აქვს დანისლული ზედაპირი. „გარპუნი“ თავსდება მთავარი, ძირითადი დანის ბუდეზე გარედან. მისი წონა მხოლოდ 50 გრამია. სმერშ-5-ის წონა კი 170 გრამი.

მომხიბვლელი იერის მისაცემად ლაზერს იყენებენ. ლაზერით უკეთებენ წარწერებსა და ემბლემებს. მისი მეშვეობით ადუღებენ იმ ნაწილებს, რომლებიც განსაკუთრებული მდგრადობით უნდა გამოირჩეოდნენ.

დანისთვის, რომელიც თანამედროვე პირობებში, ძირითადად, საყოფაცხოვრებო ფუნქციებისთვის, თავდაცვისთვის, და როგორც უკანასკნელი შანსის იარაღი, ისე გამოიყენება, საიმედოობა მთავარი კრიტერიუმია.



„სმერშ“-ის
არაჩვეულებრივი
ოთხეული

„გარპუნი“
ნებისმიერი
საქმისთვის
გამოდგება

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ

მოგეხსენებათ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო პირები რუსულ სამხედრო ტერმინოლოგიას იყენებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ამ სიტყვების ქართული შესატყვისი არ იციან. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად „არსენალი“ იწყებს რუსული სამხედრო ტერმინების ქართული შესატყვისების გამოქვეყნებას.

авиамаяк – ავიაშუქურა
авианосец – ავიამზიდი
авиация безмоторная – უძრავი ავიაცია
автогужевой – ავტოსაჭაპანო
автогусеница – ავტომუხლუხი
автозапровачный – ავტოგასაწყობი
автомат перекоса – დაფერდების ავტომატი
автомат стрельбы центральный – სროლის ცენტრალური ავტომატი
автомобиль-тягач – ავტოსაწევარი
автопрокладчик курса – კურსის ავტოგამყვანი
авторулевой – ავტომესაჭე
автоспуск – თვითსასხლეტი
акведук – აკვედუკი, ბელღარი
амортизатор наката – წინსრიალის ამორტიზატორი
амортизатор отката – უკუსრიალის ამორტიზატორი
антенна рамочная – ჩარჩოსებრი ანტენა
артиллерия безствольная – ულულო არტილერია
артиллерия винтонарезная – ხრახნილ-კუთხვილი არტილერია
артиллерия вьючная – სასაპალნე არტილერია
артиллерия гладкоствольная – გლუვლულიანი არტილერია
артиллерия осадная – საალყო არტილერია
артиллерия поддержки – მხარდაჭერის არტილერია
артиллерия самоходная – თვითმავალი არტილერია
артиллерия сверхдальнобойная – ზეშორსსასროლი არტილერია
атака – იერიში
атака лобовая – პირდაპირი იერიში
атака ложная – ცრუ იერიში
аэродром базирования – ბაზირების აეროდრომი
аэродром ложный – ცრუ აეროდრომი
аэродром промежуточный – შუალედური აეროდრომი
аэродром рассредоточения – დაშორიშორების აეროდრომი
аэромаяк – აეროშუქურა

ᲔᲚᲘᲢᲣᲠᲘ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘ

დღეს მოდური გახდა გამოთქმა – „ელიტური მებრძოლი“. ვინ არის ელიტური მებრძოლი და როგორ გავხდეთ იგი? გარკვეულწილად ამ კითხვაზე პასუხის მოძებნა ადვილი არ არის, რადგან ელიტური ჯარები, როგორიცაა SEAL (აშშ სამხედრო საზღვაო ძალების ზღვის ლომები), ბრიტანული SAS (სპეციალური ავიასადესანტო სამსახური), რუსეთის ГРУ-ს სპეცდანიშნულების რაზმი, КГБ-ის ჯგუფი „ალფა“, ისრაელის „მოსადის“ მებრძოლთა რაზმები და ა.შ. ერთ-ერთი ყველაზე გასაიდუმლოებული ორგანიზაციებია მსოფლიოში. ამდენად, მათი მომზადების სპეციფიკაც ნაწილობრივ გასაიდუმლოებულია. მიუხედავად ამისა, შევეცდებით, მკითხველს მაქსიმალურად მივაწოდოთ მასალა ელიტური მებრძოლის ინდივიდუალური მომზადების კურსის სახით. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს კურსი საინტერესო და სასარგებლო იქნება არა მარტო პროფესიონალი სამხედროებისათვის, არამედ მონადირეების, მეთევზეების, ალპინისტების, ტურისტებისა და უბრალოდ, თავგადასავლების მოყვარულთათვის. ამ კურსით შეიძლება ისარგებლონ არა მარტო ნავარჯიშებმა მამაკაცებმა, არამედ ქალებმაც; უფრო მეტიც, ამ კურსის ნაწილი შეიძლება გამოიყენონ ხანდაზმულმა ადამიანებმა და ინვალიდებმაც, მხოლოდ მკურნალი ექიმის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ!

იმისთვის, რომ გახდეთ ელიტური მებრძოლი, აუცილებელია, დაეუფლოთ შემდეგ ძირითად დისციპლინებს:

ფიზიკური მომზადება;

სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება ექსტრემალურ სიტუაციებში;

სასროლო მომზადება.

რით უნდა დაიწყოთ ფიზიკური მომზადება? პირველ რიგში, უნდა შეარჩიოთ სპორტული დარბაზი. რა თქმა უნდა, ვარჯიში სახლშიც შეიძლება, მაგრამ იქ ხელისშემშლელი ფაქტორი არსებობს. თუ სერიოზულად გადაწყვიტეთ, გაუთანაბრდეთ ელიტურ მებრძოლს, უმჯობესია, სპორტდარბაზში ივარჯიშოთ. მის სწორად შესარჩევად შემოგთავაზებთ რამდენიმე რჩევას:

ტანვარჯიშის დარბაზში მომუშავე ინსტრუქტორებს უნდა ჰქონდეთ მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები და დიპლომები. კარგი ინსტრუქტორი ვალდებულია, არა მარტო უჩვენოს თუ როგორ სრულდება ვარჯიში, არამედ დაეხმაროს კიდეც სპორტსმენს;

ურთიერთობა დარბაზში მყოფთა შორის უნდა იყოს სასიამოვნო და მეგობრული;

დარბაზს უნდა ჰქონდეს გასახდელი, რომელიც აღჭურვილი იქნება საკეტიანი კარადებით ტანსაცმლისთვის;

გასახდელი და საშხაპე უნდა იყოს იდეალურად სუფთა;

მოთელვისა და ვარჯიშისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს დარბაზის ფართობს. ყოველ სპორტსმენს ვარჯიშების შესასრულებლად უნდა ჰქონდეს საკმარისი სივრცე, მოვარჯიშეები ერთმანეთს ხელს არ უნდა უშლიდნენ;

ვარჯიშის შემდეგ კარგია მოდუნება ჯაკუზიში, საუნაში ან ორთქლის აბანოში, მაგრამ ზედმეტი არ მოგივიდეთ – იქ ყოფნის ხანგრძლივობა მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული;

ტანვარჯიშის დარბაზი აღჭურვილი უნდა იყოს ტრენაჟორებით, გირებით, შტანგებით. ტრავმების თავიდან ასაცილებლად ვარჯიშები სიმძიმეების გამოყენებით უნდა ჩაატარონ ინსტრუქტორებმა. მათვე უნდა მიაქციონ ყურადღება იმას, რომ ტრენაჟორები არ იყოს დაზიანებული.

მაშ ასე, თუკი გადაწყვიტეთ ფიზიკური ვარჯიშის დაწყება სპეცდანიშნულების ჯარების სისტემით, ეს იქნება სახლში, ქუჩასა თუ სპორტდარბაზში (ყველაფერი დამოკიდებულია თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზე), ვარჯიში მოთელვით დაიწყეთ.

იდეალურ მოთელვად ითვლება ნებისმიერი მსუბუქი ვარჯიში – ძუნძულით სირბილი, სიარული, ცურვა, ველოსიპედით სიარული. ერთადერთი პირობაა, აკეთოთ მოთელვა მუდმივად. მოთელვის ძირითადი მიზანია სისხლი მთელ ორგანიზმში ცირკულირებდეს. მოთელვაზე დახარჯული დროის ხანგრძლივობა დამოკიდებულია გარემოს ტემპერატურაზე. თბილ ამინდში მოთელვა შეიძლება დაახლოებით ექვსი წუთი გაგრძელდეს, ცივ ამინდში კი – არაუმცირეს თორმეტი წუთისა.

სპორტდარბაზის პირობებში მოთელვა შემდეგნაირად ტარდება:

ირბინეთ ძუნძულით დარბაზის ირგვლივ. პირველი სამი წრე მუხლების მაღლა აწევით;

მეოთხე წრეზე დაიწყეთ ხელების მოთელვა. სწრაფად აიქნიეთ ხელები მაღლა, ჯერ მარცხენა, შემდეგ მარჯვენა;

მეხუთე წრეზე შებრუნდით დარბაზისკენ სახით და დაიწყეთ სირბილი გვერდულად ისე, რომ წამყვანი იყოს მარცხენა ფეხი. წრის შუიდან შებრუნდით ზურგით დარბაზისკენ, ისე, რომ წამყვანი გახდეს მარჯვენა ფეხი;

მეექვსე წრის 10-10 მეტრი გაიარეთ ხტომებით ხან ერთ, ხან მეორე ფეხზე;

მეშვიდე წრის ნახევარი ირბინეთ ზურგით წინ, შემდეგ შემობრუნდით და ხელების მაღლა ქნევით, სახით წინ გაირბინეთ წრის მეორე ნახევარი.

შვიდი წრის გარბენის შემდეგ დადექით სწორად, ფეხები დადგით მხრების სიგანეზე, ხელები შემოიწყეთ თეძოებზე, იდაყვები ოდნავ წინ გამოსწიეთ. ისუნთქეთ ღრმად, ჩაისუნთქეთ ცხვირით, ამოისუნთქეთ პირით.

თუკი არ გსურთ ივარჯიშოთ სპორტდარბაზში, შეგიძლიათ ყოველივე ეს გააკეთოთ ქუჩაშიც. განსხვავება მხოლოდ ის იქნება, რომ თუ გარეთ ცივა, მოთელვა უფრო დიდხანს მოგიწევთ. მოთელვა უნდა დაიწყოთ ფრთხილად, რათა არ ავნოთ ჯერ კიდევ გაუხურებელ კუნთებს.

გარეთ მოთელვის ჩასატარებლად თქვენ დაგჭირდებათ 25X25მ ფართობის ღია სივრცე; ღია ადგილზე ვარჯიშის დიდი უპირატესობაა სუფთა ჰაერი და უფასო სავარჯიშო ადგილი! სანამ მოთელვას დაიწყებდეთ, შეამოწმეთ, რომ თქვენ მიერ ამორჩეულ მოედანზე არ იყოს ორმოები ან ბორცვები. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირველივე მოთელვა ტრავმით დამთავრდება.

მოთელვის შემდეგ თქვენი სხეული მზად არის, უფრო რთული ვარჯიშების შესასრულებლად, რომელთა შესახებაც ჟურნალის შემდეგ ნომრებში მოგითხრობთ.

XXX

ფიზიკურ სიძლიერესთან ერთად ელიტური მებრძოლი უნდა ფლობდეს ექსტრემალურ სიტუაციაში გადარჩენის ხელოვნებასაც. ველურ ბუნებაში არსებობა ისე, რომ ზიანი არ მიაყენო შენსავე ჯანმრთელობას, არის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების ხელოვნება. სამხედრო მზვერავებს მტრის ზურგში იარაღთან ერთად აქვთ პროდუქტებისა და წამლების მარაგი, სხვადასხვა ხელსაწყო და აღჭურვილობა. თუმცა შეიძლება ისე მოხდეს, რომ ეს ყველაფერი დაიხარჯოს (განადგურდეს, დაიკარგოს), ხოლო ზოგიერთი მებრძოლი დაიჭრას ან დაავადდეს. ასეთ პირობებში სიცოცხლის გადასარჩენად აუცილებელია გვქონდეს შესაბამისი ცოდნა.

სიცოცხლის უნარიანობის შენარჩუნებას საფუძვლად უდევს თქვენი ფსიქოლოგიური მომზადება, ტანსაცმელი და ყოველივე ის, რაც თან გაქვთ. თუმცა საბოლოო ჯამში თქვენს ფსიქოლოგიურ მომზადებაზეა დამოკიდებული, გადარჩებით თუ დაიღუპებით. გახსოვდეთ! ყოველგვარი ცოდნა კარგავს თავის ფასს, თუ არ გაგაჩნიათ ნებისყოფა! მიუხედავად იმისა, რამდენად რთულ სიტუაციაში აღმოჩნდებით, გახსოვდეთ — სიძნელეების გადასალახავად თქვენ გაგაჩნიათ აუცილებელი რესურსები. ეს არის თქვენი სულიერი ძალა და ფიზიკური შესაძლებლობები. ეფექტურად გამოიყენეთ ისინი და შესანიშნავ შედეგებს მიაღწევთ.

ექსტრემალურ სიტუაციაში ჩვეული კომფორტული პირობების გაქრობა დიდ დარტყმას აყენებს თქვენს ნებისყოფას, თავშეკავებულობას, რამაც შეიძლება სრულ დემორალიზაციამდე მიგიყვანოთ. ასეთ მდგომარეობას სპეცდანიშნულების რაზმის მეომრები საბრძოლო სტრესს უწოდებენ. ასეთი სტრესი გარდაუვალია, ამიტომ პირველ რიგში უნდა დავძლიოთ იგი. როგორ მივაღწიოთ ამას? — თქვენ უნდა გააცნობიეროთ, რომ დისკომფორტი, რომელსაც თქვენ განიცდით, არაფერია იმ უბედურებასთან შედარებით, რომელიც შეიძლება თავს დაგატყდეთ იმ შემთხვევაში, თუკი სასოწარკვეთილებაში ჩავარდებით და საკუთარი თავი შეგეცოდებათ.

სპეცდანიშნულების რაზმის მებრძოლს მუდმივად თან აქვს აუცილებელი ნივთები, რაც დიდად ეხმარება მას სტრესის ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებაში.

1. ასანთი. სასურველია, იყოს წყალგაუმტარი. მის დასაცავად თავები გამდნარ პარაფინში უნდა ამოავლოთ. ადგილის დასაზოგად ასანთის ღერები შუაზე გატეხეთ.

2. სანთელი. მიეცით მას მართკუთხედის ფორმა. განსაკუთრებულ შემთხვევაში ქონის სანთელი შეიძლება საჭმლის მოსამზადებლადაც გამოიყენოთ. თუმცა სიცხეში მისი შენახვა ძნელია. სხვა სახის სანთელი საკვებად უვარგისია.

3. კაჟი (ტალი). დამუშავებული კაჟი ხერხისებური კვესით.

4. გამადიდებელი შუშა. მზის სხივებით ცეცხლის დასანთებად (ამისათვის

ექსტრემალური სამზარეულო

დივერსანტები, მზვერავები კვალის მაძიებლები, მონადირეები და ტურისტები თავიანთი პროფესიიდან გამომდინარე, ხშირად უჩვეულო, მოულოდნელ და საკმაოდ მძიმე ვითარებაში აღმოჩნდებიან ხოლმე, რასაც სპეციალისტები ექსტრემალურ სიტუაციას უწოდებენ. ამ დროს ისინი იმით იკვებებიან, რასაც ღმერთი უბოძებს ველური ბუნების სახით. ხშირად ისეთ რამეს გეახლებიან, რასაც სახლის პირობებში სიცოცხლის ფასადაც კი არ ჩაიდებდნენ პირში. რადგან ექსტრემალურ სიტუაციაში მოხვედრისგან არც ერთი ჩვენგანი არ არის დაზღვეული, ამიტომ უპრიანი იქნება რამდენიმე „ეგზოტიკური" კერძი შემოგთავაზოთ.

როგორც წესი, ფრინველის კერძის მოსამზადებლად იგი უნდა მოხარშოთ ან შეწვათ. მაგრამ თუ წყალი ძალზე ცოტა გაქვთ, იმდენად ცოტა, რომ არც მოსახარშად გყოფნით და, მით უმეტეს, არც გასაპუტად, მაშინ ასე მოიქეცით: გასაპუტ ფრინველს მოაჭერით თავი და გამოშიგნეთ, ამოგუნგლეთ ტალახის (უმჯობესია თიხის) სქელ ფენაში და კოცონში ჩააგდეთ. როგორც კი შემწვარის სუნს იგრძნობთ, ამოიღეთ იგი ცეცხლიდან და მოაშორეთ მიწის ფენა. მიწას თან გაჰყვება ბუმბული და კანი. შემწვარ ფრინველს მოაყარეთ მარილი (თუკი გექნებათ) და გემრიელად მიირთვით.

ვირთხისა და თაგვის ხორცი ფრინველთან შედარებით არც ისე გემრიელი მოგეჩვენებათ. ამიტომ მათი ხორცი ცოტა გემრიელი რომ იყოს, მოხარშვის შემდეგ ცხიმში ჩაშუშეთ. თუ ხახვიც აღმოგაჩნდათ, ხომ კარგი, ჩაშუშვისას დაჭრილი ხახვი მოაყარეთ, თუ არადა, მარტო მარილით შეაზავეთ და გემრიელად მიირთვით. დაიმახსოვრეთ: ვირთხისა და თაგვის ხორცი ადუღებიდან სულ ცოტა 15 წუთი მაინც უნდა ხარშოთ.

შეიძლება სათვალის ლინზაც გამოიყენოთ).

5. ნემსები და ძაფი. რამდენიმე ნემსი, მათ შორის ერთი მახათი მაინც, მსხვილი ძაფის, ძუის ასაგებად, მაგარი ძაფი და ძუა დიდი რაოდენობით ნემსებზე დაახვიეთ.

6. თევზსაჭერი კაუჭები და ძუა. 3-5 ცალი კაუჭი, ტყვიის საძირავი და რაც შეიძლება გრძელი ძუა (არაუმცირეს 3 მ-ისა).

7. კომპასი. ყველაზე კარგია ანდრიანოვის კომპასი, რადგან იგი არ საჭიროებს აკუმულატორული ბატარეების ენერგიას. დარწმუნდით, რომ ის მუშა მდგომარეობაშია.

8. ლუმინესცენტური სინათლის წყარო. სინათლის გამოსხივებული კრისტალი ღამით რუკის წასაკითხად და თევზის დასაჭერად.

9. მახე. სასურველია 60-90 სმ სიგრძის სპილენძის მავთულის.

10. დრეკადი სიმისებური ხერხი.

11. მინი-აფთიაქი. მედიკამენტები შეფუთეთ ჰაერგაუმტარ ბამბიან კონტეინერში. მიაწერეთ დასახელებები, დოზები და ვარგისიანობის ვადა. აფთიაქში შეიძლება იყოს შემდეგი სახის საშუალებები: ტკივილგამაყუჩებელი, ანტიბიოტიკები, ანტიჰისტამინური პრეპარატები, ტაბლეტები წყლის სტერილიზაციისთვის (პანტოციდი), მალარიის საწინააღმდეგო ტაბლეტები, კალიუმის პერმანგანატი.

12. სათადარიგო დანები სამართებლისთვის. სხვადასხვა ზომის ორი დანა მაინც.

13. ქირურგიული მომჭერები. ჭრილობის კიდეების მისაახლოებლად.

14. წებოვანი ლენტა. წყალმედეგი, სხვადასხვა ზომის.

15. პრეზერვატივი. მას კარგი ტევადობა აქვს, 1 ლ წყალს იტევს.

ცხადია, წარმოუდგენელია ელიტური მებრძოლი, რომელიც არ ფლობს იარაღს. დღეს ბევრი ქვეყანა იარაღის ფართო არჩევანს გვთავაზობს. ჩვეულებრივი ადამიანისთვის და ზოგჯერ პროფესიონალისთვისაც კი ძნელია, კვალიფიციური შეფასება მისცეს ამა თუ იმ იარაღს. მაგალითისთვის, ერთ შემთხვევას მოვიყვანთ. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის დეპუტატის გალინა სტაროვოიტოვას მკვლელობის შემდეგ ხორვატული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი „აგრამი", რომელიც არ ხასიათდება მაღალი საბრძოლო ხარისხით, ზოგიერთმა ექსპერტმა ამერიკული სპეცდანიშნულების რაზმების უახლეს იარაღად მიიჩნია.

სანამ დეტალებში გავერკვეოდეთ, საჭიროა განვსაზღვროთ, როგორი უნდა იყოს სპეცდანიშნულების რაზმების შეიარაღება. იგი უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს: პირველ რიგში, იარაღი უნდა იყოს საიმედო, მაქსიმალურად მიახლოებული უნივერსალურთან, იარაღი უნდა იყოს შედარებით მსუბუქი.

წარმოდგენა უნდა გვქონდეს ელიტური მებრძოლის შეიარაღების სახეობებზეც, რომელთაგან ძირითადია:

1. რევოლვერები და პისტოლეტები;
2. პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები;
3. ავტომატები;
4. სნაიპერული შაშხანები;
5. ხელყუმბარმტყორცნები და ხელის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები;
6. ხელყუმბარები და ნაღმები;
7. დანები და არბალეტები.

ელიტური მებრძოლის მრავალფეროვანი იარაღის გაცნობის პარალელურად მიზანშეწონილია შეისწავლოთ სროლის ტექნიკაც, რაზედაც შემდგომში ვისაუბრებთ.

მაიორი
თენგიზ მგალობლიშვილი

PROFESSIONAL

გთავაზობთ:

- ყველა სახის კავშირგაბმულობის საშუალებებს
  ყიდვა-გაყიდვა — მონტაჟი — შეკეთება
- რადიოკავშირის სისტემების აწყობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე
  საბაზო რადიოსადგურების მონტაჟი
  საავტომობილო რადიოსადგურების მონტაჟი
  რეტრანსლატორების მონტაჟი
- მინიატურების მონტაჟი

მის: თბილისი,
ვაჟა-ფშაველას გამზ. №16
XI სართული, ოთ. №22
ტელ: 26-14-65

ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲕᲝᲠᲓᲘᲡ

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 7. ქრისტიანული დღესასწაული; 8. ფაშიზმის სამშობლო; 9. მრავალნიჩბიანი ხის სამხედრო ხომალდი; 10. მძორისმჭამელი ცხოველი; 11. ძველებური ინგლისური კაჟიანი თოფი, რომელიც ჟირიმის სახანოდან შემოჰქონდათ საქართველოში; 12. ჩარჩოზე გადაჭიმული თეთრი ქსოვილი კინოფილმების საჩვენებლად; 16. ფეხბურთის მეფე; 17. მამაკაცის ქუდა სამოსი; 18. ქვეყნის ნაწილი; 19. ამერიკელთა მეტსახელი; 20. სრული მარცხი; 24. „ვეფხისტყოსნის“ პერსონაჟი; 27. საგანგებო დავალება; 28. ესპანელი ფეხბურთელი; 31. ქამარზე დასაკიდი პატარა სამგზავრო წყლის ჭურჭელი; 32. ქართველი მსახიობი ქალი; 33. საეკლესიო კრება; 34. გარეული ვირი; 35. საბუნებისმეტყველო მეცნიერება; 36. უშფოთველი ცხოვრება. **ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ:** 1. საქართველოს თავდაცვის მინისტრი; 2. ქართველი გენერალი, სსრ კავშირის გმირი, დიდი სამამულო ომის დროს მსროლელი კორპუსისა და არმიის არტილერიის უფროსი ჩრდილო კავკასიის ფრონტებზე; 3. ბელგიური რევოლვერი; 4. საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტის უფროსი; 5. საბჭოთა კავშირის გმირი, რომელმაც 1945 წლის 20 აპრილს ეგოროვთან ერთად რაიხსტაგის გუმბათზე ალმართა გამარჯვების დროშა; 6. ადამიანი, რომელიც საცხოვრებლად გადადის ერთი ადგილიდან მეორეზე; 13. ავტორბოლა; 14. ჯარის ნაწილი, რომელიც მთავარი ძალების წინ მიდის ლაშქრობის დროს; 15. დესპანი; 20. თოფის სამიზნე; 21. იაპონიის ფულის ერთეული; 22. ფეთქებადი ნივთიერება; 23. კორიდის ცხენოსანი მონაწილე, რომელიც შუბით ალიზიანებს ხარს; 25. უწვრილესი სისხლძარღვი; 26. ხუროთმოძღვრების ძეგლი კახეთში; 29. ფარიკაობის იარაღი; 30. მამაკაცის ყველაზე მაღალი სასიმღერო ხმა.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ „ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲕᲝᲠᲓᲘᲡ“ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ: **ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ:** 7. კოლონა; 8. ტავრია; 9. ზიდანი; 10. პარტია; 11. არარა; 15. კვიცი; 16. მალარია; 17. დრამი; 18. ლიტრი; 21. ეკონომი; 24. კროლი; 25. ოტავა; 28. მიმიკა; 29. არმადა; 30. პრესლი; 31. მალაგა. **ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ:** 1. მონიტორი; 2. ლოკატორი; 3. პანიკა; 4. უტოპია; 5. შვარტოვი; 6. კირილიცა; 12. კანდელაკი; 13. კარანტინი; 14. ნიჰილიზმი; 19. კრეისერი; 20. ალბინოსი; 22. სტამბული; 23. კვადრიგა; 26. ტანძია; 27. ვარამი.

ფოტოგრაფი –



ადამიანური ცხოვრება იმდენად ძნელად ამოსაცნობია, რომ ხშირად ამა თუ იმ ადამიანის არსებობა ლეგენდად გეჩვენება. გასპარ-ფელიქს ტურნაშონი, რომელიც ისტორიაში ნადარის სახელით შევიდა, სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად. ნადარი იყო მე-19 საუკუნის უდიდესი ფოტოგრაფი, მწერალი, ჟურნალისტი, მხატვარ-ჯარიჯატურისტი, მოგზაური, აერონავიგატორი, ავიაციის შექმნადე დიდი ხნით ადრე საავიაციო სამხედრო დაზვერვის ფუძემდებელი, პარიზის ჯატაკომბების მკვლევარი.

საფრანგეთის სამხედრო დაზვერვის ფუძემდებელი

ის, ვინც ბავშვობაში სულმოუთქმელად კითხულობდა ჟიულ ვერნის რომანებს, განცვიფრებით აღმოაჩენს, რომ ეს კაცი მისთვის ნაცნობია. საქმე ის არის, რომ დიდმა ფანტასტმა თავის ორ რომანში „მთვარის გარშემო“ და „დედამიწიდან მთვარეზე“ ამერიკულ ექსპედიციაში ერთადერთი ფრანგი – ჟურნალისტი მიშელ არდანი (ნადარის ანაგრამა) შეიყვანა. ეს გასპარ-ფელიქს ტურნაშონი, იგივე ნადარი იყო.

მისი სახელი პირველად 1838 წელს გამოჩნდა პარიზისა და ლიონის გაზეთების ფურცლებზე. ოცი წლის შემდეგ კი მას ატლანტის ოკეანის ორივე მხარეს იცნობდნენ. ლიონის გაზეთებში პატარა სტატიებს ბეჭდავდა საკუთარი კარიკატურებით. ამბიციურ და ენერგიულ ახალგაზრდას მცირე ჰონორარები არ ჰყოფნიდა და კიდევ ბევრი პროფესია შეისწავლა. თუმცა პროფესიად ვერ მიიჩნევ იმ საქმიანობას, რასაც დროდადრო მიჰყოფდა ხელს ნადარი. 60 წლის შემდეგ თავის მოგონებებში ჩამოთვალა ეს „პროფესიები“: ბრაკონიერი, კონტრაბანდისტი, ტორფის გამყიდველი, მოხელე, მდივანი...

როცა პარიზში ფეხი მოიკიდა, ბოდლერს დაუმეგობრდა და ბოჰემურ ცხოვრებაში გადაეშვა. საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ ჟურნალ „კომიკური მიმოხილვის“ გამოცემა დაიწყო და ფოტოგრაფიამაც გაიტაცა. დაგერისა და ნიეპსის ეს გენიალური გამოგონება მაშინ მხოლოდ და მხოლოდ 10 წლის იყო.

1853 წელს ფოტოგრაფიით უმცროსი ძმა – ადრიანიც „დააავადა“. ძმა მისი პარტნიორი გახდა და სენ-ლაზარეს

ალექსანდრე დიუმა მამა

კლოდ მონე

ეს იმ გამოჩენილ ადამიანთა მცირე ნაწილის პორტრეტებია, რომელთა სახეებიც სწორედ ნადარის წყალობით გვაქვს შემონახული

Achtung, Achtung, „ტუარეგი“ მოდის...

შუა საუკუნეებში, როდესაც არაბი დამპყრობლები ჩრდილოეთ აფრიკაში შეიჭრნენ და გაუსაძლისი წნეხის ქვეშ მოაქციეს აბორიგენული ტომები, მხოლოდ ტუარეგები არ დაემორჩილენ მათ და უდაბნოს შეაფარეს თავი...

სახელგანთქმული გერმანული კონცერნის მესვეურებმა დიდხანს იფიქრეს, სანამ საკუთარ ყველგანმავალს სახელს შეურჩევდნენ. საბოლოო არჩევანი პატარა აფრიკული ტომის სახელზე შეაჩერეს, რომლის წარმომადგენლებიც საარაკო სიცოცხლისუნარიანობითა და გაუსაძლის პირობებში თავის გატანით გამოირჩევიან...

Wolksvagen TOUAREG

არსენალი
WOB CB 603
Wolksvagen
TOUAREG



სწორედ ამ ტომის სახელწოდება აირჩიეს ვოლფსბურგელმა კონსტრუქტორებმა

ამბობენ, კარგ მანქანას „ნაიარევიც“ კი თავისებურ ხიბლს აძლევსო, მაგრამ ჩვენ თუ გვკითხავთ, Volkswagen Touareg-ი კარგი შესახედაობით ისედაც არ გამოირჩევა. ეს მონსტრი Volkswagen Phaeton-ისა და Audi allroad-ის ერთგვარი ნაჯვარია. მართალია ზოგიერთი რაკურსით საკმაოდ ეფექტურია, მაგრამ დახვეწილი ფორმებისგან მაინც ძალიან შორს დგას. სულ სხვა საქმეა სალონი: მულტიფუნქციონალური საჭე, „ავტომატის“ რელაქტორი, ხარისხიანი ტყავისა და ძვირფასი ხის მასალა. დამატებითი მოწყობილობებია – ნავიგაცია, ტელეფონი, ტელევიზორი. Keyless Access „დისტანციური“ ჩართვის სისტემა. Touareg-ი ბენზინის ძრავითაც აღიჭურვება და დიზელითაც. ზოგი ნაკლებად ძლიერ, ბენზინის ძრავას, დიზელს ამჯობინებს. არ გაგიკვირდეთ, რადგან ამ ძრავათა შორის ბენზინის V6 მახასიათებლებით (3.2 ლ 220 ცხ.ძ.) უფრო მოკრძალებულია, ვიდრე 5-ლიტრიანი 313 ცხ.ძ. ათცილინდრიანი ტურბოდიზელი.

Touareg-ი თავისი ძარის მოკლე კიდულებითა და დიდი კლირენსის წყალობით ციცაბო აღმართებსა და დაღმართებს თამაშ-თამაშით გადის. წარმოიდგინეთ, რომ ჭადრაკის დაფაზე თეთრი უჯრები ნახევარი მეტრის გორაკები იყოს, შავი კი ღრმა ორმოები. ასეთ გზაზე Touareg-ის პირველი მარჯვენა ბორბალი ხმელეთს ნახევარ მეტრზე სწყდება. ერთ წამში მანქანა მთლიანად მარჯვენა მხარეს იწევს, მერე მარცხენა ბორბალი კიდია ჰაერში... და ამგვარად მოძრაობს თითქმის შეუჩერებლივ – ტრანსმისია შესანიშნავად მუშაობს. იმის შეგრძნება, თუ როდის ხდება ღერძთაშორისი დიფერენციალის ბლოკირება შეუძლებელია...

ყველზე მთავარი ის არის, რომ ასეთ გზაზე Touareg-ს არ ესაჭიროება სპეციალური მანევრირება. ყველაფერი მარტივადაა – დააჭირე გაზს ფეხი, ტრანსმისია და ელექტრონული დამხმარეები თავად იზრუნებენ დანარჩენზე.

ციცაბო აღმართზე გაჩერება მოისურვეთ? საჭიროა მხოლოდ ფეხი აუშვათ გაზის პედალს და Hill-Starting Assistant-ის სისტემა თავად გააჩერებს მანქანას. თუ მანქანის დაძვრას მოინდომებთ, გაზის პედალს დააჭერთ და Touareg-იც კვლავ მოძრაობაშია. ელექტრონიკა დაღმართზეც დაგაზღვევთ. თუ პირველ სიჩქარეში გაქვთ ჩაგდებული, თამამად შეგიძლიათ მუხრუჭის პედალი არ გამოიყენოთ – მანქანა ნელ-ნელა 6-7 კმ/სთ სიჩქარით იმოძრავებს. ავტომატური რეჟიმის მუხრუჭები მეტად ეფექტურია, გაუვალ ადგილებში მძღოლს მხოლოდ საჭის ბრუნვა ევალება.

დიზელის Touareg-ში სალონის აღჭურვილობა უფრო მდიდრულია. ჭარბად არის გამოყენებული ხის მასალა. საჭეს ახლავს ელექტრორეგულატორები, გაყოფილი კლიმატ-კონტროლი უკანა მგზავრებისთვის. თანაც მისთვის უცხოა დიზელისათვის დამახასიათებელი ხმაურიანი ვიბრაციები.

Touareg VIO TDI-ი უსწორმასწორო გზებს ისევე გადის, როგორც ბენზინის ძრავიანი, მაგრამ როცა მთებს უკან მოიტოვებს და ტრასაზე აგრძელებს მოძრაობას, აქ უკვე სხვაობასაც ავლენს. საჭირო მომენტში თანამოძმისგან განსხვავებით ადგილს სწრაფად სწყდება და 200 კმ/სთ სიჩქარესაც ავითარებს.

მხეცი, აფრიკაშიც მხეცია...

ბენზინისა და დიზელის ძრავიან ტუარეგებს ერთნაირი „ავტომატები“ აქვთ – იაპონური ფირმის Aisin-ის ექვსსაფეხურიანი კოლოფები. ამ „ავტომატებსაც“ აღმოაჩნდათ თავისი ნაკლოვანება, თუმცა უმნიშვნელო. თუ გადართვა მაღალ სიჩქარეზე სწრაფად და უპრობლემოდ ხერხდება, დაბალი სიჩქარის დროს გადართვას წამიერი შეყოვნება ახლავს.

Touareg-ი ადგილიდანაც მცირე „დაფიქრების“ შემდეგ იძვრის. სამაგიეროდ არანაირი პრობლემა არ არსებობს მუხრუჭთან დაკავშირებით. ნაკლად მხოლოდ ის შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ დამუხრუჭების დროს სწრაფი მობრუნებისას საჭე ოდნავ „იკბინება“.

ახალი ამბავი არ არის, რომ Volkswagen Touareg-ი და Porshe Cayenne ერთ პლატფორმაზეა შექმნილი. კონსტრუქციით ჰგვანან კიდეც ერთმანეთს, მაგრამ Touareg-ი ყველანაირ გზაზე გასიამოვნებთ, Cayenne კი უფრო მეტად მოასფალტებული გზებისთვის არის შექმნილი.

გერმანიაში Volkswagen Touareg-ის ფასი დაახლოებით 68 000 ევროა. ■

მართალია „ტუარეგი“ აზიზის შთაბეჭდილებას ტოვებს და ტრასაზე ბევრად უფრო მომხიბვლელად გამოიყურება, მაგრამ მისთვის არც ოღრო-ჩოღრო გზები, ან საერთოდ უგზოობაა უცხო...





XXI საუკუნის ავტომატი ქართველი სპეცრაზმელებისთვის

ებრაული „ტავორიდან“ სროლას ვერც რუსული „ჯალაშნიკოვიდან“ და ვერც ამერიკული „შავი შაშხანიდან“ გასროლებს ვერ შეადარებ!

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილმა გრანდიოზულმა სამხედრო აღლუმმა, დამსწრე საზოგადოებაზე, ისევე როგორც ათასობით ტელემაყურებელზე, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. თუმცა თუკი სიმართლეს ვიტყვით, იმ აღლუმზე რაიმე განსაკუთრებული და თანამედროვე შეიარაღება არ გამოჩენილა – ტანკებიც, ქვემეხებიც თუ მოიერიშე თვითმფრინავებიც ძველი იყო. მაგრამ ერთი სიახლე მაინც გამოჩნდა, თანაც, არც მეტი და არც ნაკლები, XXI საუკუნის იარაღი – ის ტრიბუნის წინ მწყობრი ნაბიჯით ჩავლილ შინაგანი ჯარის სპეცდანიშნულების პოლკის მებრძოლებს ეპყრათ ხელთ.

ეს ულტრათანამედროვე ებრაული საიერიშო ავტომატური შაშხანები Tavor-21-ები იყო, რომლის მსგავსს რუსი და თვით ამერიკელი სპეცრაზმელებიც ინატრებდნენ. „არსენალს“ მიეცა უნიკალური შესაძლებლობა, სროლით გამოეცადა ეს იარაღი.

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ გამოცდა იმ სპეციალურ დახურულ ტირში მიმდინარეობდა, სადაც Cy-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავების მრისხანე 30 მმ კალიბრიან სწრაფმსროლელ საავიაციო ქვემეხებს ცდიან. დახურული ტირის გამო, ცოტა ძნელია, „ტავორიდან“ გასროლის ხმა სხვებისას შეადარო, მაგრამ ერთი ნათელია, – „ტავორს“ სროლისას სპეციფიკური ხმა აქვს, რაც ალბათ იმითაც არის განპირობებული, რომ ჩვენთვის ასეთ იშვიათ, Nato-ს სტანდარტის 5.56 მმ კალიბრიან ტყვიებს ისვრის.

„ტავორიდან“ სროლისას უკუდარტყმა გინდ ერთვერადი და გინდ ავტომატური ჯერის გაშვებისას ბევრად ნაკლებია, ვიდრე დაახლოებით, იმავე 5.45 მმ კალიბრიანი AK-74-დან. ამას, გარკვეულწილად, თავად „ტავორის“ კონსტრუქცია განაპირობებს – „ბულაპაპის“ პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ მჭიდი და დამრტყმელი მექანიზმი სასხლეტის უკან, კონდახშია ჩამონტაჟებული.

მთლიანად „ტავორი“, ერთი შეხედვით, სათამაშო ავტომატის შთაბეჭდილებას ტოვებს, ალბათ იმიტომაც, რომ მისი კორპუსი დარტყმაგამძლე

ფოტოზე თვალნათლივ ჩანს განსხვავება NATO-ს სტანდარტის, 5.56 კალიბრისა (მარცხნივ) და ყბადაღებული რუსული 5.45 კალიბრის ტყვიას შორის

ჩვენი დოსიე: დღეისთვის შექმნილია საბაზო მოდელის Tavor-21-ის, იმავე Tar-21-ის რამდენიმე მოდიფიკაცია — Tavor-Commando CTAR-21-ი; მოკლელულიანი Micro Tavor Mtar-21-ი; სნაიპერული Star-21 და სხვა, მათ შორის, სამოქალაქო მოდელიც. ყველა მათგანში გამოიყენება 5.56 მმ-იანი Nato-ს სტანდარტის ვაზნები. „ტავორ-კომანდო" ვაზნების გარეშე 2.7 კგ-ს იწონის, ხოლო მისი სროლის ტემპი 750-900 გასროლა/წუთში მერყეობს. ტყვიის საწყისი სიჩქარე ლულიდან გამოსვლის მომენტში 860 მ/წმ-ია. სნაიპერული „ტავორის" სიგრძე 72 სმ-ია, აქვს დასაკეცი სადგარი და ოპტიკური სამიზნე. ხოლო დანარჩენ „ტავორებს" ოპტიკური სამიზნის ნაცვლად, უფრო იაფი — კოლიმეტრული სამიზნეები უყენდებათ. ამ უკანასკნელში ლაზერული მიზანმაჩვენებლებიც შედის. საჭიროების შემთხვევაში „ტავორებზე" ღამის ხედვის მოწყობილობის დამონტაჟებაც შეიძლება.

პლასტმასისგან არის გაკეთებული.

„ტავორი" სროლისას ხელში კარგად „ზის" და მისი ლულიდან ავტომატური ჯერის გაშვება დიდი სიამოვნებაა, როდესაც სამიზნეში კარგად ხედავ, როგორ აზიანებს ტყვიები სამიზნეს.

საცდელი სროლები დაახლოებით 50 მ-ის დისტანციაზე წარმოებდა. „ტავორიდან" დამიზნება სამი ხერხით შეიძლება — მექანიკური სამიზნით, რომელიც იკეცება, ხელი რომ არ შეუშალოს მსროლელს, თუკი იგი „ტავორზე" დაყენებულ კოლიმეტრულ სამიზნეს იყენებს. ამ კოლიმეტრულ სამიზნეში მოჩანს „წითელი წერტილი", რომელიც „სიკვდილის ბუზივით" უნდა დაასვა მიზანს. დამიზნების მესამე საშუალებას ლაზერული სხივი წარმოადგენს — ავტომატის წინ სპეციალურ ღილაკზე თითის დაჭერისთანავე ლაზერული სამიზნიდან გაშვებული სხივი „ავჯდება" მიზანს და მსროლელს მის დაზიანებას უადვილებს. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ამ სტატიის ავტორს ზუსტი გასროლა კოლიმეტრული სამიზნის „წითელი წერტილით" უფრო გაუადვილდა, ვიდრე ლაზერის მიზანმაჩვენებლით.

ამ ავტომატური შაშხანის უპირატესობად ითვლება ის, რომ მსროლელს რამდენიმე წუთში შეუძლია სასროლი მექანიზმის გადატანა, რაც შესაძლებლობას იძლევა, სროლა ცაციმაც აწარმოოს.

„ტავორის" პროტოტიპი ებრაელმა კონსტრუქტორებმა პირველად 1998 წელს გამოაჩინეს, რის შემდეგაც მისი საცდელი პარტია ისრაელის არმიის სპეცდანიშნულების დანაყოფებში გამოცადეს. ოფიციალურად „ტავორები" შეიარაღებაში ისრაელმა მხოლოდ წელს, 31 მარტს მიიღო, ანუ თბილისში, ქართული არმიის აღლუმზე მისი სახალხო ჩვენებამდე სულ ორიოდე თვით ადრე. გარდა ისრაელისა და საქართველოს სპეცდანიშნულების ჯგუფებისა, „ტავორებზე" ყველაზე მსხვილი შეკვეთა დღესდღეობით მხოლოდ ინდოეთმა გააკეთა — იგი 20 მლნ დოლარის „ტავორების" შეძენას აპირებს.

ქართველი მებრძოლებისთვის გარკვეული, საკმაოდ მცირე რაოდენობის „ტავორები" შეიძინეს (ციფრს არ დავაზუსტებთ), რადგან ერთი ტავორის ფასი ათას დოლარზე მეტია, ხოლო ოპტიკური სამიზნის ჩათვლით ეს თანხა 1800 დოლარს აღწევს.

ირაკლი ალადაშვილი

ფოტოზე მოდელი ნინო კოკოზაშვილი. 16 წლის.

მოკლელულიანი და სნაიპერული „ტავორები"

არსენალი

Tavor-21

ეროვნული ბიბლიოთეკა

27/92